

**არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში**  
**(შეპირისპირებითი ანალიზი. ფრანგული და ქართული ენების მასალაზე)**

**ადეიშვილი ქრისტინა**

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინარული პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მზალო დობტურიშვილი, სრული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2013**

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქრისტინა ადეიშვილი

26.03.2013

## აბსტრაქტი

კვლევის მიზანს წარმოადგენს არგუმენტაციული სტრატეგიებისა და ტექნიკების გამოყენების თავისებურებების ანალიზი ფრანგულ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსებში. ამავდროულად, ჩვენი მიზანია გამოვიკვლიოთ, რა გავლენას ახდენს განსხვავებული სოციო-კულტურული გარემო პოლიტიკური დისკურსის კონსტრუირებაზე არგუმენტაციული სტრატეგიებისა და ტექნიკების არჩევანის თვალსაზრისით. ნაშრომში არგუმენტაციის თეორიები განხილულია როგორც თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობა.

დისერტაცია შედგება სამი თავისაგან. პირველ თავში წარმოდგენილია კომუნიკაციური ლინგვისტიკის თეორიული მიმოხილვა. კონკრეტულად, ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ძირითად მიმდინარეობებზე - გამონათქვამის თეორიებზე, პრაგმატიკასა და დისკურსის ანალიზზე. დისკურსის ანალიზის ფარგლებში შესწავლილია ჩვენი კვლევის უშუალო ობიექტი - პოლიტიკური დისკურსი. მეორე თავში მოცემულია არგუმენტაციის შესახებ შექმნილი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი, მისი გენეზისიდან დაწყებული, რომელიც არისტოტელეს სახელთანაა დაკავშირებული, პერელმანის თანამედროვე ნეორიტორიკისა და პერელმანის შემდგომ შექმნილი თანამედროვე თეორიების ჩათვლით. ამავე თავშია გაანალიზებული არგუმენტაციული დისკურსი. მოცემულია მეცნიერთა მიერ შემუშავებული არგუმენტაციული სტრატეგიებისა და ტექნიკების კლასიფიკაციები. საკვლევ კორპუსად შერჩეულია ფრანგი და ქართველი პოლიტიკოსების წინასაარჩევნო კამპანიის დროს ფართო აუდიტორიის დარწმუნების მიზნით წარმოთქმული დისკურსები. კონკრეტულად, კორპუსის ფრანგულენოვანი ნაწილი წარმოდგენილია ნიკოლა სარკოზის 2007 და 2012 წლის და ფრანსუა ოლანდის 2012 წლის წინასაარჩევნო დისკურსებისგან, ქართულენოვანი ნაწილი კი - მიხეილ

საკავშირის 2007 და 2012 წლის და ბიძინა ივანიშვილის 2012 წლის წინასაარჩევნო დისკურსებისგან. კვლევაში გამოყენებულია მეთოდოლოგიის შერეული ტიპი, კონკრეტულად, კვლევა დაფუძნებულია არგუმენტაციულ, ლექსიკომეტრიულ, შეპირისპირებით და ინტერდისციპლინარულ მიდგომებზე.

მესამე თავი დათმობილი აქვს კვლევის შედეგების აღწერას. ნაშრომში განხილულია შემდეგი არგუმენტაციული სტრატეგიები და ტექნიკები: ფასეულობის არგუმენტი, ავტორიტეტის არგუმენტი, პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები, პიროვნების წარმოჩენის სტრატეგია, მეტაფორა, მოწინააღმდეგის დისკვალიფიკაცია, სხვადასხვა ორიენტაციის მქონე აუდიტორიაზე გამიზნული სტრატეგია. თითოეული არგუმენტაციული სტრატეგიისა თუ ტექნიკის გამოყენების აქტუალობა და თავისებურება განხილულია ფრანგული დისკურსისთვის ფრანგული, ქართული დისკურსისთვის ქართული, ერთმანეთისგან განსხვავებული სოციო-კულტურული გარემოს გათვალისწინებით.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ საფრანგეთსა და საქართველოს წინაშე არსებული პრიორიტეტები უმთავრესად ფასეულობების არგუმენტით წარმოჩინდა, ქვეყნებში აღიარებული ავტორიტეტები და ქვეყნების მიდგომები დემოკრატიული ევროპის მიმართ ავტორიტეტის არგუმენტში გამოვლინდა. სოციალური ფონი ძირითადად აისახა პარალელურ კონსტრუქციებში, ხოლო პოლიტიკოსსა და ამომრჩეველს შორის ურთიერთდამოკიდებულება - პიროვნების წარმოჩენის სტრატეგიაში. მეტაფორებმა ნათლად გამოავლინა პოლიტიკური სიტუაციის თავისებურებები ორ ქვეყანაში. პოლიტიკოსთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი ბევრად თუ ნაკლებად დემოკრატიული ქმედებები კი მოწინააღმდეგის დისკვალიფიკაციის სტრატეგიაზე აისახა. ქვეყნების მასშტაბებმა და ამომრჩევლის სპეციფიკამ ძირითადად სხვადასხვა ორიენტაციის მქონე აუდიტორიაზე გამიზნული სტრატეგიის თავისებურება განაპირობა.

ამდენად, კვლევის შედეგებმა აშკარად გამოავლინა განვითარებული საფრანგეთისა და განვითარებადი საქართველოს სოციო-კულტურული თუ პოლიტიკური გარემოს

გავლენა პოლიტიკურ დისკურსში არგუმენტაციული სტრატეგიებისა და ტექნიკების როლსა და გამოყენების თავისებურებებზე.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** კომუნიკაციური ლინგვისტიკა, გამონათქვამის თეორიები, პრაგმატიკა, დისკურსის ანალიზი, პოლიტიკური დისკურსი, არგუმენტაციის თეორიები, არგუმენტაციული დისკურსი, არგუმენტაციული სტრატეგიები, არგუმენტაციული ტექნიკები.

## **Abstract**

The aim of the research is the analysis of the peculiarities of the usage of the argumentative strategies and techniques in French and Georgian political discourse and at the same time our aim is to determine the influence of different socio-cultural environment on the construction of argumentative discourse in terms of choice of the argumentative strategies and techniques. The argumentative theories in the work are studied as one of the major trends of the modern communicative linguistics.

The dissertation consists of three chapters. The first chapter provides a theoretical overview of linguistic communication. In particular, the focus is made on the major trends in modern linguistics communication - expression theories, pragmatics and discourse analysis. The immediate object of our research is studied within the framework of discourse analysis - political discourse. The second chapter analyzes the arguments about the importance of the scientific literature, starting with its genesis associated with the name of Aristotle, the modern neo-rhetoric of Perelman and including the modern theories created after Perelman. The

argumentative discourse is analyzed in the same chapter. It is given argumentative strategies and techniques developed by the scientists. As a research material it is chosen the discourses said by the French and Georgian politicians in the pre-electoral campaign before the wide audience for convincing of the electorate. In particular, French part of the case is represented by the pre-electoral discourses of Nikolaz Sarkozy 2007 and 2012 and Francois Hollande 2012, and the Georgian part – by pre-electoral discourses of Saakashvili 2007 and 2012 and Ivanishvili 2012. Mixed type of methodology is used in the research, in particular, the study is based on argumentative, lexical-metric, comparative and interdisciplinary approaches.

The third chapter is allocated for a description of the research results. In the work we discussed the following argumentative strategies and techniques: value argument, authority argument, parallel syntax constructions, strategy of the personality identifying, metaphor, an opponent disqualification, strategy aimed at the audience of different orientations. The actuality and particularities of usage and each argumentative strategy or technique are discussed French for the French discourse and Georgian for the Georgian discourse, taking into account different socio-cultural environment.

The results of our research have revealed that the priorities of France and Georgia are displayed mainly by the value arguments, the recognized authorities in the countries and approaches of the countries in relation to the democratic Europe are reflected in the authority argument. Social background is basically reflected in the parallel structures, and the relationship between the politician and the voter - in the strategy of the personality identifying. The metaphors have clearly revealed the characteristics of the political situation between the two countries. Interrelationship of politicians, their more or less democratic actions are reflected on the actions of the opponent's disqualification strategy. Size of the country and the voter's homily stipulated the particularities of the strategy mainly aimed at the audience with different orientation.

Thus, the research results clearly showed the influence of the socio-political environment of the developed French and the developing Georgia on the role and the usage particularities of the argumentative strategies and techniques in the political discourse.

**Key Words:** Communicative Linguistics, Enunciative Theories, Pragmatics, Discoursis Analysis, Political Discourse, Argumentation Theories, Argumentative Discourse, Argumentative Strategies, Argumentative techniques.

## მადლობა

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო, უპირველეს ყოვლისა, ჩემი ოჯახის წევრებს განსაკუთრებით, დედას, ნესტან გაბუნიას და ძმას, ზვიად ადგიშვილს, რომლებმაც თავიანთი მხარდაჭერით შინაგანი მოტივაცია შემიქმნეს დაწყებული საქმის დასამთავრებლად, ასევე განსაკუთრებული მადლობა ჩემს ხელმძღვანელს სრულ პროფესორს ქ-ნ მზალო დობტურიშვილს დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში ჩემს მიერ გამოჩენილი უდიდესი ყურადღებისათვის, ასევე ქ-ნ ქეთევან გურჩიანს, რომლის დახმარებითაც ევროკომისიის პროგრამა "ტემპუსის" პროექტის ფარგლებში საშუალება მომეცა აღმოსავლეთ-პარიზის უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევითი ვიზიტი განმეხორციელებინა, ასევე აღნიშნული უნივერსიტეტის თანამშრომლებს: ქ-ნ ალისა კრიგ-პლაკს, ქ-ნ იზაბელ ლაბორდ მილას, ბ-ნ დომინიკ დემარშელიეს, ბ-ნ ჟან-მარი ლებლანს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს ქ-ნ ლელა ხომერიკს, ქ-ნ ინგა ლუტიძეს, ქ-ნ ეკა ქსოვრელს, ჩემ მეგობარს ნათია გაგოშვილს.



# სარჩევი

სარჩევი	viii
ცხრილების ჩამონათვალი	x
გრაფიკების ჩამონათვალი	x
<b>შესავალი</b>	<b>1</b>
<b>თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა</b>	<b>7</b>
1.1 კომუნიკაციური ლინგვისტიკა	7
1.2 გამონათქვამის თეორიები	9
1.3 პრაგმატიკა	13
1.4 დისკურსის ანალიზი	19
1.5 პოლიტიკური დისკურსი	24
1.6 დასკვნა	28
<b>თავი 2. არგუმენტაციის თეორიები</b>	<b>29</b>
2.1 არგუმენტაციის თეორიების გენეზისი	29
2.2 არისტოტელეს რიტორიკა	31
2.3 რიტორიკა, როგორც მეტყველების გაფორმების ხელოვნება	34
2.4 არგუმენტაციის თანამედროვე თეორიები	35
2.4.1 პერელმანის ნეორიტორიკა	35
2.4.2 რიტორიკისა და ნეორიტორიკის კონცეპტუალური შედარება	37
2.5 არგუმენტაციის პერელმანის შემდგომი თანამედროვე თეორიები	44
2.6 არგუმენტაციული დისკურსი	51
2.7 არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში	53
2.8 კვლევის მეთოდოლოგია	58

2.9 დასკვნა	61
<b>თავი 3. არგუმენტაციული ტექნიკები და არგუმენტაციული სტრატეგიები პოლიტიკურ დისკურსში</b>	<b>62</b>
3.1 ფასეულობების არგუმენტი	62
3.2 პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები	75
3.3 ავტორიტეტის არგუმენტი	85
3.4 პიროვნების წარმოჩენის სტრატეგია	94
3.5 მეტაფორა	112
3.6 მოწინააღმდეგის დისკვალიფიკაციის სტრატეგია	124
3.7 სხვადასხვა ორიენტაციის მქონე აუდიტორიაზე გამიზნული სტრატეგია	137
<b>3.8 დასკვნა</b>	<b>144</b>
<b>ბიბლიოგრაფია</b>	<b>148</b>

## ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1: რიტორიკული დისკურსის აგების ანტიკური ნორმები	33
ცხრილი 2: პლანტენის არგუმენტაციის სქემა	46

## გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 1: სარკოზი (მე-ჩვენ) 2007	102
გრაფიკი 2: სააკაშვილი (მე-ჩვენ) 2007	102
გრაფიკი 3: სარკოზი (მე-ჩვენ) 2012	106
გრაფიკი 4: სააკაშვილი (მე-ჩვენ) 2012	106
გრაფიკი 5: ოლანდი (მე-ჩვენ) 2012	110
გრაფიკი 6: ივანიშვილი (მე-ჩვენ) 2012	110

## შესავალი

არგუმენტაცია უძველესი, რთული და ამავდროულად, მუდამ აქტუალური ფენომენია. მას სხვადასხვა კუთხით იკვლევს ისეთი მეცნიერებები, როგორებიცაა: ლოგიკა, პოლიტოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, სოციოლინგვისტიკა, ლინგვისტიკა. ჩვენ დისერტაციაში არგუმენტაციის ფენომენს შევისწავლით როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმდინარეობას. თანამედროვე ლინგვისტიკა კი, როგორც ცნობილია, კომუნიკაციური ლინგვისტიკაა. მასში ენა გაგებულია როგორც ადამიანებს შორის კომუნიკაციის დამყარების საშუალება და შესაბამისად, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სუბიექტის ფაქტორის, კომუნიკაციის სიტუაციის, კომუნიკაციის ინტენციის, კომუნიკაციის სიტუაციასთან დაკავშირებული ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების შესწავლაზე. კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში არგუმენტაციის თეორიები დისკურსს შეისწავლის ფუნქციური თვალსაზრისით, ანუ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ სტრატეგიებისა და ტექნიკების ანალიზს, რომლებიც მოცემულ კომუნიკაციურ სიტუაციაში აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენას, მის დარწმუნებას ისახავს მიზნად. სწორედ ამ ჭრილში განიხილებოდა არგუმენტაციის ფენომენი მაშინ, როდესაც კაცობრიობის ისტორიაში მასზე მეცნიერული გამოკვლევები პირველად დაიწყო. მეცნიერთა ყურადღების ცენტრში კი არგუმენტაცია ძალიან ადრე, ძვ. წ-ალ-ის მე-5 საუკუნეში მოექცა. რიტორიკის პირველი სახელმძღვანელო სირაკუსელი ბერძნების, კორაქსისა და მისი მოსწავლის, ტისიას მიერ უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ მან ჩვენამდე სრულყოფილი სახით ვერ მოაღწია და ძირითადად არისტოტელეს ნაშრომებში გამოყენებული ციტატების სახითაა შემორჩენილი.

არგუმენტაციის თეორიებმა ჩამოყალიბებიდან დღემდე განვითარების სამი ძირითადი ეტაპი გაიარა.

1. რიტორიკის, როგორც მეცნიერების, ფუძემდებლად ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე მიიჩნევა. მან თავის ნაშრომში „რიტორიკა“ ორატორული ხელოვნების თეორიული პრინციპები შეიმუშავა, რომლებსაც დღესაც არგუმენტაციის ფენომენის შესახებ შექმნილი არა ერთი თანამედროვე, მნიშვნელოვანი გამოკვლევა ეყრდნობა. არისტოტელეს ძირითადი კონცეფციის თანახმად, რიტორიკა განისაზღვრება, როგორც დარწმუნების ხელოვნება.

2. მე-16 საუკუნეში, აღორძინების პერიოდში, რიტორიკის ანტიკური კონცეფცია თანდათან შეიცვალა მიდგომით, რიტორიკა, როგორც კარგად თქმის ხელოვნება. ამ პერიოდში რიტორიკამ ძირითადი კონცენტრირება სტილისტური ხერხებისა და ფიგურების, კერძოდ კი, მეტონიმისა და მეტაფორების შესწავლაზე მოახდინა.

3. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო მესამე, გარდამტეხი ეტაპი არგუმენტაციის თეორიების ისტორიაში. ამ პერიოდიდან, როგორც ვიცით, ლინგვისტური აზროვნების ფოკუსში მეტყველება მოექცა და ანტიკური რიტორიკის საფუძველზე ნეორიტორიკის ჩამოყალიბება სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ბელგიელმა მეცნიერმა, შაიმ პერელმანმა ლუსი ოლბრეხტ ტიტეკასთან ერთად გამოაქვეყნა ნაშრომი „არგუმენტაციის ტრაქტატი, ახალი რიტორიკა“, სადაც ავტორმა ანტიკური რიტორიკის ძირითადი კონცეფცია სრულად აღადგინა. სწორედ არისტოტელესეულ რიტორიკასთან კონცეპტუალური თანხვედრის გამო უწოდა მას პერელმანმა ნეორიტორიკა. მისი ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ არგუმენტაციის ფენომენის მიმართ მეცნიერთა ყურადღება მნიშვნელოვნად გაიზარდა. შეიქმნა სხვადასხვა თეორია, სადაც არგუმენტაციის ფენომენი განსხვავებული მიდგომებით არის დამუშავებული. არგუმენტაციის შესახებ მნიშვნელოვანი თეორიები შექმნეს: კრისტინ პლანტენმა - „Essais sur l'argumentation“, 1990, ბერნარ მეიერმა - „Maîtriser l'argumentation“, 1990, რუთ ამოსიმ - „Argumentation dans le discours“, 2000, ჟან-ბლეზ გრიზიმ - „Logique et langage“, 1990, ოსვალდ დიუკრომ - „Dire et ne pas dire“, 1972, ჟაკ მოშლერმა - „Argumentation et conversation“, 1985.

ფრანკოფონულ სამეცნიერო სამყაროში არგუმენტაციის თემის აქტუალობის პარალელურად, ქართულ სამეცნიერო სივრცეში მწირი, მაგრამ ღირებული სამეცნიერო წყაროები მოიპოვება. ქართველი მეცნიერები ლათინური ძირის ტერმინების – რიტორიკის და არგუმენტაციის - პარალელურად, იყენებენ აგრეთვე მის წმინდა ქართულ შესატყვისს – მჭევრმეტყველებას. საქართველოში მჭევრმეტყველება მეცნიერულად გამოიკვლიეს ნიკოლოზ კანდელაკმა - „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“, 1961, აკაკი გელოვანმა - „ორატორული ხელოვნება“, 1985, ვახტანგ კაჭახიძემ - „მჭევრმეტყველება“, 1985, 1997. აღნიშნულ ნაშრომებში რიტორიკა განიხილება, როგორც დარწმუნების თეორია.

ჩვენ დისერტაციაში არგუმენტაციის ფენომენს პოლიტიკურ დისკურსში გამოვიკვლევთ. პოლიტიკური დისკურსი, ისევე როგორც არგუმენტაციის ფენომენი, ინტერდისციპლინარული კვლევის საგანს წარმოადგენს. მას მთელი რიგი ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები - პოლიტიკა, სოციოლოგია, კომუნიკაციის თეორია, ფსიქოლოგია, ლინგვისტიკა, არგუმენტაციის თეორიები - სხვადასხვა კუთხით შეისწავლის. ჩვენ პოლიტიკურ დისკურსს, ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მასში გამოყენებული არგუმენტაციული სტრატეგიებისა და ტექნიკების მიხედვით გავაანალიზებთ.

ამდენად, ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს არგუმენტაციის სტრატეგიებისა და ტექნიკების შესწავლა პოლიტიკურ დისკურსში.

#### ჩვენი კვლევის მიზანია:

- გავაანალიზოთ, ერთი მხრივ, ფრანგულ და, მეორე მხრივ, ქართულ პოლიტიკურ დისკურსებში არგუმენტაციული სტრატეგიები და ტექნიკები და დავადგინოთ მათი გამოყენების თავისებურებები.
- გავაანალიზოთ და ერთმანეთს შევადაროთ განსხვავებული სოციო-კულტურული გარემოს გავლენა ფრანგული და ქართული პოლიტიკური დისკურსების

პროდუცირებაზე არგუმენტაციული სტრატეგიებისა და ტექნიკების არჩევანის თვალსაზრისით.

#### **საკვლევი საკითხები:**

- არგუმენტაციულ სტრატეგიათა და ტექნიკათა ზოგადი კლასიფიკაცია.
- არგუმენტაციულ სტრატეგიათა და ტექნიკათა გამოყენების სპეციფიკა ქართულ პოლიტიკურ დისკურსში.
- არგუმენტაციულ სტრატეგიათა და ტექნიკათა გამოყენების სპეციფიკა ფრანგულ პოლიტიკურ დისკურსში.
- იმ განსხვავებული სოციო-კულტურული გარემოს ანალიზი, რომელიც განაპირობებს ქართულ და ფრანგულ პოლიტიკურ დისკურსებში არგუმენტაციული სტრატეგიებისა და ტექნიკების არჩევასა და გამოყენებას.
- ფრანგული და ქართული პოლიტიკური დისკურსების შეპირისპირებითი ანალიზი იმ მსგავსება/განსხვავებების დადგენის მიზნით, რომლებსაც განაპირობებს დისკურსის ავტორის მიერ არგუმენტაციული სტრატეგიებისა და ტექნიკების არჩევანი.

#### **ჰიპოთეზა:**

- არგუმენტაციის სტრატეგიებისა და ტექნიკების გამოყენების თვალსაზრისით შესაძლებელია გარკვეული მსგავსებების დადგენა ორ განსხვავებულ ენაზე შედგენილ პოლიტიკურ დისკურსებს შორის. ამავდროულად, მათ შორის არსებობს არსებითი განსხვავებებიც, როგორც სტრუქტურული, ასევე შინაარსობრივი კუთხით.
- ფრანგულ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსებს შორის გამოვლენილ განსხვავებული არგუმენტაციული სტრატეგიებისა და ტექნიკების არჩევანს გარკვეულწილად განაპირობებს ამ ორი ქვეყნის განსხვავებული ისტორია, კულტურა, იდენტობა, საზოგადოების პოლიტიკური კულტურისა და ინტელექტუალური განვითარების დონე, მისი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა.

კვლევის საბოლოო შედეგები და მათი გამოყენება. ვფიქრობთ, კვლევის საბოლოო შედეგები, თეორიული დასკვნები გარკვეულწილად გაამდიდრებს არსებულ გამოკვლევებს კომუნიკაციური ლინგვისტიკის, განსაკუთრებით, დისკურსის ანალიზის, არგუმენტაციის თეორიების, პოლიტიკური დისკურსის სფეროებში. საკვლევი კორპუსი, კვლევის მეთოდოლოგია და ნაშრომში განხორციელებული ანალიზის ეტაპები შეიძლება გამოყენებულ იქნას ზოგადად დისკურსის ანალიზისა და არგუმენტაციული დისკურსის, უფრო კონკრეტულად, პოლიტიკური დისკურსის ანალიზის პრაქტიკულ კურსში.

**აქტუალობა და სიახლე:** თანამედროვე დემოკრატიულ სამყაროში, სადაც ადამიანებს შორის ურთიერთობები სიტყვის გამოყენებით რეგულირდება და ძალადობა უარყოფილია, დარწმუნების ხელოვნების ცოდნა-გამოყენებას ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. ადრესატის დასარწმუნებლად არგუმენტაციული დისკურსი გამოიყენება იურიდიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ სფეროებსა თუ ფამილარული ურთიერთობების დონეზე.

ჩვენი კვლევის სიახლე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართულ სამეცნიერო სინამდვილეში არ განხორციელებულა ფრანგულენოვანი და ქართულენოვანი არგუმენტაციული დისკურსების შეპირისპირებითი კვლევა.

**ნაშრომის სტრუქტურა:** ჩვენი დისერტაციის ძირითადი ნაწილებია: შესავალი, სამი თავი (თითოეულ მათგანში გამოყოფილია ქვეთავები), დასკვნა და ბიბლიოგრაფია.

დისერტაციის პირველ თავს ჩვენ ვუთმობთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას, ქვეთავებში ცალ-ცალკე განვიხილავთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ძირითად მიმდინარეობებს: გამონათქვამის თეორიებს, პრაგმატიკას, დისკურსის ანალიზს, დისკურსის ანალიზის ფარგლებში შევისწავლით პოლიტიკურ დისკურსს. ამასთანავე, ყურადღებას ვამახვილებთ აღნიშნული მიმდინარეობების კავშირზე არგუმენტაციის თეორიებთან.



ნაშრომის მეორე თავში ვაწარმოებთ არგუმენტაციის თეორიების, როგორც კომუნიკაციური ლინგვისტიკის ერთ-ერთი მიმდინარეობის, მიმოხილვას. ვსწავლობთ არგუმენტაციის თეორიების განვითარების ისტორიას, შეპირისპირებითი მეთოდოლოგიის გამოყენებით განვიხილავთ არისტოტელეს რიტორიკასა და პერელმანის ნეორიტორიკას, როგორც ფუძემდებლურ ნაშრომებს ამ სფეროში. ჩვენი კვლევისთვის სრულყოფილი სამეცნიერო საფუძვლის შექმნისთვის ჩვენ ასევე ვაანალიზებთ არგუმენტაციის ფენომენის შესახებ არსებულ მნიშვნელოვან თანამედროვე თეორიებს. განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ არგუმენტაციულ დისკურსზე. ვახორციელებთ, ზოგადად, არგუმენტაციულ დისკურსში და, კონკრეტულად, პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული არგუმენტაციული სტრატეგიებისა და ტექნიკების კლასიფიკაციას.

ნაშრომის მესამე თავში აღვწერთ ჩვენი კვლევის შედეგებს. კონკრეტულად, სადოქტორო ნაშრომის მოცულობის გათვალისწინებით, ვიკვლევთ ფრანგულ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსებში გამოყენებულ შემდეგ არგუმენტაციულ სტრატეგიებსა და ტექნიკებს: ფასეულობის არგუმენტს, ავტორიტეტის არგუმენტს, პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების არგუმენტაციულ დანიშნულებას, პიროვნების წარმოჩენის სტრატეგიას, მეტაფორას, მოწინააღმდეგის დისკვალიფიკაციას, სხვადასხვა ორიენტაციის მქონე აუდიტორიაზე გამიზნულ სტრატეგიას.

საკვლევ კორპუსად შევარჩიეთ ფრანგი და ქართველი პოლიტიკოსების წინასაარჩევნო კამპანიის დროს ფართო აუდიტორიის დარწმუნების მიზნით წარმოთქმული დისკურსები. კონკრეტულად, ჩვენი ფრანგულენოვანი კორპუსი შედგება ნიკოლა სარკოზის 2007 და 2012 წლის და ფრანსუა ოლანდის 2012 წლის წინასაარჩევნო დისკურსებისგან, ქართულენოვანი კორპუსი კი მიხეილ სააკაშვილის 2007 და 2012 წლის და ბიძინა ივანიშვილის 2012 წლის წინასაარჩევნო დისკურსებისაგან.

კვლევაში გამოყენებული იქნება შერეული მეთოდოლოგიის ტიპი. ჩვენ დავეყრდნობით არგუმენტაციულ, ლექსიკომეტრიულ, შეპირისპირებით და ინტერდისციპლინარულ მიდგომებს.

## თავი 1: ლიტერატურის მიმოხილვა

იქედან გამომდინარე, რომ ჩვენ საკვლევ ფენომენს - არგუმენტაციულ დისკურსს - თანამედროვე ლინგვისტიკის სფეროს ობიექტად განვიხილავთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა თანამედროვე ლინგვისტიკის ძირითადი კონცეფციის გამოკვეთით დავიწყოთ.

ამდენად, წინამდებარე თავში, ჩვენ შევეცდებით, გამოვყოთ თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის მნიშვნელოვანი და აქტუალური მიმდინარეობების - გამონათქვამის თეორიების, დისკურსის ანალიზის, პრაგმატიკის - ძირითადი პრინციპები, რაც საშუალებას მოგვცემს წარმოვაჩინოთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონტურები, რომელთა ფარგლებშიც უნდა შევისწავლოთ არგუმენტაციის ფენომენი. ჩვენ აგრეთვე შევეცდებით განვსაზღვროთ ზემოთ აღნიშნული კომუნიკაციური მიმდინარეობების მიმართება ჩვენი კვლევის უშუალო ობიექტთან, კომუნიკაციური ლინგვისტიკის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმდინარეობასთან - არგუმენტაციის თეორიებთან. დისკურსის ანალიზის ფარგლებში ჩვენ ასევე ყურადღებას შევაჩერებთ პოლიტიკურ დისკურსზე, სადაც დავადგენთ პოლიტიკური დისკურსის სამუშაო დეფინიციას, რომელსაც ჩვენი კვლევა დაეფუძნება.

### *1.1 კომუნიკაციური ლინგვისტიკა*

თანამედროვე ენათმეცნიერება ჩაისახა სოსიურის სემიოტიკური კონცეფციის საფუძველზე: ენა არის არბიტრარულ ნიშანთა სისტემა. თუმცა, შემდგომი დინამიკისა და განვითარების შედეგად, როგორც გურამ ლებანიძე აღნიშნავს, „ლინგვისტური კვლევის საგნად დღეს უნდა ჩაითვალოს არა „ენა, როგორც სისტემა“, არამედ „ენა,

როგორც სისტემა მოქმედებაში“ (ლებანიძე 2004, 156). ამდენად, თანამედროვე ლინგვისტიკა კომუნიკაციური ლინგვისტიკაა, რომლისთვისაც ენა ადამიანებს შორის კომუნიკაციის დამყარების საშუალებას წარმოადგენს. ლებანიძის თანახმად, კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალური ბირთვი ისეა აგებული, რომ ერთ მხარეს წარმოადგენს ლინგვისტური პრაგმატიკა, ხოლო მეორეს - ტექსტის ლინგვისტიკა. მოძრაობა სინტაქტიკიდან პრაგმატიკისაკენ და მეორე მხრივ, ნიშნის არასრული ტიპიდან ისეთი სრული ტიპისაკენ, როგორცაა ჰიპოთეტურად ტექსტი. ამ ორი მიმართულების გადაკვეთის წერტილში შეიქმნა და ვითარდება ის, რასაც კომუნიკაციური ლინგვისტიკა ვუწოდებთ (ლებანიძე 2004, 153).

თანამედროვე ენათმეცნიერებაში კომუნიკაციური ლინგვისტიკის დომინანტობა ენობრივ ნიშანში ნომინაციური და კომუნიკაციური ფუნქციების გამიჯვნასა და კომუნიკაციური ფუნქციის ლინგვისტური აზროვნების ფოკუსში მოქცევას გულისხმობს. ჩასახვის პირველ ეტაპზე თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა მეტყველი სუბიექტის ფაქტორით დაინტერესდა. თუმცა, ლინგვისტური აზროვნების განვითარების შედეგად, დღეს ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო მეტყველ სუბიექტს, არამედ, მსმენელ სუბიექტსაც, როგორც დისკურსის პროდუცირების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს.

კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში ვითარდება არა ერთი ლინგვისტური მიმდინარეობა. ესენია: გამონათქვამის თეორიები, დისკურსის ანალიზი, პრაგმატიკა, არგუმენტაციის თეორიები. მათ საერთო აქვთ ის, რომ ნებისმიერი მათგანი ენობრივ წარმონაქმნს მისი კომუნიკაციური ფუნქციის გათვალისწინებით შეისწავლის. თუმცა, თითოეული მათგანი დისკურსს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კუთხით იკვლევს: გამონათქვამის თეორიებმა საფუძველი ჩაუყარა სუბიექტურობისა და ინტერსუბიექტურობის შემოსვლას ლინგვისტურ აზროვნებაში, დისკურსის ანალიზი, ძირითადად, დისკურსის პროდუცირების სოციალურ კონტექსტს ითვალისწინებს, პრაგმატიკა ენობრივ ნიშანთან სუბიექტების მიმართებაზე აკეთებს აქცენტს, არგუმენტაციის თეორიები დისკურსს მისი დამარწმუნებელი ეფექტის გათვალისწინებით შეისწავლის. ამდენად, ზემოთ აღნიშნული კომუნიკაციური

ლინგვისტიკის მიმდინარეობების მთავარი პრინციპების წარმოჩენა ჩვენს ნაშრომში აუცილებელია იმდენად, რამდენადაც არგუმენტაციის თეორიები, იქედან გამომდინარე, რომ იგი ძირითადად დისკურსის დამარწმუნებელ განზომილებაზეა კონცენტრირებული, თავისი მიზნის განსახორციელებლად იყენებს და შეიძლება ითქვას, ეყრდნობა სწორედ ლინგვისტური მიმდინარეობების მიღწევებს.

## *1.2 გამონათქვამის თეორიები*

გამონათქვამის თეორიები ლინგვისტიკაში მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყებს განვითარებას. მის ფუძემდებლად ფრანგი ენათმეცნიერი ემილ ბენვენისტი მიიჩნევა. თუმცა, ენათმეცნიერებაში ტერმინი გამონათქვამი (énonciation) ფილოსოფიიდან უფრო ადრე შემოვიდა. იგი ლინგვისტურ კვლევებში პირველად შარლ ბალიმ მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში გამოიყენა, მაშინ, როდესაც ფრანგული ენის თავისუფალი ირიბი ნათქვამის ფუნქციონირება გამონათქვამის ჭრილში (sur le plan de l'énonciation) გააანალიზა. ბალის გარდა, ბენვენისტამდე, აღსანიშნავია აგრეთვე, რუსი მეცნიერის მიხაილ ბახტინის კონცეფცია ენასთან დაკავშირებით. მისთვის, „ნიშანი არსებობს მხოლოდ მის სოციალურ ფუნქციონირებაში... ნებისმიერი ფორმა მნიშვნელობის მატარებელია და ეს მნიშვნელობა სოციალური გარემოდან გამომდინარეობს“ (პავო 2003, 168).

თუმცა, ენათმეცნიერებაში სტრუქტურალიზმის სწრაფმა განვითარებამ ბალისა და ბახტინის კონცეფციების შემდგომი ევოლუცია დროებით შეაჩერა.

პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი გამონათქვამის შესახებ, რომელმაც გარდატეხა მოახდინა ლინგვისტურ აზროვნებაში, არის ბენვენისტის „ზოგადი ლინგვისტიკის პრობლემები“ (ბენვენისტი 1966). მან თავისი თეორია გამონათქვამში სუბიექტურობის ფაქტორის გათვალისწინებით ააგო, რითაც თანამედროვე ლინგვისტიკაში გამონათქვამის საკომუნიკაციო აქტში მონაწილე სუბიექტების აღდგენა და გამონათქვამის პროცესზე აქცენტირება პირველმა მოახდინა. სუბიექტურობასთან

ერთად, მან აგრეთვე, ნებისმიერი გამონათქვამის აუცილებელ განზომილებად მისი ინდივიდუალურობა გამოყო.

ბენვენისტის მიერ შემოთავაზებული ცნობილი დეფინიციის მიხედვით, „გამონათქვამი არის ენის ფუნქციონირება ინდივიდუალურ აქტში“ (ბენვენისტი 1980, 80). მეტყველებამდე ენა არსებობს როგორც სისტემა, ხოლო მეტყველების პროცესში ენა კომუნიკაციაში მონაწილე სუბიექტთა საკუთრება ხდება, რაც ენის საარსებო სივრცის შეცვლას იწვევს და იგი ინტერსუბიექტურ სივრცეში გადადის. ამ პროცესს ლინგვისტიკაში აქტუალიზაციას უწოდებენ. აქტუალიზაციის პროცესში ენის მიერ შემოთავაზებულ საშუალებებს მეტყველი სუბიექტი შეარჩევს და იყენებს იმგვარად, რომ თავისი საკომუნიკაციო მიზანი ეფექტურად განახორციელოს.

თანამედროვე ლინგვისტიკაში ბენვენისტმა გამონათქვამის სუბიექტურობასთან ერთად, ინტერსუბიექტურობის აუცილებლობას და მნიშვნელობასაც პირველმა გაუსვა ხაზი.

გამონათქვამი, როგორც ინდივიდუალური რეალიზაციის აქტი, ენასთან მიმართებაში შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მიკუთვნების პროცესი... მაგრამ, როგორც კი პირი დგება მეტყველის პოზიციაში და ენას ისაკუთრებს, იგი აუცილებლად გულისხმობს სხვას, როგორც არ უნდა იყოს მისი დასწრების ხარისხი, ნებისმიერი გამონათქვამი არის ექსპლიციტური ან იმპლიციტური ალოკუცია (ბენვენისტი 1980, 82).

ბენვენისტისთვის, მსმენელი შეიძლება იყოს რეალური ან წარმოსახვითი, ინდივიდუალური ან კოლექტიური. აქედან გამომდინარე, მეცნიერის თანახმად, „აუცილებელია გამოვყოთ გამონათქვამის ფიგურალური ჩარჩო. როგორც დისკურსის ფორმა, გამონათქვამი უკავშირდება ორ თანაბრად მნიშვნელოვან ფიგურას. ერთი წარმოადგენს გამონათქვამის წყაროს, მეორე - გამონათქვამის მიზანს. ეს არის დიალოგის სტრუქტურა“ (ბენვენისტი 1980, 85). ბენვენისტი თავად მონოლოგსაც კი, შინაგან დიალოგად ახასიათებს, რომლის დროსაც მეტყველი საკუთარ თავს ან სხვას მიმართავს, სხვა შეიძლება მეტყველების მომენტისათვის საკომუნიკაციო სიტუაციაში არ მყოფი ან არამატერიალურიც კი იყოს.

ბენვენისტმა გამონათქვამში სუბიექტურობის მნიშვნელობა სიტუაციური ელემენტების - დეიქტიკების შესწავლით კიდევ უფრო ღრმად გამოიკვლია. მან გამონათქვამში სამი ტიპის სიტუაციური ელემენტი გამოყო: პირის, სივრცის და დროის, იმის მიხედვით, თუ სამეტყველო აქტის რომელ კომპონენტზე - მეტყველების სუბიექტზე, მეტყველების ადგილსა თუ მეტყველების დროზე ხდება მითითება. ბენვენისტი ენაში არსებულ სიტყვებს კომუნიკაციური და ნომინაციური ფუნქციის მიხედვით უპირისპირებს ერთმანეთს. მისი აზრით,

ფორმები, რომელთაც ტრადიციულად "პირის ნაცვალსახელებს", "დემონსტრაციებს" უწოდებენ, ჩვენ მიგვაჩნია „ლინგვისტურ ერთეულთა კლასად“. ეს არის ფორმები, რომლებიც ყოველთვის და მხოლოდ პირებზე, დროზე, ადგილზეა მიმართული, მაშინ როცა ნომინაციური ფუნქციის მქონე სიტყვები ყოველთვის და მხოლოდ კონცეპტებზეა მიმართული (ბენვენისტი 1980, 83).

რაც შეეხება გამონათქვამში ინტერსუბიექტურობის გამომხატველ სიტუაციურ ელემენტებს, ბენვენისტმა ტრადიციული პირის ნაცვალსახელთა სისტემის სრულიად ახლებური კონცეფცია შემოგვთავაზა. როგორც პავო აღნიშნავს,

სწორედ ბენვენისტმა დაამტკიცა, რომ პირველ და მეორე პირის ნაცვალსახელებს მესამე პირის ნაცვალსახელისაგან განსხვავებული სტატუსი აქვს, იქედან გამომდინარე, რომ ისინი გამონათქვამის სიტუაციურ მარკერებს წარმოადგენენ. მართლაც, *მე დაშენ* ასახელებენ მხოლოდ გამონათქვამში მონაწილე სუბიექტებს, მაშინ როცა *ის* არის პირი, რომელზეც მიმდინარეობს საუბარი, რომელიც არ მიეკუთვნება საკომუნიკაციო სიტუაციას (პავო 2003, 173).

პავო აგრეთვე აღნიშნავს, რომ „დეიქტიკებს სემანტიკური შინაარსი არ აქვთ, არამედ ისინი შეადგენენ დისკურსის რეალობას“ (პავო 2003, 173).

ამდენად, ბენვენისტმა გამონათქვამის ძირითად განზომილებებად გამოყო ინტერსუბიექტურობა, რაც დისკურსში მის მიერვე შესწავლილი სიტუაციური ელემენტების - დეიქტიკების - საშუალებით ვლინდება, და ინდივიდუალიზაცია.

გამონათქვამის თეორიის სფეროში შედარებით ახალი ნაშრომები დომინიკ მენგენოს ეკუთვნის. მენგენოს დეფინიციით, გამონათქვაში არის „სამყაროსა და ენის დამაკავშირებელი ღერძი“ (მენგენო 2002, 228). მენგენო აკრიტიკებს ბენვენისტის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, მოსაუბრე ისაკუთრებს ენას, როგორც ნიშანთა სისტემას, თუმცა მის მიერ შემოთავაზებულ გამონათქვამის ინტერსუბიექტურ განზომილებას იზიარებს.

გამონათქვაში არ უნდა მივიჩნიოთ, როგორც ინდივიდის მიერ ენის, როგორც სისტემის მიკუთვნება. სუბიექტი გამონათქვამს წარმოთქვამს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ემორჩილება დისკურსის ნორმებს.

გამონათქვაში არ შემოიფარგლება მხოლოდ მეტყველი პირით, არამედ იგი უნდა განვიხილოთ ინტერაქციულ ჭრილში.

მეტყველი აუცილებლად არ იღებს თავის თავზე გამონათქვამს (პავო 2003, 172).

მენგენო თავის ნაშრომში გვთავაზობს აგრეთვე კერბრატ ორეკიონის მოსაზრებას გამონათქვამის თეორიებთან დაკავშირებით, სადაც ვიწრო კონცეფციის თანახმად, გამონათქვამის თეორიების ინტერესის სფერო შეიძლება დავიყვანოთ იმ ლინგვისტურ საშუალებებამდე, რომელთა მეშვეობითაც მეტყველი იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად ჩნდება გამონათქვამში (დეიქტიკები, დროის ზმნიშედეები, მოდალობა, შეფასება და ა. შ.). მეორე, ფართო კონცეფციის მიხედვით კი, გამონათქვამის ლინგვისტიკამ შეიძლება დისკურსის ანალიზის სფერო მოიცვას. ამ შემთხვევაში, „გამონათქვამის ლინგვისტიკის მიზანია გამონათქვამის ჩარჩოს შემადგენელი ელემენტების და გამონათქვამის შედეგს შორის ურთიერთმიმართების აღწერა“ (მენგენო 2002, 230).

დიუკრომ გამონათქვაში მიიჩნია, როგორც ენობრივი წარმონაქმნის პროდუცირებასთან დაკავშირებული მოვლენა. „გამონათქვამის წარმოქმნას როგორც სოციალური, ასევე ფსიქოლოგიური ფაქტორები განსაზღვრავს და ამ ფენომენის შესწავლა მათი გათვალისწინებით უნდა მოხდეს“ (პავო 2003, 171). დიუკრო ბენვენისტის თეორიას იზიარებს და იგი გამონათქვამს სუბიექტის ფაქტორის გათვალისწინებით განიხილავს. სწორედ ამ ნიშნის საფუძველზე უპირისპირებს იგი

გამონათქვამს და წინადადებას ერთმანეთს. „წინადადება არის ვირტუალური სინტაგმატური ჯაჭვი, ხოლო გამონათქვამი მოსაუბრე პირის მიერ პროდუცირებული სეგმენტი“ (პავო 2003, 171).

ამდენად, მეოცე საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბებული გამონათქვამის თეორიები პირველი ლინგვისტური მიმდინარეობაა, საიდანაც დაიწყო თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის არსებობა. გამონათქვამის თეორიებმა ლინგვისტურ აზროვნებაში დასვა სუბიექტურობის პრობლემატიკის საკითხი, რასაც აუცილებლად ითვალისწინებს არგუმენტაცია და რისი გაღრმავებული კვლევაც გამონათქვამის ლინგვისტიკის თეორიულ ბაზაზე ჩამოყალიბებულმა თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის სხვა მიმდინარეობებმა გააგრძელა.

### *1.3 პრაგმატიკა*

პრაგმატიკა, როგორც ლინგვისტური მიმდინარეობა, მეოცე საუკუნის 60-70-იან წლებში განვითარდა. ტერმინი პრაგმატიკა, როგორც ტერმინი énonciation, ენათმეცნიერებაში ფილოსოფიიდან შემოვიდა. იგი ლინგვისტიკაში პირველად ჩარლზ უილიამ მორისმა 1938 წელს შემოიტანა. მან ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი, სადაც სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა ერთიანდება, ნებისმიერი ნიშნის აუცილებელ განზომილებად მიიჩნია. თავდაპირველი მიდგომით, პრაგმატიკა გულისხმობს მიმართებას ენობრივ ნიშანსა და იმ სუბიექტს შორის, რომელიც ამ ენობრივ ნიშანს იყენებს. ამდენად, სამგანზომილებიანი მოდელის საშუალებით, კონკრეტულად, კი მისი პრაგმატიკული განზომილებით, ნიშანი დაუკავშირდა საკომუნიკაციო აქტს.

პრაგმატიკის განვითარებაში უდიდესი წვლილი ჯონ ოსტინმა და ჟან-ბლუზ გრიზიმ შეიტანეს.

მეოცე საუკუნეში მოღვაწე ამერიკელმა მკვლევარმა ოსტინმა დაადგინა, რომ ენას ქმედების ფუნქცია აქვს. მან გამონათქვამები, რომლებიც ჭეშმარიტება-მცდარობის კატეგორიას ექვემდებარება და სინამდვილეს ასახელებს კონსტანტივებად მიიჩნია, ხოლო კონსტანტივებიდან გამიჯნა და მათვე დაუპირისპირა ენობრივ ერთეულთა



სპეციალური ჯგუფი, რომელთაც პერფორმატივები უწოდა. ოსტინმა პერფორმატივების შემდეგი განსაზღვრება მოგვცა: „პერფორმატიული გამონათქვამი, ანუ პერფორმატივი ეწოდება ისეთ გამონათქვამს, რომლის წარმოთქმა თავისთავად შემდგარი გარკვეული ტიპის ქმედებაა“ (პავო 2003, 209). პერფორმატიულ ზმნებს ლინგვისტიკაში პრაგმატიკული ზმნების სახელითაც მოიხსენიებენ. ეს არის ზმნები, რომლებიც ქმედებას იმგვარად ასახავს, რომ ქმედება და ქმედების ნომინაცია ერთმანეთს ემთხვევა. ასეთი ტიპის ზმნებად ოსტინმა შემდეგი ენობრივი წარმონაქმნები მიიჩნია: მე სანაძლეოს ვდებ, გნათლავ, გარქმევ სახელს, ვაცხადებ, ვამტკიცებ, გნიშნავ, ვკრძალავ, გისჯი, გპირდები, გიანდერძებ და ა. შ.

თუმცა, ოსტინის აზრით, არასოდეს არის შესაძლებელი ქმედების განხორციელება მხოლოდ სიტყვათა წარმოთქმის საშუალებით. ამისათვის, საჭიროა პირობები, გარემო შეესაბამებოდეს წარმოთქმულ სიტყვებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქმედების შესრულება შეუძლებელი იქნება. პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში თქმა ქმედებას ემთხვევა, სამი სახისაა: საკუთრივ ლინგვისტური (წარმოთქმული უნდა იყოს განსაზღვრული ლინგვისტური ფორმულა), სოციოლოგიური (მეტყველს უნდა ქონდეს შესაბამის დროსა და შესაბამის ადგილზე სიტუაციის შესაბამისი სოციალური სტატუსი) და ფსიქოლოგიური (მეტყველების ფსიქოლოგიური განწყობა უნდა შესაბამებოდეს იმ ვალდებულებების ტიპს, რომელსაც თავის თავზე იღებს) (პავო 2003, 210).

მაშასადამე, პერფორმატივი მეტყველი სუბიექტის ქმედებას გულისხმობს. ეფექტური არგუმენტაცია, კი დისკურსული საშუალებებით მეტყველის მიერ მსმენელზე მოხდენილ გავლენად მიიჩნევა, რისი საბოლოო მიზანიც ხშირ შემთხვევაში, მსმენელის მეტყველის სურვილისამებრ ამოქმედებაა. ორივე შემთხვევაში ვერბალური რესურსებით გამოწვეულ ქმედებასთან გვაქვს საქმე. ოღონდ, პერფორმატივის შემთხვევაში, მეტყველის თქმის და ქმედების დრო ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ, როცა არგუმენტაციაში მეტყველის თქმა მსმენელის ქმედებას დროში წინ უსწრებს. ამასთანავე, პერფორმატივის შემთხვევაში მოქმედების სუბიექტი თვითონ მეტყველია, ხოლო არგუმენტაციაში - მსმენელი.

ოსტინმა პერფორმატივების გარდა, შემოგვთავაზა აგრეთვე უმნიშვნელოვანესი თეორია კომუნიკაციური ქმედების ოპერაციულ სტრუქტურასთან დაკავშირებით, რომელსაც სამეტყველო აქტთა თეორია ეწოდება. ამ თეორიის მიხედვით, ნებისმიერი გამონათქვამი სამ ოპერაციად, სამ ქვეაქტად - ლოკუციად, ილოკუციად და პერლოკუციად იყოფა.

ლოკუციური ქვეაქტი არის გამონათქვამის პროპოზიციული შინაარსი, მოცემული რეფერენტული სიტუაციის ინტერპრეტაცია. ეს აქტი გვიჩვენებს, რას ამბობს მეტყველი პირი.

ილოკუციური ქვეაქტი ნებისმიერ ენობრივ ქმედებას ახასიათებს. ეს არის მეტყველი სუბიექტის განზრახვა, ინტენცია, ის თუ რა მიზნით იგება გამონათქვამი. ილოკუცია შეიძლება იყოს გამონათქვამის ზედაპირზე ან იგულისხმებოდეს მის სიღრმისეულ სტრუქტურაში.

პერლოკუციური ქვეაქტი მოიაზრება, როგორც გამონათქვამის მიერ მსმენელზე მოხდენილი ეფექტი, შედეგი (ლებანიძე 2004, 249-250; პავო 2003, 211-212).

რაც შეეხება სამეტყველო აქტთა თეორიას არგუმენტაციულ დისკურსში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნებისმიერი არგუმენტაციული დისკურსისთვის დამახასიათებელი სამეტყველო აქტთა თეორიის ზოგადი ჩარჩო შემდეგია: ილოკუციური აქტი მსმენელის დარწმუნებას გულისხმობს, ლოკუციური აქტი, რომელიც არისტოტელეს ტრიადის ერთ-ერთი წევრის - ლოგოსის - სინონიმადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, არის არგუმენტატორის მიერ ვერბალური რესურსების გამოყენება ილოკუციური აქტის განხორციელების მიზნით, ხოლო პერლოკუციური აქტი განისაზღვრება, რამდენად ეფექტურად მოახერხა მეტყველმა მსმენელის დარწმუნება.

პრაგმატიკის ფარგლებში გამოვყოფთ აგრეთვე გრიზის თეორიას თანამშრომლობის პრინციპის შესახებ. მან შეიმუშავა კომუნიკაციის წარმართვის უნივერსალური პრინციპები და ქვეპრინციპები ე. წ. მაქსიმები, რომლებიც გაგების პროცესის სისტემატიზაციას არეგულირებენ.

გრიზი გამოყოფს საუბრის ოთხ მაქსიმას, რომელთა დაცვაც სუბიექტების მხრიდან მაქსიმალურად ეფექტური კომუნიკაციის განხორციელებას უზრუნველყოფს. ეს მაქსიმებია:

ა) რაოდენობის მაქსიმა, რომლის მიხედვითაც საუბარში მონაწილეობა არ უნდა იყოს საჭიროზე მეტად ან ნაკლებად ინფორმაციული.

ბ) ხარისხის მაქსიმა, რომლის მიხედვითაც მოლაპარაკე არ ამბობს იმას, რაც მისი აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება, ან იმას, რისი ადეკვატური დასაბუთებაც არ არსებობს.

გ) ღირებულების მაქსიმა, რომლის მიხედვითაც მეტყველმა უნდა თქვას ღირებული.

დ) რაგვარობის მაქსიმა, რომლის მიხედვითაც მოსაუბრე უნდა შეეცადოს თავიდან აიცილოს გაურკვეველობა და ორაზროვნება (პავო 2003, 217-218).

არგუმენტაციის თეორიები აღნიშნულ მაქსიმებს მის მთავარ მიზანს - ადრესატის დარწმუნებას - უქვემდებარებს. ამიტომ, არგუმენტაციისთვის მისაღებია ხარისხის მაქსიმას დარღვევა, იქედან გამომდინარე, რომ არგუმენტაციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პრინციპის თანახმად, მის ამოსავალ წერტილს არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ სავარაუდოდ მისაღები წარმოადგენს. არგუმენტაციამ შეიძლება უგულვებელყოფს, აგრეთვე, რაგვარობის მაქსიმაც და განსაზღვრულ სიტუაციაში, განსაზღვრულ საკითხზე ორაზროვნება და გაურკვეველობა დარწმუნების ხელშემწყობ ფაქტორად გამოიყენოს.

კომუნიკაციური აქტის გადააზრებისა და ლინგვისტური აზროვნების განვითარების შესაბამისად, პრაგმატიკის ცნებამ ექსპანსია განიცადა. თუკი, თავდაპირველი მიდგომით, პრაგმატიკა გულისხმობდა სუბიექტის მიმართებას მის მიერ გამოყენებულ ენობრივ ნიშანთან, თანამედროვე პრაგმატიკა სუბიექტურობის ნაცვლად გვთავაზობს ინტერსუბიექტურობას, ანუ ორივე - მეტყველი და მსმენელი - სუბიექტების გათვალისწინებას და თოთოეული მათგანის მიმართებას ენობრივ ნიშანთან. ამასთანავე, პრაგმატიკა გულისხმობს ორმაგ მიმართებას თვითონ სუბიექტებს შორის. თანამედროვე პრაგმატიკაში აღნიშნული ურთიერთმიმართებების გამოსახატავად ჩამოყალიბდა პრაგმატიკულ კატეგორიათა სამი სისტემა, რომელთა

ანალიზი ლებანიძემ თავის ნაშრომში „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“ შემოგვთავაზა (ლებანიძე 2004).

პირველ ქვესისტემაში სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიები შედის. ისინი საკომუნიკაციო აქტში ადრესანტის ადგილსა და როლს განსაზღვრავს. ესენია:

1. ლოკაციის კატეგორია - „ყოველი გამონათქვამის შინაარსი დამოკიდებულია არა მარტო მასში უშუალოდ ასახულ რეალობაზე (რეფერენტული სიტუაცია), არამედ, აგრეთვე იმაზეც, თუ როდის, სად და ვის მიერ არის პროდუცირებული ეს გამონათქვამი“ (ლებანიძე 2004, 256). გამონათქვამის თეორიებზე საუბრისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ბენვენისტის მიერ შემუშავებული ლინგვისტიკის კონცეფციაში უკვე გამოიყო სამეტყველო სიტუაციის - პირის, დროის და სივრცის - კოორდინატები. ენათმეცნიერებაში სამივე კოორდინატის სისტემის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი *ლოკაცია*, რომლის ფორმულა შემდეგნაირად აღინიშნება: მე, აქ, ახლა.

2. მოდალობის კატეგორია - ლებანიძე მიუთითებს სუბიექტურ და ობიექტურ მოდალობაზე. ობიექტური მოდალობა არის გამონათქვამში ასახული სიტუაციის დამოკიდებულება რეალობასთან. სუბიექტური მოდალობა გამონათქვამში ასახული სიტუაციის მიმართ მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებას ასახავს (ლებანიძე 2004, 257).

3. შეფასების კატეგორია - ეს არის მეტყველი სუბიექტის აქსიოლოგიური დამოკიდებულება რეალობისადმი. ყოველი გამონათქვამი და პირველ რიგში, გამონათქვამის ლექსიკური ელემენტები ყოველთვის შეიცავენ არა მარტო რეალობის უბრალო ნომინაციას, არამედ მის შეფასებასაც, რაც საბოლოო ჯამში, ყოველთვის გულისხმობს ცუდისა და კარგის ოპოზიციას (ლებანიძე 2004, 257).

4. ემოციურობის კატეგორია - ეს არის მეტყველი სუბიექტის სულიერი, ფსიქიური მდგომარეობა კომუნიკაციურ სიტუაციაში. ეს კატეგორია ძალიან ახლოს დგას შეფასების კატეგორიასთან.

5. დისტანტურობის კატეგორია

ეს არის მეტყველი სუბიექტის დაინტერესებულობა გამონათქვამის შინაარსით, ის, თუ რამდენადაა იგი პირადად ჩართული გამონათქვამში. დისტანტურობის დონე დამოკიდებულია არა მარტო გამონათქვამის შინაარსზე, არამედ იმაზეც, თუ რომელ ფუნქციურ სტილს ეკუთვნის იგი. მაგ., მეცნიერულ სტატიაში ეს ფაქტორი უფრო ნაკლებადაა გამოვლენილი, ვიდრე მხატვრულში (ლებანიძე 2004, 258).

პრაგმატიკულ კატეგორიათა მეორე ქვესისტემა, რომელიც ასახავს ადრესატს, მის პოზიციას და გავლენას გამონათქვამზე, შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

1. ინფორმაციულობის კატეგორია - გამონათქვამი „უნდა შეიცავდეს ადრესატისთვის ახალს და ეს ახალი უნდა ემყარებოდეს იმას, რაც ცნობილია“ (ლებანიძე 2004, 269).
2. ექსპრესიულობის კატეგორია - გულისხმობს აქცენტის გადატანას ადრესანტიდან ადრესატზე.

ექსპრესიულობის კატეგორიის ძირითადი ფუნქციური დატვირთვა გულისხმობს, ამ შემთხვევაში იმას, რომ ექსპრესიულობის მიზანია ადრესატზე ზემოქმედება... ამ შემთხვევაში ექსპრესიულობა განიხილება, როგორც ისეთი სისტემა, რომელიც თავის თავში შეიცავს სამ წევრს: მე, ის (ვის ან რის მიმართაც გამოვხატავ ექსპრესიულობას) და ის (ვისთვისაც გამოვხატავ ექსპრესიულობას). ძირითადი წევრი სწორედ მესამეა (ლებანიძე 2004, 271).

3. გამჭირვალობის კატეგორია - „გამონათქვამის გამჭვირვალობა გულისხმობს იმას, რომ ჩვენი ნათქვამი გასაგებია ადრესატისათვის“ (ლებანიძე 2004, 267). გამჭვირვალობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: გამონათქვამში ასახული რეფერენტული და საკომუნიკაციო სიტუაცია უნდა იყოს იდენტური ორივე მონაწილისათვის. ამასთან ერთად, კომუნიკანტთა თეზაურუსებს შორის არ უნდა იყოს პრინციპული სხვაობა.

პრაგმატიკულ კატეგორიათა მესამე ქვესისტემა ასახავს ადრესანტსა და ადრესატს შორის ურთიერთმიმართებას, რომელიც შეისწავლა კერბრატ ორეკიონიმ. მან შეიმუშავა კომუნიკაციის ინტერაქციული სქემა, სადაც ვერტიკალურ ღერძზე განთავსებულია ბლოკები, რომლებშიც ორივე კომუნიკანტის, როგორც მეტყველის, ასევე მსმენელის, საერთო მახასიათებლებია დაჯგუფებული. ესენია: ლინგვისტური და

პარალინგვისტური კომპეტენცია, იდეოლოგიურ-კულტურული კომპეტენცია, ფსიქოლოგიური მხარე, დისკურსის ნორმები.

როგორც ვხედავთ, სუბიექტების პრაგმატიკული კატეგორიების სისტემატიზაციის საშუალებით საკმაოდ დაწვრილებით და სისტემურადაა შესწავლილი დისკურსში ინტერსუბიექტურობის საკითხი, რასაც არგუმენტაცია თავისი მიზნის განსახორციელებლად იყენებს. პრაგმატიკული კატეგორიების გათვალისწინებით არგუმენტაციულ დისკურსში მეტყველს შეუძლია წარმოაჩინოს ეთოსი თუ პათოსი მისთვის სასურველი დოზით (ლოკაციის, ექსპრესიულობის კატეგორია), გამოხატოს თავისი დამოკიდებულება დისკურსში ასახული რეფერენტული სიტუაციის მიმართ (ემოციურობის, შეფასების კატეგორია), მისი ინტენციიდან გამომდინარე, ჩართოს თავისი თავი დისკურსში, რის შედეგადაც შეუძლია მაქსიმალურად წაშალოს მეტყველის წარმომჩენი ლინგვისტური მარკერები და დისკურსს ობიექტური შეფერილობა მისცეს ან პირიქით, მეტყველის სუბიექტური პოზიცია ნათლად წარმოაჩინოს (დისტანტურობის კატეგორია) და ა. შ.

#### **1.4 დისკურსის ანალიზი**

დისკურსის ანალიზი, როგორც ლინგვისტური მიმდინარეობა, ჩამოყალიბებას მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან, სტრუქტურალიზმის ეპოქის დასასრულსა და პრაგმატიკული ლინგვისტიკის განვითარების პარალელურად იწყებს. მან კვლევის ობიექტად დისკურსი გამოყო. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ დისკურსის ანალიზს მკვეთრად შემოსაზღვრული კონტურები არ გააჩნია. ლინგვისტიკის გარდა, დისკურსის ფენომენი სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყურადღების ცენტრშიცაა, როგორებიცაა, მაგალითად, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ფილოსოფია.

ლინგვისტიკაში დამკვიდრებამდე, ტერმინი დისკურსი კლასიკურ ფილოსოფიაში გამოიყენებოდა, სადაც ინტუიტიური ცოდნის საპირისპიროდ იყენებდნენ ტერმინს - დისკურსული ცოდნა. პირველად ენათმეცნიერების სფეროში ტერმინი დისკურსის ანალიზი ზელინგ ჰარისმა გამოიყენა. მან 1952 წელს გამოაქვეყნა

სტატია სახელწოდებით „დისკურსის ანალიზი“, სადაც ზეფრაზული ერთეულების მიმართ გამოყენებული დისტრიბუციული მეთოდი გააანალიზა. ჰარისმა სტატიაში დისკურსი ისეთ ზეფრაზულ ერთეულად განიხილა, რომელიც ფრაზათა ერთობლიობისაგან შედგება (პავო 2003, 194), რის გამოც, თავდაპირველი მნიშვნელობით, დისკურსის ანალიზს ტექსტის ლინგვისტიკის სინონიმად მიიჩნევენ. ტერმინ „დისკურსის“ ახალი მნიშვნელობით ხმარება კი მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. ფრანგული სკოლა დისკურსის ანალიზში ენობრივ წარმონაქმნებს ძირითადად, მათი პროდუცირების სოციალური პირობების გათვალისწინებით შეისწავლის, ხოლო ანგლო-საქსური მიდგომის მიხედვით, დისკურსის ანალიზი საუბრის ანალიზს უდრის. მისი ძირითადი პოსტულატი დისკურსის ინტერაქციული ხასიათია, რაც ზეპირი თუ წერიტი ვერბალური წარმონაქმნების გაცვლა-გამოცვლას გულისხმობს.

სამეცნიერო სივრცეში დისკურსის ანალიზის შესახებ არა ერთი მოსაზრება არსებობს.

მენგენო თავის სტატიაში „დისკურსის ანალიზი და მისი საზღვრები“, დისკურსს მიიჩნევს, როგორც „სუპერლინგვისტიკის“ სახეობა, სადაც ფორმა და ფუნქცია, სისტემა და მისი გამოყენება თანაარსებობენ“ (მენგენო 2005, 65). მან დისკურსის ანალიზის საგნად გამოყო „არა საკუთრივ ტექსტის შიდა ორგანიზაცია, არა საკომუნიკაციო სიტუაცია, არამედ გამონათქვამის მექანიზმი, რომელიც როგორც ტექსტის ორგანიზაციას, ასევე განსაზღვრულ სოციალურ კონტექსტს აერთიანებს“ (მენგენო 2002, 43).

როგორც მენგენო აღნიშნავს იმავე სტატიაში (მენგენო 2005), ვან დეიკი დისკურსის ანალიზს მეოცე საუკუნის დისციპლინად არ მიიჩნევს.

დისკურსის ანალიზი არის ახალი და ამავდროულად ძველი დისციპლინა. მისი გენეზისი შეიძლება ლიტერატურაში, საჯარო მეტყველებაში, ენის ფენომენის შესახებ კვლევებში ვეძებოთ, რომლებიც 2 000 წელზე მეტს ითვლის. დისკურსის ანალიზის ერთ-ერთ მეცნიერულ წყაროდ, უდაოდ, კლასიკური რიტორიკა, კარგად თქმის ხელოვნება უნდა მივიჩნიოთ (მენგენო 2005, 65).

უშუალოდ დისკურსის ანალიზი კი დეიკის აზრით, შეისწავლის „ენის რეალური გამოყენების შემთხვევებს რეალური პირების მიერ რეალურ სიტუაციებში“ (მენგენო 2002, 42).

ბენვენისტმა გამონათქვამის თეორიის შექმნაზე მუშაობისას დისკურსი გამონათქვამის პროცესთან ახლოს მდგომ ფენომენად მიიჩნია. მისი განსაზღვრებით, დისკურსი არის ენა, „რომელსაც ინტერსუბიექტურობის პირობებში იყენებს მოლაპარაკე პირი, რაც შესაძლებელს ხდის ლინგვისტურ კომუნიკაციას“ (ბენვენისტი 1966, 266). ამგვარად, ბენვენისტისთვის დისკურსი ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ენის, როგორც სისტემის, ინტერსუბიექტურ სივრცეში გადასვლა ხორციელდება.

ფილოსოფიის სფეროდან უნდა აღვნიშნოთ ფუკოს მნიშვნელოვანი კონცეფცია დისკურსის შესახებ, რომლის განსაზღვრებითაც, „დისკურსი არის გამონათქვამთა ის ერთობლიობა, რომლებიც წარმოსდგებიან ერთი და იგივე დისკურსული ფორმაციიდან (პავო 2003, 199).

ჟან-მიშელ ადამი დისკურსის ფენომენს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „დისკურსი ესაა ტექსტის კონტექსტში ჩართვა. კონტექსტში პროდუცირებისა და ინტერპრეტაციის პირობები მოიაზრება“ (მენგენო 2002, 186).

როგორც დებორა შიფრენი აღნიშნავს, დისკურსის ანალიზი არის ენათმეცნიერების ყველაზე ნაკლებად შემოსაზღვრული და ყველაზე ვრცელი ზონა. მისი დეფინიციით, დისკურსის ანალიზი შეისწავლის „ენის გამოყენებას სოციალური, ექსპრესიული და რეფერენციული მიზნებით“ (მენგენო 2002, 42).

დისკურსის ანალიზს უფრო შეზღუდულ ფარგლებში განიხილავს ჟაკ მოშლერი და ან რებული და მას, ჰარისის მსგავსად, ზეფრაზული ერთეულების შესწავლის სინონიმად მიიჩნევენ. ისინი დისკურსის ანალიზს განსაზღვრავენ, როგორც „ლინგვისტიკის ქვე-დისციპლინას, რომელიც კონცენტრირებულია სხვადასხვა საკითხზე (ანაფორა, ზმნის დრო, კონექტორები და ა. შ.) და ეყრდნობა ფრაზაზე აღმატებულ ერთეულს - დისკურსსა და იმ ცნებებს, რომლებიც მისი განსაზღვრის საშუალებას იძლევა (კოჰერენტულობა, დისკურსული მეხსიერება და ა. შ.) (მენგენო 2005, 66).



მენგენომ თავის ნაშრომში „დისკურსის გენეზისი“, რომელიც 1984 წელს გამოაქვეყნა, დისკურსის განმარტებისას 7 ჰიპოთეზა ჩამოაყალიბა. ესენია:

ინტერდისკურსულობა - ინტერდისკურსი მეტია, ვიდრე დისკურსი. იგი აზრობრივად სრულყოფილ მნიშვნელობას მხოლოდ სხვა დისკურსების სერიაში ჩართვის შედეგად იღებს.

ურთიერთგავლენა - ავტონომიურად არც ერთი დისკურსი არ იქმნება. სხვის მიერ პროდუცირებული დისკურსები რამდენადმე გავლენას ახდენს ნებისმიერი დისკურსის კონსტრუირებაზე.

წესთა სისტემა - დისკურსში არის იმპლიციტური თუ ექსპლიციტური ნიშნები, რომლებიც ამა თუ იმ დისკურსულ ფორმაციაში მისი ინტეგრაციის საშუალებას იძლევა.

ინტერდისკურსული კომპეტენცია - სუბიექტს განათლების, აღზრდის, საზოგადოების გავლენით ხშირად გაუცნობიერებელი სამეტყველო კომპეტენცია უყალიბდება. ინდივიდი პროდუცირებს ისეთ დისკურსებს, რომლებიც მისი ინდივიდუალური დისკურსული ფორმაციის შესაბამისია და განსხვავებული დისკურსული ფორმაციის გამონათქვამებს არაადეკვატურად აღიქვამს.

დისკურსული პრაქტიკა - დისკურსი არ უნდა მივიჩნიოთ კონტექსტიდან ამოვარდნილ გამონათქვამთა სისტემად, არამედ, იგი შეადგენს სოციალურ, კულტურულ, ინტელექტუალურ და ტექნიკურ გარემოში განხორციელებულ პრაქტიკას.

ინტერსემიოტიკური პრაქტიკა - დისკურსი უნდა განვიხილოთ, როგორც არა მხოლოდ გამონათქვამთა ერთობლიობა, არამედ ინტერსემიოტიკური პრაქტიკა, რომელიც ჩართულია სხვა სემიოტიკურ ნიშანთა სისტემაში.

სოციო-ისტორიული ფონი - დისკურსი სოციალურ-ისტორიულ გარემოსთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად ყალიბდება. ყოველგვარ ენობრივ და ამდენად, სააზროვნო სპეციფიკას განაპირობებს ის გარემო, რომელშიც ნებისმიერი დისკურსი წარმოიშობა (პავო 2003, 200-201).

2002 წელს შაროდომ და მენგენომ გამოსცეს „დისკურსის ანალიზის ლექსიკონი“, სადაც აღნიშნული ჰიპოთეზები ტრანსფორმირებული სახით არის განხილული.

დისკურსი ორგანიზაციის თვალსაზრისით წარმოადგენს ზეფრაზულ ერთეულს, რაც ცალსახად არ ნიშნავს იმას, რომ მისი სტრუქტურა აუცილებლად ფრაზაზე დიდ ერთეულს უნდა უდრიდეს.

დისკურსი ორიენტირებულია. დისკურსს ორიენტაციას აძლევს მეტყველი, რადგან მას გარკვეული მიზნით ქმნის. ამასთანავე, დისკურსი დასასრულისკენაა მიმართული და მიმდინარეობს დროში.

დისკურსი მოქმედების გარკვეული ფორმაა. იგი არ წარმოადგენს მხოლოდ თქმას, არამედ იგი თავის თავში გარკვეული ქმედების შესრულებას გულისხმობს.

დისკურსი ინტერაქციულია. ნებისმიერი გამონათქვამი, ყავს თუ არა მას კონკრეტული ადრესატი, ან მისი თანდასწრებით იქმნება თუ არა დისკურსი, შინაგანი სტრუქტურით ყოველთვის ინტერაქციულია.

დისკურსი კონტექსტუალიზირებულია. დისკურსი კონტექსტუალიზირებულია, იქედან გამომდინარე, რომ გამონათქვამს მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ კონტექსტში ჩართვის შემდეგ. ამასთანავე, დისკურსი მისი კონტექსტის განსაზღვრას უწყობს ხელს და გამონათქვამის პროცესში მისი მოდიფიკაციაც შეუძლია.

დისკურსს ვიღაც იღებს თავის თავზე. დისკურსი მხოლოდ მაშინ არის დისკურსი, როდესაც მას რომელიმე ინსტანციას მიაკუთვნებენ, რომელიც არის წყარო მოქმედი პირის, მოქმედების დროის და ადგილის და იმავდროულად მიუთითებს, როგორია მისი დამოკიდებულება ერთის მხრივ იმისადმი, რასაც ამბობს და მეორეს მხრივ, მისი თანამოსაუბრისადმი.

დისკურსი მართულია ნორმებით. ვერანაირი სამეტყველო აქტი ვერ შედგება, თუ მას არ გააჩნია ის ნორმები, რითაც იგი ასეთად უნდა ჩამოყალიბდეს. თითოეული სამეტყველო აქტი ეწერება დისკურსის ამა თუ იმ ჟანრში და ამით ხელს უწყობს მის ასეთად დაკანონებას, რასაც ადგილი აქვს მხოლოდ მეტყველების დროს.

დისკურსი მოიაზრება მხოლოდ ინტერდისკურსში. დისკურსს აზრი აქვს მხოლოდ სხვა დისკურსების სამყაროს შიგნით, რომელშიც იგი გზას იკვლევს. უკვე დისკურსის ამა თუ იმ ჟანრში მოქცევის ფაქტი გულისხმობს მის დაკავშირებას

განუსაზღვრელი რაოდენობის სხვა დისკურსების ერთობლიობასთან (მენგენო 2002, 185-190).

### *1.5 პოლიტიკური დისკურსი*

პოლიტიკური დისკურსი ინტერდისციპლინარული კვლევის საგანია. მთელი რიგი ჰუმანიტარული მეცნიერებები: ლინგვისტიკა, პოლიტიკა, ისტორია, სტატისტიკა, სოციოლოგია, კომუნიკაციის თეორია, სოციო-ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, არგუმენტაციის თეორიები, ანთროპოლოგია სხვადასხვა კუთხით იკვლევს მას. ამავდროულად, პოლიტიკური დისკურსის კვლევა, უმთავრესად, არა ამა თუ იმ ერთი კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში, არამედ ერთდროულად სხვადასხვა მეცნიერებებზე დაყრდნობით ხდება.

პოლიტიკური დისკურსის ინტერდისციპლინარულ მიდგომაზე დაფუძნებული ანალიზი შემოგვთავაზა პატრიკ შაროდომ თავის უმნიშვნელოვანეს ნაშრომში „პოლიტიკური დისკურსი, ძალაუფლების ნილაზი“ (2005).

დრის აბლალი თავის სტატიაში, რომელიც მან შაროდოს ნაშრომის განხილვას მიუძღვნა, აღნიშნავს: „ამ წიგნში ავტორი დისკურსის ანალიზის ფარგლებშია, თუმცა, იგი იყენებს ასევე სოციალურ ფსიქოლოგიას, ფილოსოფიას, ჟურნალისტიკას, დისკურსის ანალიზს, არგუმენტაციას“ (აბლალი 2006, 205).

შაროდოს აზრით, დისკურსი, თავისთავად აღებული, არ არის პოლიტიკური, არამედ დისკურსს პოლიტიკურს შესაბამისი საკომუნიკაციო სიტუაცია ხდის. სწორედ, საკომუნიკაციო სიტუაციაზე და არა თავად დისკურსის შინაარსზეა დამოკიდებული დისკურსი პოლიტიკურია თუ არა (შაროდო 2005, 30).

სანამ უშუალოდ პოლიტიკური დისკურსის დეფინიციებზე გადავალთ, ჩვენ შევჩერდებით თავად პოლიტიკური კომუნიკაციის ფენომენზე, იმდენად, რამდენადაც პოლიტიკური დისკურსის განმაპირობებელ ფაქტორს სწორედ იგი წარმოადგენს.

როგორც კაროლინ ოლივიე-იანივი აღნიშნავს თავის სტატიაში „პოლიტიკური დისკურსი, პროპაგანდა, კომუნიკაცია და მანიპულაცია“, დომინიკ ვოლტონის მიერ 1989 წელს შემოთავაზებული პოლიტიკური კომუნიკაციის დეფინიცია, რომელიც მან ჟურნალ „ჰერმეს“-ის ერთ-ერთ პირველივე ნომერში გამოაქვეყნა, შემდეგია: „პოლიტიკური კომუნიკაცია, ესაა სივრცე, სადაც სამ სუბიექტს შორის, რომელთაც აქვთ უფლება გამოხატონ საჯაროდ თავიანთი აზრი პოლიტიკაზე - პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და საზოგადოებრივი აზრი -, მიმდინარეობს დისკურსების გაცვლა-გამოცვლა“ (ოლივიე-იანივი 2010, 33).

ჟაკ ჟერსტლე ხაზს უსვამს პოლიტიკური კომუნიკაციის ფენომენის სიძველეს და აღნიშნავს, რომ პოლიტიკური კომუნიკაცია, თანამედროვე გაგებით, თითქმის ანტიკური პერიოდის გაგების იდენტურია. „პოლიტიკური კომუნიკაცია დემოკრატიული რეჟიმის დროს ცდილობს მიაღებინოს მსმენელებს ის პოლიტიკური არჩევანი, რომელსაც მათ სთავაზობენ“ (ჟერსტლე 2008, 78).

კრისტიან ბეილონს თავის ნაშრომში „სოციოლინგვისტიკა“ მოყავს რიჩარდ ფაგენის დეფინიცია, რის მიხედვითაც, პოლიტიკური კომუნიკაციის ფენომენი მდგომარეობს მესიჯის კარგ გადაცემაში, რომელიც ხორციელდება, ზოგადად, ზედა პოზიციაზე მდგომი მეტყველისაგან და მიმართულია მსმენელისაკენ, ხალხისაკენ. მეტყველისა და მსმენელის ურთიერთობები პირველ ადგილზეა. შექცევადი და გახსნილი ურთიერთობები ქმნის დემოკრატიულ სტილს, ხოლო შეუქცევადი და ფარული - დესპოტურ სტილს (ბეილონი 1996, 248). ბეილონთან ვხვდებით, აგრეთვე, პოლიტიკური კომუნიკაციის ჟან-მარი კოტერეს მიერ შემოთავაზებულ განმარტებას: „პოლიტიკური სფეროს მოქმედი პირები პოლიტიკური კომუნიკაციის წარმომთქმელები, ემეტორები არიან, ის, რაც მნიშვნელოვანია, არის შეტყობინების წარმოქმნა, მისი ფორმა, რომელიც ემორჩილება კომუნიკაციის ჩარჩოებს, ხოლო შეტყობინების ეფექტურობას ქმნის შეტყობინების სიგრძე თუ სიმოკლე, სისწრაფე თუ სინელე, მეტად თუ ნაკლებად მდიდარი სემების კონსტელაცია, თანაარსებობა, ახალი სიტყვების დიდი თუ მცირე რაოდენობით შემოტანა, გადაჭარბების ეფექტი და სიმბოლური სახეები“ (ბეილონი 1996, 248).

რაც შეეხება თავად პოლიტიკურ დისკურსს, თანამედროვე მეცნიერებაში მის შესახებ ძირითადად გამოიყოფა დეფინიციები ფართო ან ვიწრო გაგებით.

რეთ ამოსი თავის სტატიაში „არგუმენტაცია და პოლიტიკური დისკურსი“, გვთავაზობს როლან ბარტის მიერ შემუშავებულ დეფინიციას, სადაც პოლიტიკური დისკურსი ვიწრო გაგებით არის განმარტებული: „პოლიტიკური დისკურსი არის პოლიტიკოსების დისკურსი, რომლის საშუალებითაც ისინი ასრულებენ თავიანთ პროფესიულ ფუნქციებს (ამოსი 2010, 14).

ფართო გაგებით, კი ნებისმიერი დისკურსი პოლიტიკურია, თუ იგი ეხება საზოგადოებრივ მოწყობას (ბონაფუსი 2003, 12). ითვალისწინებს რა პოლიტიკური დისკურსის როგორც ფართო, ასევე ვიწრო გაგებას, ამოსის განმარტებით, „პოლიტიკური დისკურსის საგნის ჰორიზონტი იწყება პოლიტიკოსთა პროფესიული დისკურსებით და ვრცელდება ნებისმიერ დისკურსზე, რომელიც ეხება საზოგადოებრივ საკითხებს საზოგადოებრივ სფეროში“ (ამოსი 2010, 14).

ბერნარ ბუფონი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური დისკურსი სათათბირო დისკურსის არქეტიპს წარმოადგენს და იგი მდგომარეობს „იმ გადაწყვეტილებებისა და წინადადებების დაცვასა ან გაკრიტიკებაში, რომელიც საზოგადოებას შეეხება, იმისდა მიხედვით, საზოგადოებისთვის სასარგებლოდ მიაჩნიათ ისინი, თუ საზიანოდ“ (ბუფონი 2002, 331).

პოლიტიკურ დისკურსს თავის ნაშრომში „სოციოლინგვისტიკა“ თავდაპირველად ბეილონი განმარტავს შემდეგნაირად: „დისკურსი პოლიტიკურია, თუ იგი წარმოთქმულია პოლიტიკოსის მიერ პოლიტიკური მიზნით“ (ბეილონი 1996, 248). შემდეგ, კი მეცნიერი აღნიშნავს:

აბსურდია ვთქვათ, რომ ნებისმიერი დისკურსი პოლიტიკურია. მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ იდეოლოგია და პოლიტიკა: დისკურსი პოლიტიკური ხდება პოლიტიკური საკომუნიკაციო სიტუაციით, მეტყველის პიროვნებით, მეტაენით, რაც წარმოადგენს შესწავლის ობიექტს, ხოლო სოციოლინგვისტიკის მიერ პოლიტიკური დისკურსის კვლევა მხოლოდ პირველი

მოკრძალებული ნაბიჯია დისკურსის ზოგადი თეორიისაკენ (ბეილონი 1996, 255).

შაროდომ ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში „პოლიტიკური დისკურსი, ძალაუფლების ნილაბი“, პოლიტიკური დისკურსის დეფინიციათა სისტემა შემოგვთავაზა.

ზოგადი განმარტებით, პოლიტიკური დისკურსი „ეს არის მცდელობა განვსაზღვოთ ლანგაჟის ორგანიზაციის ფორმა, გამოყენების განსაზღვრული სფეროს ფარგლებში მისი პროდუცირებისა და ფსიქოლოგიური და სოციალური შედეგების გათვალისწინებით (შაროდო 2005, 24).

შაროდო პოლიტიკური დისკურსის პროდუცირების სამ ადგილს გამოყოფს. ესენია: აზროვნების სისტემა, კომენტარი და საკომუნიკაციო აქტი. მათი წარმოთქმის ადგილის გათვალისწინებით შაროდო პოლიტიკური დისკურსის ერთმანეთისგან განსხვავებულ სამ დეფინიციას იძლევა.

„პოლიტიკური დისკურსი, როგორც აზროვნების სისტემა, დისკურსული ქმედების შედეგია, რომელიც იმ პრინციპებზე დაყრდნობით, რომელზეც უნდა იგებოდეს პოზიციები და მოსაზრებები, ცდილობს შექმნას პოლიტიკური იდეალურობა“ (შაროდო 2005, 30).

პოლიტიკური დისკურსი, როგორც კომენტარი, აუცილებლად პოლიტიკური მიზნებისკენ არ არის მიმართული. თუმცა, დისკურსის თემაა პოლიტიკა, მაგრამ, იგი შეიძლება იყოს ხანმოკლე, შეწყდეს ისე, რომ არ მოხდეს აზრის ჩამოყალიბება ან პოზიციის მიღება. პოლიტიკური კომენტარის განსაკუთრებული მახასიათებელი არის ის, რომ იგი სუბიექტს მოქმედებისკენ არ უბიძგებს (შაროდო 2005, 30).

„პოლიტიკური დისკურსი, როგორც საკომუნიკაციო აქტი, უშუალოდ ეხება იმ პოლიტიკური კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირებს, რომლის მიზანიცაა ზეგავლენა მოახდინოს ამ აქტში მონაწილეთა შეხედულებებზე, რათა მიაღწიონ მათ მიმხრობას, უარყოფას ან კონსენსუსს (შაროდო 2005, 30).

პოლიტიკური დისკურსის განსაზღვრებასთან დაკავშირებით ყველაზე ამომწურავად სწორედ შაროდოს მიერ შემოთავაზებული დეფინიციათა სისტემა

მიგვაჩნია. კონკრეტულად კი, ჩვენი კვლევა, მისი სპეციფიკიდან და ინტენციებიდან გამომდინარე, დაეფუძნება შაროდოს დეფინიციას - პოლიტიკური დისკურსი, როგორც საკომუნიკაციო აქტი.

### **1.6. დასკვნა**

ამდენად, ჩვენ უკვე განვიხილეთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის მიმდინარეობები - გამონათქვამის თეორიები, პრაგმატიკა, დისკურსის ანალიზი. დისკურსის ანალიზის ფარგლებში გამოვყავით ჩვენი კვლევის ობიექტი - პოლიტიკური დისკურსი, შევჯერდით ჩვენი ანალიზისთვის რელევანტურ პოლიტიკური დისკურსის სამუშაო დეფინიციასზე.

კომუნიკაციური ლინგვისტიკის თეორიული მიმოხილვის შემდეგ, რამაც გარკვეული თეორიული საფუძველი შეუქმნა ჩვენ საკვლევ თემატიკას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უფრო დავაფიწროვოთ ჩვენი სამეცნიერო მიმოხილვა ჩვენი კვლევის პრობლემატიკისაკენ და უშუალოდ გადავიდეთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმდინარეობაზე - არგუმენტაციის თეორიებზე. წინამდებარე თავში ჩვენ გავეცნობით არგუმენტაციის ფენომენის შესახებ არსებულ მნიშვნელოვან სამეცნიერო წყაროებს მისი შექმნიდან თანამედროვე თეორიების ჩათვლით.

## თავი 2. არგუმენტაციის თეორიები

### 2.1 არგუმენტაციის თეორიის გენეზისი

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, არგუმენტაციის ფენომენით მეცნიერები ძალიან ადრე, ანტიკური კულტურის დაცემამდე ჯერ კიდევ ჩვენს წ. აღ-მდე, მე-5 საუკუნეში დაინტერესდნენ. ძველ საბერძნეთში შექმნილმა სოციო-პოლიტიკურმა სიტუაციამ საჯარო გამოსვლის ხელოვნების შექმნის აუცილებლობა მოიტანა. სწორედ ათენის ქალაქ-სახელმწიფოს დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებამ და სასამართლო წარმოების წესებმა განაპირობეს მოქალაქეებისთვის საჯარო გამოსვლისა და დამარწმუნებელი სიტყვის წარმოთქმის ხელოვნების ცოდნის საჭიროება. როგორც ფილიპ ბრეტონი აღნიშნავს, „რიტორიკა დაიბადა ერთდროულად იურიდიულ კონტექსტისა და იმ მეთოდების შემუშავების ფარგლებში, რომლებიც სიტყვის ეფექტურობის სისტემაში მოყვანის საშუალებას იძლევა“ (ბრეტონი 2011, 13). პირველი სამეცნიერო სახელმძღვანელო, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში არგუმენტაციის შესახებ შეიქმნა, დაწერილი უნდა იყოს ძველი წ. აღ-ის 450 დან 440 წ.წ.-ში სირაკუსელი ბერძნების კორაქსისა და მისი მოსწავლის ტისიას მიერ. თუმცა მათმა ნაშრომმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. მხოლოდ მისი გარკვეული ფრაგმენტები შემოგვრჩა იმის წყალობით, რომ არისტოტელემ თავის ნაშრომებში გამოიყენა. კორაქსიმ რიტორიკის საგნად დარწმუნება გამოყო. მასვე უნდა ეკუთვნოდეს რიტორიკის პირველი დეფინიცია: დარწმუნების შექმნის ხელოვნება (მეიერი 1999, 21). მეიერი კორაქსის ნაშრომის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევს მის მიერ რიტორიკისთვის „საჭირო ინსტრუმენტის“ - „სავარაუდოდ მისაღების“ გამოყოფას (მეიერი 1999, 21). ამასთანავე, კორაქსიმ შეიმუშავა ტექნიკათა ერთობლიობა, რომელიც ტრიბუნალის წინაშე მაქსიმალურად ეფექტური არგუმენტაციის საშუალებას იძლევა. მანვე შემოგვთავაზა დამარწმუნებელი დისკურსის ორგანიზების ოთხი ეტაპი:



1. Exorde, რომელიც გულისხმობს აუდიტორიის ყურადღების მიპყრობას.
2. Présentation des faits, ფაქტების წარდგენა - ამ ეტაპზე ორატორმა უნდა მოახდინოს თავისი თეზისის პრეზენტაცია მსმენელთა წინაშე.
3. Discussion, დისკუსია, რომლის დროსაც ორატორი წარადგენს არგუმენტებს თავისი თეზისის დასაცავად.
4. Péroration, ბოლო ეტაპი, რომელიც გულისხმობს დისკურსის დასრულებას დასკვნითი ფორმულით (ბრეტონი 2011, 14).

რიტორიკული ხელოვნების შემდგომი განვითარება დაკავშირებულია სოფისტების (ძვ. წ-ის მე-5 - მე-4 საუკუნეების დასაწყისი) სახელთან, რომლებმაც მჭევრმეტყველება ზოგადსაგანმანათლებლო საგნად აქციეს. სოფისტები სხვადასხვა ქალაქებში დადიოდნენ და მოსახლეობას სხვადასხვა მეცნიერებაზე ლექციებს უკითხავდნენ. ჟან-ჟაკ რობრიეს აზრით, „მათ დიდი როლი შეასრულეს ისეთი ერთმანეთისგან განსხვავებული მეცნიერებების ძირითადი პრინციპების ორგანიზებაში, როგორებიცაა, გრამატიკა, მჭევრმეტყველება, ზუსტი მეცნიერებები, რომ არაფერი ვთქვათ მათ როლზე კრიტიკული აზროვნების განვითარებაში“ (რობრიე 1993, 9). თუმცა, დროთა განმავლობაში სოფისტებმა თავიანთ ქადაგებაში მთავარ მიზნად ნებისმიერი საშუალებით მსმენელის გადაბირება, დარწმუნება დაისახეს და ჭეშმარიტებას მხოლოდ პირობითი მნიშვნელობა მიანიჭეს. ჭეშმარიტებისადმი ამ მიდგომის გამო პლატონი სოფისტებს აკრიტიკებდა და მათგან განსხვავებით, მიიჩნევდა, რომ რიტორიკა არ არის უბრალოდ ტექნიკა, რომელიც მსმენელთა დასარწმუნებლად ჭეშმარიტების გვერდის ავლით გამოიყენება, არამედ რიტორიკა არის “ინტელექტუალური იარაღი, რომელიც ჭეშმარიტების დადგენას ემსახურება“ (ბრეტონი 2011, 19). სოკრატესთვის, კი, რიტორიკა არის „არა როგორც განსაკუთრებული მახასიათებლები, არა როგორც წესების ერთობლიობა, რომლებიც უნდა დაიცვას მეტყველმა გარკვეული ეფექტის მიღწევის მიზნით, არამედ როგორც მოლოდინისა და ეჭვის გამოხატვის პროცესი, რომელიც განაპირობებს დისკურსის ამა თუ იმ ფორმით კონსტრუირებას (მეიერი 1999, 34). კვინტილიანესთვის რიტორიკა არის სიტყვის ნორმატიული ტექნიკა, „კარგად თქმის ხელოვნება“ (მენგენო 2002, 505).

## 2.2 არისტოტელეს რიტორიკა

ანტიკურ პერიოდში არისტოტელემ (ძვ. წ-ის 384-322 წ.წ.) რიტორიკას უმნიშვნელოვანესი და ვრცელი ნაშრომები მიუძღვნა, სადაც არგუმენტაციის ფენომენი მეცნიერულ, სისტემურ დონეზეა დამუშავებული. სწორედ ამიტომ, იგი არგუმენტაციის თეორიის, როგორც მეცნიერების მამად მიიჩნევა. მისი უმთავრესი ნაშრომი რიტორიკის შესახებ „რიტორიკა“ დაწერილია ძვ. წ-ის 329-323 წლებში. იგი ავტორმა 3 ნაწილად დაყო. პირველ ნაწილში არისტოტელემ შემოგვთავაზა რიტორიკის ზოგადი პრობლემატიკა, მეორეში ეთოსის, ტოპოსის საკითხები, მესამე კი რიტორიკასა და სტილის თემატიკას დაუთმო.

არგუმენტაციის ძირითადი პრინციპები, რომლებიც არისტოტელემ თავის ნაშრომში შემოგვთავაზა, შემდეგია:

- რიტორიკა არის დარწმუნების ხელოვნება
- რიტორიკა მიმდინარეობს საკომუნიკაციო პროცესში
- საკომუნიკაციო პროცესი შედგება სამი კომპონენტისგან: მეტყველი, შეტყობინება და მსმენელი
- რიტორიკული დისკურსი მიმართულია და ითვალისწინებს მსმენელს
- რიტორიკული დისკურსი ორიენტირებულია ტრიადაზე - ეთოსი, ლოგოსი, პათოსი
- რიტორიკის მიზანი არ არის ჭეშმარიტების დადგენა
- რიტორიკა ეყრდნობა ტოპოსსა და წინამძღვრებს
- რიტორიკის მიზანია მსჯელობის უნარის მქონე გონებათა მიმხრობა
- რიტორიკული დისკურსი არის სტრუქტურირებული დისკურსი
- რიტორიკა ეყრდნობა ენთიმემას და მაგალითს
- რიტორიკული დისკურსის სამი ტიპი გამოიყოფა: იურიდიული, ეპიდექტიკური და სათათბირო

- რიტორიკის სფერო არაა ზუსტი მეცნიერებები, იგი ეყრდნობა სავარაუდოდ მისაღებს.

არისტოტელეს რიტორიკის კონცეფციას უფრო ვრცლად შევხებით ქვემოთ, სადაც ანტიკურ რიტორიკასა და პერელმანის ნეორიტორიკას შორის კონცეპტუალურ მსგავსება-განსხვავებებზე გვექნება საუბარი.

ბრეტონი თავის ნაშრომში შემდეგი სქემის სახით გვთავაზობს რიტორიკული დისკურსის აგების ანტიკურ ნორმებს:

არგუმენტაციული დისკურსის აგების ეტაპები	მახასიათებელი კითხვები	შექმნილი თეორიები
Invention დისკურსში გამოსაყენებელი მასალის მოძიება	რა თეზისი უნდა დავიცვათ? რომელ საყოველთაოდ გაზიარებულ მოსაზრებებს დავეყრდნობთ? რომელი არგუმენტები გამოვიყენოთ თეზისის უკეთ დასაცავად?	ტოპიკები (საყოველთაოდ გაზიარებული მოსაზრებები) აზროვნების თეორია: <ul style="list-style-type: none"> <li>• ენთიმემა</li> <li>• მაგალითი</li> </ul>
Disposition მოძიებული მასალის დისკურსში ორგანიზება	როგორი თანმიმდევრობით განვათავსოთ არგუმენტები? რომელია არგუმენტებისთვის საუკეთესო წყობა?	გეგმის თეორია: <ul style="list-style-type: none"> <li>• exorde</li> <li>• exposé des faits</li> <li>• discussion</li> <li>• péroraison</li> </ul>
Elocution სტილის პრობლემატიკა	რომელია სტილის ყველაზე ადაპტირებული ფიგურები? როგორ წარადგენს ორატორი მათ? როგორ ითვალისწინებს ის მსმენელს?	სტილი ეთოსი პათოსი
Mémorisation დისკურსის დამახსოვრება	როგორია ორატორის მიერ დისკურსის დამახსოვრება? რა კავშირი აქვს მას აუდიტორიის დამახსოვრებასთან? როგორ	საყოველთაოდ გაზიარებული მოსაზრებების მეთოდი

	მოქმედებს ის ზოგად დამახსოვრებაზე?	
Action ხმისა და შესტიკულაციის გამოყენება	დისკურსის რომელი ჟანრებია გამოყენებული? როგორია მსმენელი? როგორია ორატორული სიტუაცია?	კონტექსტის როლი არგუმენტის ინტერპრეტაციაში. დისკურსის სამი ჟანრი: იურიდიული: (სიმართლე ან სიცრუე) სათათბირო (სარგებლობა და ზარალი) ეპიდექტიკური (მშვენიერება და სიმახინჯე)

ცხრილი 1: რიტორიკული დისკურსის აგების ანტიკური ნორმები (ბრეტონი 2011, 30).

### **2.3 რიტორიკა, როგორც მეტყველების გაფორმების ხელოვნება**

რიტორიკის თეორიამ შუა საუკუნეებში მნიშვნელოვანი დაღმასვლა განიცადა. ანტიკური რიტორიკის ძირითადი კონცეფცია, რომლის მიხედვითაც სიტყვის კომუნიკაციურ განზომილებას მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა, თანდათან შეიცვალა რიტორიკის მადისკრედიტირებელი კონცეფციით, რომლის თანახმადაც, რიტორიკა არის კარგად თქმის ხელოვნება, მეტყველების გაფორმების ხელოვნება. შუა საუკუნეებისათვის მეცნიერებები ორ შტოდ დაიყო. ერთს მიეკუთვნებოდა ზუსტი მეცნიერებები: მუსიკა, არითმეტიკა, გეომეტრია და ასტრონომია, მეორეში კი გაერთიანდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სამეული - რიტორიკა, ლოგიკა, გრამატიკა.

პიერ დე ლა რამემ იგივე რამუსმა პირველად თავის ნაშრომში „დიალექტიკა“ (1555 წ.) ერთმანეთისგან გამიჯნა დიალექტიკა და რიტორიკა, სადაც რიტორიკას ჩამოაშორა და დიალექტიკას მიაკუთვნა ტოპოსი და დისკურსის ორგანიზება. ამდენად, ანტიკური რიტორიკული დისკურსის ნაწილები, როგორებიცაა invention - დისკურსში გამოსაყენებელი მასალის მოძიება და disposition - მოძიებული მასალის დისკურსში ორგანიზება, ჩამოშორდა რიტორიკას და ლოგიკის შესწავლის ფარგლებში გადავიდა. რაც შეეხება mémorisation - დისკურსის დამახსოვრება და action - ხმისა და ქესტიკულაციის გამოყენება მეტყველების დროს, მათი საჭიროება და მნიშვნელობაც შეიზღუდა რიტორიკულ დისკურსში იქედან გამომდინარე, რომ წერითი კომუნიკაციის განვითარების შედეგად ზეპირი დისკურსის მნიშვნელობა და აქტუალობა შემცირდა. რიტორიკის სფეროში დარჩა მისი მხოლოდ ერთი ნაწილი éloquution - სტილის პრობლემატიკა.

ამდენად, რიტორიკა ლიტერატურის სფეროში გადავიდა. რამეს კონცეფციის ძირითადი ხაზი შენარჩუნებულია და რიტორიკა მიჩნეულია, როგორც ლიტერატურული დისკურსის გაფორმების ხელოვნება ორ უმნიშვნელოვანეს ნაშრომში: სეზარ შესნო დიუმარსეს „ტროპები“ (1730 წ.), და პიერ ფონტანიეს „დისკურსის ფიგურები“ (1821-1830). სწორედ ამ ნაშრომებში გამოიკვეთა ყველაზე ნათლად რიტორიკისადმი მიდგომა, როგორც კარგად თქმის ხელოვნება. ჟერარ ჟენეტმა განიხილა რა ორივე ნაშრომი თავის წიგნში „შეზღუდული რიტორიკა“ (1972 წ.), აჩვენა პროცესი, თუ როგორ მოახდინა რიტორიკამ ფიგურების პრობლემატიკაზე კონცენტრირება, შემდეგ, კი როგორ დაინტერესდა იგი ორი კონკრეტული ფიგურის - მეტონიმისა და მეტაფორების შესწავლით.

## ***2.4 არგუმენტაციის თანამედროვე თეორიები***

### ***2.4.1 პერელმანის ნეორიტორიკა***

არგუმენტაციის თეორიების განვითარებაში გარდამტეხი ეტაპი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, პერელმანის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო. ბელგიელმა

ფილოსოფოსმა და იურისტმა, ბრიუსელის უნივერსიტეტის ლექტორმა, შაიმ პერელმანმა (1912-1984) ლუსი ოლბრეხტ ტიტეკასთან ერთად 1958 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „არგუმენტაციის ტრაქტატი, ახალი რიტორიკა“. წიგნი მეორედ გამოიცა 1970 წელს, რის შემდეგაც დღემდე არსებობს ნაშრომის ექვსი გამოცემა და ნათარგმნია ძალიან ბევრ ენაზე. ანტიკური რიტორიკის საკვანძო კონცეფციები ამდენი საუკუნის შემდეგ პირველმა თავის ნაშრომში სწორედ პერელმანმა გაიზიარა და აღადგინა, რითაც არგუმენტაციას ჰუმანიტარულ მეცნიერებებს შორის ძველი დიდება და ადგილი დაუბრუნა.

პერელმანმა შეიმუშავა არგუმენტაციის შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- არგუმენტაციის მიზანი დარწმუნებაა
- არგუმენტაცია საკომუნიკაციო პროცესში მიმდინარეობს
- არგუმენტაცია აუცილებლად ითვალისწინებს აუდიტორიას
- არგუმენტაცია ძირითადად ორიენტირებულია ლოგოსის შესწავლაზე, თუმცა არ უარყოფს ეთოსისა და პათოსის მნიშვნელობას
- არგუმენტაციისათვის ამოსავალი წერტილი არ არის ჭეშმარიტების დადგენა
- არგუმენტაცია იყენებს პრემისებს და საყოველთაოდ მიღებულ მოსაზრებებს აუდიტორიასთან ადაპტაციის მიზნით
- არგუმენტაცია გულისხმობს ინტელექტუალური კონტაქტის არსებობას მეტყველსა და მსმენელს შორის
- არგუმენტაციული დისკურსი არის ნებისმიერი სტრუქტურის მქონე დისკურსი, რომელიც იყენებს სხვადასხვა არგუმენტაციულ ტექნიკას
- არგუმენტაციის სფერო არ არის ზუსტი მეცნიერებები

#### 2.4.2 რიტორიკისა და ნეორიტორიკის კონცეპტუალური შედარება

აშკარაა, რომ არგუმენტაციის თეორიებში დღემდე შექმნილ ორ უმნიშვნელოვანეს ნაშრომს - არისტოტელეს „რიტორიკასა“ და პერელმანის „ნეორიტორიკას“ შორის მთელი რიგი პრინციპების კონცეპტუალური თანხვედრა არსებობს.

არგუმენტაციის ფენომენის ძირითადი პრინციპი - არგუმენტაცია არის დარწმუნების ხელოვნება - რიტორიკისთვის, ისევე როგორც ნეორიტორიკისთვის, არგუმენტაციის ფენომენის განმსაზღვრელი ძირითადი კონცეფციაა. როგორც არისტოტელე აღნიშნავს: „მჭევრმეტყველების ხელოვნების მეთოდი დარწმუნების მეთოდია, დარწმუნება კი რაღაც დასაბუთებაა, ამიტომაც ყველაზე მეტად გვწამს ის, რაც დასაბუთებულად მიგვაჩნია (არისტოტელე 1981, 33). ამასთანავე, არისტოტელემ აღნიშნა, რომ რიტორიკას არ აქვს შესწავლის კონკრეტული საგანი. არამედ, თითოეულ შემთხვევაში, რიტორიკა არის „იმ საშუალებების ცოდნა, რომლებითაც დარწმუნება შეიძლება... რიტორიკა უნდა იყოს ყოველი საგნის შესატყვისი დამაჯერებლობით განხილვის უნარი“ (არისტოტელე 1981, 35).

რაც შეეხება პერელმანს, მან ანტიკური რიტორიკის ძირითადი კონცეფცია გაიზიარა და არგუმენტაციისადმი მიდგომა თავის დეფინიციაში შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „არგუმენტაციის თეორიების მიზანია იმ დისკურსული ტექნიკების შესწავლა, რომლებიც იმის საშუალებას იძლევა, რომ ადამიანის გონებისთვის მისაღები ან უფრო მისაღები გახდეს ის თეზისები, რომლებსაც მას წარუდგენენ“ (პერელმანი 2000, 5). ჩვენი კორპუსის კვლევისთვის არგუმენტაციის ფენომენის სამუშაო განსაზღვრებად სწორედ პერელმანის ამ ცნობილ დეფინიციას ავიღებთ.

არისტოტელეს და პერელმანის მიერ შემოთავაზებული რიტორიკისა და არგუმენტაციის დეფინიციებშივე იკვეთება განსახილველი ფენომენის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი - არგუმენტაცია არის კომუნიკაცია. თუმცა, როგორც რიტორიკა, ასევე ნეორიტორიკა აღნიშნული პრინციპის მხოლოდ ზოგადი მითითებით არ შემოიფარგლება, ორივე ნაშრომი არგუმენტაციულ პროცესთან დაკავშირებული საკომუნიკაციო სიტუაციის - ადრესანტის, შეტყობინებისა და ადრესატის -



ურთიერთგანპირობებულობისა და ურთიერთდამოკიდებულების დრმა ანალიზს გვთავაზობს.

არისტოტელემ პირველმა გამოყო საკომუნიკაციო სიტუაციის ის ძირითადი კომპონენტები, რომლებსაც დღეს ნებისმიერი საკომუნიკაციო სიტუაციის მოდელი ეყრდნობა. როგორც მეცნიერი აღნიშნავს, „სიტყვა შედგება სამი ნაწილისაგან: მოლაპარაკე, ის, რის შესახებაც ლაპარაკობს და ვისდამიც არის სიტყვა მიმართული. სწორედ ეს უკანასკნელი, ე.ი. მსმენელი არის სიტყვის მიზანი (არისტოტელე 1981, 43).

ორატორის, დისკურსის და აუდიტორიის ერთობლიობად მოიაზრებს არგუმენტაციას პერელმანიც.

როგორც არგუმენტაციის ფენომენის შესახებ არისტოტელესა და თავისი მიდგომების შედარებისას პერელმანი აღნიშნავს, ანტიკური რიტორიკა უპირველეს ყოვლისა შეისწავლიდა

მოედანზე შეკრებილი ხალხის წინაშე წარმოთქმული დისკურსის, ზეპირი სიტყვის გამოყენებას, რომლის მიზანიც იყო მსმენელს გაეზიარებინა ის თეზისი, რომელსაც ორატორი წარუდგენდა. აქედან ნათელია, რომ ორატორული ხელოვნების და არგუმენტაციის მიზანი - გონებათა მიმხრობა - ერთი და იგივეა (პერელმანი 2008, 7).

თუმცა, თვითონ პერელმანის კვლევა მხოლოდ ზეპირ დისკურსში არგუმენტაციის ფენომენის ანალიზით არ შემოიფარგლება და იგი არგუმენტაციის ფენომენს შეისწავლის როგორც ზეპირ, ასევე წერით კომუნიკაციაში. „ჩვენ არ შეგვიძლია შემოვიფარგლოთ მხოლოდ ზეპირი დისკურსის ტექნიკის ანალიზით. უფრო მეტიც, დღესდღეისობით წერითი ტექსტების მნიშვნელობის და როლის გათვალისწინებით, ჩვენი ანალიზი უმთავრესად შეეხება დაბეჭდილ ტექსტებს“ (პერელმანი 2008, 8).

არისტოტელესთვის ორატორი არის ის, ვინც ზეპირ დისკურსს წარმოთქვამს, პერელმანის თეორიის თანახმად კი, იქედან გამომდინარე რომ არგუმენტაცია როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით შეიძლება განხორციელდეს, შესაბამისად, ორატორი არის ის, ვინც ზეპირ დისკურსს წარმოთქვამს და ისიც, ვინც ამას წერილობით

აკეთებს. პერელმანის განმარტებით, როდესაც ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინებს დისკურსი, ორატორი და აუდიტორია, ჩვენ მოვიაზრებთ მასში არგუმენტაციას: მას, ვინც მეტყველებს და მათ, ვისაც ის მიმართავს, იმგვარად, რომ აღარ შევჩერდებით იმაზე, საქმე ეხება ზეპირ პრეზენტაციას თუ წერითს, ეს იქნება სტრუქტურირებული დისკურსი, თუ ფიქრის ფრაგმენტული გამოხატულებები“ (პერელმანი 2008, 9).

ამდენად, არისტოტელესთვის რიტორიკული სიტყვა არის მხოლოდ ორგანიზებული, სტრუქტურირებული დისკურსი, რომელიც იყენებს ვერბალურ რესურსებს ორიენტირებულ მთლიანობაში, ხოლო პერელმანისთვის ნებისმიერი დისკურსი შეიძლება იყოს არგუმენტაციული.

რიტორიკის ფუძემდებელი ორატორის მიერ აუდიტორიის გათვალისწინებაზე განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას. არისტოტელე რიტორიკაში სხვადასხვა ასაკის, სიმდიდრის, ფსიქოლოგიის მქონე მსმენელთა ტიპებს საფუძვლიანად იკვლევს და მათზე მაქსიმალურად ეფექტური ზემოქმედების განსხვავებულ სტრატეგიებს გვთავაზობს. ორატორი უნდა შეეცადოს განსაზღვროს, როგორ მიიღებს მის აზრებს მსმენელი, რა შთაბეჭდილებას ტოვებს მათზე. „მსმენელებს ახარებთ, როცა ზოგადად მოლაპარაკე ისეთ დებულებებს ეხება, რომელთაც ნაწილობრივ თვითონაც იზიარებენ... ამგვარად, ორატორი უნდა ცდილობდეს განსაზღვროს, თუ როგორ მიიღებს მის აზრებს მსმენელი და შემდეგ ზოგადი სახით გამოთქვას ისინი“ (არისტოტელე 1981, 143).

აუდიტორიის მიმართ იგივე მოსაზრებას იზიარებს პერელმანიც. იგი თავად აღნიშნავს, რომ „ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი, რაც მის თეორიას არისტოტელეს რიტორიკასთან აახლოვებს, არის აუდიტორიის კონცეპტი“ (პერელმანი 2008, 8). აუდიტორია კი მისთვის არის არა ის, ვისაც უშუალოდ ექსპლიციტურად მიმართავს თავის სიტყვაში ორატორი, არც ის, ვინც უშუალოდ უსმენს ორატორს, არამედ აუდიტორია არის „იმ ადამიანთა ერთობლიობა, რომელზეც ორატორს სურს გავლენა მოახდინოს თავისი არგუმენტაციით“ (პერელმანი 2008, 25). პერელმანი აანალიზებს ორატორისა და აუდიტორიის ურთიერთმიმართების სხვადასხვა საკითხს, როგორებიცაა, ორატორის ადაპტაცია აუდიტორიასთან, აუდიტორიის ფაქტორი, როგორც ორატორის დისკურსის კონსტრუირების საშუალება. პერელმანი გამოყოფს

აუდიტორიის შემდეგ ტიპებს: უნივერსალური აუდიტორია, არგუმენტაცია ერთი მსმენელის წინაშე, არგუმენტაცია საკუთარი თავის წინაშე. „ყველა ორატორი ფიქრობს მეტად თუ ნაკლებად გაცნობიერებულად მათზე, ვის დარწმუნებასაც ცდილობს და ვინც შეადგენს მის აუდიტორიას, ვისადმიც არის მისი დისკურსი მიმართული“ (პერელმანი 2008, 25). ეფექტური არგუმენტაციის ერთ-ერთ წინაპირობად იგი სწორედ აუდიტორიის რეალური სახის მაქსიმალურად სწორად განსაზღვრას ასახელებს, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ორატორს მსმენელთან ადაპტაცია. პერელმანის აზრით, „არგუმენტაციაში მნიშვნელოვანია არა ის, თუ რას მიიჩნევს თავად ორატორი როგორც ჭეშმარიტებას ან შესაძლებელს, არამედ იმათი აზრი, ვისაც ის მიმართავს“ (პერელმანი 2008, 31). ”ყოველი არგუმენტაცია ხორციელდება აუდიტორიის გათვალისწინებით“ (პერელმანი 2008, 7).

მაშასადამე, რიტორიკასა და ნეორიტორიკაში ორატორის სტრატეგიასა და არგუმენტაციის ხარისხს, აგრეთვე მის ეფექტურობას სწორედ აუდიტორიის ფენომენი განსაზღვრავს.

რიტორიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპის თანახმად, არგუმენტაციულ დისკურსში საკომუნიკაციო სიტუაციის კომპონენტებს დამატებითი დატვირთვა ენიჭება. ეს პრინციპი, რომელზეც, არისტოტელეს აზრით, აუცილებლად უნდა იყოს ორიენტირებული არგუმენტაციული დისკურსი, არის ტრიადა - ეთოსი, ლოგოსი, პათოსი. თითოეული ასპექტი საკომუნიკაციო სიტუაციის სამი ძირითადი კომპონენტიდან თითოეულს მიესადაგება. ეთოსი ორატორის სახეა დისკურსში, ლოგოსი დისკურსული სტრატეგიაა, ხოლო პათოსი მსმენელში ემოციების გამოწვევას გულისხმობს. სამივე კომპონენტის შესწავლას არისტოტელე თავის ნაშრომში საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს.

აუცილებლად ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ სიტყვა დასაბუთებული და დამაჯერებელი იყოს და იმასაც, თუ როგორია ორატორი და როგორ გავლენას ახდენს ის მოსამართლეზე. იმისათვის, რომ სათათბირო და აგრეთვე სამოსამართლო სიტყვა დამაჯერებელი იყოს დიდი მნიშვნელობა აქვს თუ როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს

ორატორი მსმენელებზე. მსმენელნი ამ შთაბეჭდილების მიხედვით განეწყობიან მის მიმართ (არისტოტელე 1981, 97).

არისტოტელე ასახელებს იმ მიზეზებს, რომლებიც მსმენელში ორატორის მიმართ ნდობის გაღრმავებას ემსახურება. „მიზეზი იმისა, რის გამოც ვენდობით ორატორს, სამია. ეს ის მოვლენებია, როცა გვჯერა ორატორისა დასაბუთების გარეშე: გონიერება, სათნოება და კეთილგანწყობილება“ (არისტოტელე 1981, 98).

პერელმანის ნაშრომი ძირითადად ლოგოსის შესწავლაზეა ორიენტირებული, სადაც დღემდე შექმნილი არგუმენტაციულ-დისკურსული ტექნიკების ყველაზე ამომწურავი და ვრცელი კვლევაა მოცემული. დაწვრილებით პერელმანის არგუმენტაციულ ტექნიკებს ჩვენი საკვლევი მასალის ანალიზის დროს შევხებით. მიუხედავად იმისა, რომ პერელმანი ეთოსისა და პათოსის პრობლემატიკას ნაკლებ ყურადღებას უთმობს და არისტოტელეს ტერმინებს არც იყენებს, მეცნიერი არ უარყოფს ორატორის ეთოსისა და აუდიტორიაში გამოწვეული ემოციების დადებით გავლენას ეფექტური არგუმენტაციის მისაღწევად.

არისტოტელეს რიტორიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ავტორის განსაზღვრებით არის აგრეთვე ის, რომ რიტორიკის მიზანი არ არის ჭეშმარიტების დადგენა, რადგან აბსოლუტური ჭეშმარიტება ზოგჯერ შეიძლება არაეფექტური აღმოჩნდეს არგუმენტაციის მიზნისთვის - დარწმუნებისთვის.

მისი კონცეფციით, ”რიტორიკის მეცნიერების მთელი საზრუნავი არის არა ის, რომ სისწორე დაადგინოს, არამედ ის, რომ დაადგინოს რაიმე, როგორც აუცილებელი. იგი იმდენად, სიტყვის სიმართლეს არ იკვლევს, რამდენადაც იმას, რომ სიტყვა ვინმეს არ ახარებდეს ან არ აწუხებდეს” (არისტოტელე 1981, 166). შესაბამისად, რიტორიკა ეყრდნობა სავარაუდოდ მისაღებს.

იგივე მიმართებაა პერელმანის ნაშრომში არგუმენტაციასა და ჭეშმარიტებას შორის. ნეორიტორიკის პირველივე გვერდზე ავტორი აღნიშნავს, რომ: „განხილვისა და არგუმენტაციის არსი ეწინააღმდეგება აუცილებლობას და გარკვეულობას. რადგან, სადაც გადაწყვეტილება ერთია, იქ არავინ მსჯელობს და სადაც ყველაფერი ნათელია, იქ არავის მოყავს არგუმენტები მის წინააღმდეგ. არგუმენტაციის სფერო არის სავარაუდოდ

მისაღები, შესაძლო, სააღბათო, სადაც ეს უკანასკნელი სცილდება მათემატიკურ სიზუსტეს“ (პერელმანი 2008, 1). თუმცა, არც ანტიკური რიტორიკა და არც ნეორიტორიკა არ გამორიცხავს ჭეშმარიტების როლს არგუმენტაციის ეფექტურობაში. ამდენად, ანტიკური რიტორიკისთვის და ნეორიტორიკისთვის არგუმენტაციის მიზანი არ არის ჭეშმარიტების დადგენა, მაგრამ ჭეშმარიტება არის ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, ყველაზე ეფექტური საშუალება არგუმენტაციის მიზნის - დარწმუნების - განსახორციელებლად.

იქედან გამომდინარე, რომ არგუმენტაცია ყოველთვის ჭეშმარიტებას ვერ დაეყრდნობა, თუმცა მან უნდა შეძლოს მსმენელზე ზეგავლენის მოხდენა, მისთვის ამოსავალ წერტილს ტოპოსი წარმოადგენს. ტოპოსი არისტოტელესთან არის ყველას მიერ გაზიარებული აზროვნების ლოგიკო-დისკურსული სქემები. იგი ცალ-ცალკე აანალიზებს სხვადასხვა ტიპის ტოპებს: მტკიცება წინააღმდეგობის დაშვებით, ტოპი მეტის და ნაკლების შესახებ. ტოპები წარმოიშვება აგრეთვე ურთიერთმიმართებიდან, დროის განსაზღვრებიდან, მეტყველის წინააღმდეგ ნათქვამის მსმენელის წინააღმდეგ წარმართვით, ცნების განსაზღვრებიდან, სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობიდან, დაყოფით, ინდუქციით, ერთსა და იმავეს შესახებ მსგავსი და საწინააღმდეგო აზრის დადგენით, ნაწილების ჩამოთვლით, ანალოგიით, შედეგის იგივეობით, რაც მიზეზის იგივეობიდან გამომდინარეობს, მიზეზის გარკვევით და ა. შ. ტოპოსის გარდა, არისტოტელეს არგუმენტაციული დისკურსი ეფუძნება წინამძღვრებს. იგი გამოყოფს აუცილებელ და არა აუცილებელ წინამძღვრებს, თუმცა აღნიშნავს, რომ ძალიან ცოტაა აუცილებელი წინამძღვრები, რადგან „საგანთა უმრავლესობა, რომელთა შესახებ მსჯელობა და კვლევა წარმოებს, სხვაგვარადაც შეიძლება არსებობდეს. ადამიანები თათბირობენ იმაზე, რასაც სჩადიან, მაგრამ ყოველი მათი მოქმედება ასეთია და ზოგადად რომ ვთქვათ, აუცილებელ ხასიათს არ ატარებს“ (არისტოტელე 1981, 39).

პერელმანიც იზიარებს ტოპოსისა და წინამძღვრების მნიშვნელობას ეფექტურ არგუმენტაციაში. იგი ტოპოსის ნაცვლად იგივე ფენომენის აღსანიშნავად იყენებს ტერმინს საყოველთაოდ გაზიარებული შეხედულებები (lieux communs). პერელმანი თავის ნაშრომში აანალიზებს შემდეგ საყოველთაოდ გაზიარებულ შეხედულებებს:

რაოდენობის, ხარისხის, რიგითობის, რეალურის, არსის, პიროვნების ტოპოსებს. მსჯელობის საწყის წინადადებას, რომელიც გაზიარებულია აუდიტორიის მიერ, პერელმანი პრემისს უწოდებს. თავის საკმაოდ ვრცელ მიმოხილვაში მან პრემისები ორ კატეგორიად დაყო. ერთში გააერთიანა ისეთი პრემისები, რომელთაც რეალურთან აქვთ კავშირი, ასეთებია ფაქტები, ჭეშმარიტება და პრეზუმფცია, მეორეს კი მიაკუთვნა ისეთი პრემისები, რომელთაც უმჯობესთან აქვთ კავშირი, ასეთებია ღირებულებები, იერარქიები, უმჯობესის ტოპოსები. ამასთანავე, პერელმანმა ცალკეული პრემისების საკმაოდ ღრმა ანალიზი შემოგვთავაზა.

კიდევ ერთი საერთო მიდგომა არგუმენტაციისადმი მის ანტიკურ და თანამედროვე თეორიებში არის ის, რომ ყველა არგუმენტაცია მიზნად ისახავს დამარწმუნებელი გავლენის მოხდენას მსჯელობის უნარის მქონე გონებაზე. როგორც პერელმანი აღნიშნავს, „ყოველი არგუმენტაცია მიზნად ისახავს გონებათა მიმხრობას და აქედან გამომდინარე, გულისხმობს ინტელექტუალური კონტაქტის არსებობას“ (პერელმანი 2008, 18).

ჩვენ მიერ ჩატარებული არისტოტელესა და პერელმანის თეორიების შეპირისპირებითი კვლევა ნათლად ადასტურებს მათ კონცეპტუალურ მსგავსებას მთელ რიგ საკვანძო პრინციპების თაობაზე. ამიტომ, ჩვენ ტერმინებს - რიტორიკა, არგუმენტაცია - ჩვენს ნაშრომში გამოვიყენებთ, როგორც სინონიმური მნიშვნელობის მატარებლებს. თუმცა, პერელმანის ნაშრომი უფრო მეტად არგუმენტთა სტრუქტურასა და არგუმენტაციული ტექნიკების შესწავლაზეა ორიენტირებული, არისტოტელე კი აუდიტორიასთან კომუნიკაციას, ეთოსისა და პათოსის პრობლემატიკას უფრო მეტ ყურადღებას უთმობს.

## 2.5 არგუმენტაციის პერელმანის შემდგომი თანამედროვე თეორიები

არისტოტელესა და პერელმანის შეპირისპირებითი ანალიზის შემდეგ, ჩვენ მიერ შერჩეული ფენომენის სრულყოფილი კვლევისათვის აუცილებელია, გავცნოთ არგუმენტაციის შესახებ დღემდე შექმნილ სხვა მიდგომებსაც.

პრაგმატიკის ფარგლებში არგუმენტაციის ფენომენზე საინტერესო თეორიები არსებობს ჟან-კლოდ ანსკომბრისა და ოსვალდ დიუკროს პრაგმატიკო-სემანტიკის, ჟაკ მოშლერის საუბრის ანალიზისა და კრისტიან პლანტენის ინტერაქციული მიდგომების სახით.

ნეორიტორიკისგან პრინციპულად განსხვავებული მიდგომა შემოგვთავაზეს ანსკომბრმა და დიუკრომ. მათი თეორია პრაგმატიკის ფარგლებში არსებული სხვა თეორიებისგან ძირეულად იმით განსხვავდება, რომ ავტორებმა არგუმენტაცია არა დისკურსის, არამედ ენის სფეროს მიაკუთვნეს. შესაბამისად, მათ კვლევა სიტყვის სემანტიკურ ორიენტაციასა და გამონათქვამების გადაბმის საშუალებებზე - კონექტორებზე - აწარმოეს.

აღნიშნული თეორიის მიხედვით, არგუმენტაცია არის გამონათქვამთა ჯაჭვი, რომელიც მიემართება დასკვნისკენ, არგუმენტაციული ძალა კი გამონათქვამის მნიშვნელობაშივეა ჩადებული. „მნიშვნელობა გამონათქვამისთვის ნიშნავს ორიენტაციას... არგუმენტაციასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა მეტყველი პირი წარმოადგენს გამონათქვამს (ან გამონათქვამთა ერთობლიობას), როგორც განკუთვნილს სხვა გამონათქვამის (ან სხვა გამონათქვამების ერთობლიობის) მისაღებად“ (ანსკომბრი 1988, 8). აქედან გამომდინარე, ინტეგრირებული პრაგმატიკა, როგორც მას თავად ავტორებმა უწოდეს, იკვლევს სიტყვის არგუმენტაციული ორიენტაციის, ტოპოსისა და კონექტორების პრობლემატიკას.


მიუხედავად ნეორიტორიკასთან ასეთი დიდი კონცეპტუალური სხვაობისა, ანსკომბრისა და დიუკროს და პერელმანის თეორიები არ გამორიცხავს ერთმანეთს. ინტეგრირებული პრაგმატიკის საყრდენი წერტილის - გამონათქვამის

არგუმენტაციული ორიენტაცია, ტოპოსი და კონექტორები - მნიშვნელობას აღიარებს და იკვლევს ნეორიტორიკაც.

მოშლერმა თავის ნაშრომში „Argumentation et conversation“ მოახდინა ანსკომბრისა და დიუკროს თეორიის ინტეგრირება საუბრის ანალიზში. „ყველა ვერბალური ინტერაქცია, რომელიც საუბარში ხორციელდება, განსაზღვრავს არგუმენტაციისა და თანაქმედების ჩარჩოს“ (მოშლერი 1985, 14). მოშლერი ყოველდღიურ საუბრებს შეისწავლის და განსაკუთრებით არგუმენტაციის ინტერაქციულ ხასიათზე ამახვილებს ყურადღებას. მიუხედავად ამისა, მის დეფინიციაში არგუმენტაციისადმი ანსკომბრისეული მიდგომა ვლინდება და აღნიშნული ფენომენი წმინდა ლინგვისტური კუთხით არის დანახული. არგუმენტაცია, მოშლერის განმარტებით, არ არის არც ჭეშმარიტების მტკიცება, არც სწორი ლოგიკური აზროვნება. „არგუმენტაცია არის არგუმენტის ან არგუმენტების და დასკვნის ურთიერთობა“ (მოშლერი 1985, 46).

მოშლერის მსგავსად, არგუმენტაციას ინტერაქციულ ჭრილში განიხილავს პლანტენი. მისი მიდგომა არგუმენტაციისადმი წმინდა ლინგვისტურია. იქედან გამომდინარე, რომ მან კვლევები აწარმოა ყოველდღიურ ვერბალურ ინტერაქციებზე, მის თეორიაში ყველაზე ნათლად გამოიკვეთა, თუ რა გავლენას ახდენს კომუნიკაციური სიტუაცია არგუმენტაციის სტრუქტურასა და ტექნიკებზე. პლანტენმა ტერმინი არგუმენტაცია სხვადასხვა დონეზე შეისწავლა და თავის ნაშრომში მისი ერთმანეთისგან კონცეპტუალურად განსხვავებული დეფინიციები შემოგვთავაზა. ცნების კომპლექსურობა ავტორმა სქემის სახითაც ჩამოაყალიბა.





ცხრილი 2: პლანტენის არგუმენტაციის სქემა (პლანტენი 1990, 147).

როგორც ვხედავთ, პლანტენმა გამოიწვნა არგუმენტაციის ორი ერთმანეთის საპირისპირო კონცეფცია: ერთის მხრივ, არგუმენტაცია შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ენის სფეროს, მეორეს მხრივ, კი როგორც დისკურსის სფეროს საკუთრება. დისკურსის სფეროს ფარგლებში არგუმენტაცია ავტორმა განსაზღვრა, როგორც, „ოპერაცია, რომლის მიხედვითაც, მეტყველი პირი ცდილობს ლინგვისტური საშუალებებით შეაცვლევინოს მსმენელს თავისი წარმოდგენისა და რწმენის სისტემა“ (პლანტენი 1990, 146), ხოლო არგუმენტაცია, როგორც ენის სფეროს საკუთრება, არის „ლინგვისტური ოპერაცია, რომლის დროსაც მეტყველი პირი წარმოადგენს გამონათქვამ-არგუმენტს და რომლის ლინგვისტური სტრუქტურაც ორიენტაციას აძლევს მსმენელს გარკვეული გაგრძელებისკენ“ (პლანტენი 1990, 48). თუმცა, პლანტენი აქვე მიუთითებს, რომ არგუმენტაციული ნორმის გამოსავლენად არგუმენტაციის ფენომენის დისკურსის ფარგლებში მოქცევაა საჭირო. რაც შეეხება არგუმენტაციულ ნორმას, ამ შემთხვევაშიც, არგუმენტაციას შეიძლება ქონდეს ორი განსხვავებული ფუნქცია: პირველი, ესაა თეორიული ფუნქცია, რომელსაც აქვს მეცნიერული საფუძველი და რომლის არგუმენტაციული ნორმაა ჭეშმარიტება, მეორე, ესაა პრაქტიკული ფუნქცია, რომელიც გამოიხატება პრაქტიკული ქმედებით და რომლის არგუმენტაციული ნორმაა ეფექტურობა. სწორედ ამ უკანასკნელის შემთხვევაში იყენებს არგუმენტაციის პერელმანისეულ დეფინიციას პლანტენი: „არგუმენტაცია არის დისკურსული ოპერაცია, რომლითაც მეტყველი ცდილობს გავლენა მოახდინოს მსმენელზე“ (პლანტენი 1990, 149). რაც შეეხება მეცნიერულ საფუძველს, არგუმენტაციას ამ მხრივ შეიძლება ქონდეს ორგვარი განვითარება: ფორმალური და არაფორმალური ლოგიკა. პლანტენისთვის არგუმენტაცია არაფორმალურ კონტექსტში არის დისკურსული ოპერაცია, რომლის მიზანია მსმენელს მიაღებინოს დასკვნა, რომელიც გამყარებულია კარგი მიზეზებით. რაც შეეხება არგუმენტაციას ფორმალური ლოგიკის ფარგლებში, პლანტენი აქაც ორ ტიპს გამოყოფს: არგუმენტაცია ექსპერიმენტზე დაყრდნობით და ლოგიკური არგუმენტაცია. პირველ შემთხვევაში არგუმენტაცია არის დისკურსული ოპერაცია, „რისი საშუალებითაც ამა თუ იმ ჰიპოთეზის სისწორე-მცდარობას ამოწმებენ“ (პლანტენი 1990, 150), ხოლო პლანტენის ბოლო განსაზღვრების მიხედვით,

„არგუმენტაცია არის სწორი ან არასწორი. არგუმენტაცია სწორია, თუ ის გამომდინარეობს სწორი პრემისებისა და ღირებული დედუქციისგან მიღებული სწორი დასკვნებისგან“ (პლანტენი 1990, 151).

არგუმენტაციას ბუნებრივი ლოგიკის ფარგლებში განიხილავს ჟან-ბლეზ გრიზი. მიუხედავად იმისა, რომ გრიზი და მის მიერ შექმნილი სემიოლოგიური კვლევების ცენტრი არგუმენტაციას ლინგვისტიკის კუთხით არ აანალიზებს, ჩვენთვის საინტერესოა მათ მიერ შემოთავაზებული მიდგომა, იმდენად რამდენადაც მათთვის არგუმენტაცია არ არის მარტო გონებრივი ოპერაცია, არამედ ლოგიკო-დისკურსული აქტივობა, რომელიც მიმდინარეობს საკომუნიკაციო პროცესში. ამასთანავე, ბუნებრივი ლოგიკა არგუმენტაციულ პროცესში ითვალისწინებს სოციალურ კონტექსტს და ინტერსუბიექტურობას. გრიზის არგუმენტაციის მიზანიც, როგორც ნეორიტორიკისა, მსმენელზე ზემოქმედებაა. მისი განმარტებით, „არგუმენტაცია მსმენელს განიხილავს, არა როგორც მანიპულაციის ობიექტს, არამედ როგორც ალტერ ეგოს, რომელზეც იგი თავისი მოსაზრების გაზიარების მიზნით მოქმედებს. მსმენელზე მოქმედება ნიშნავს, შეეცადო, შეცვალო მისი სხვადასხვა წარმოდგენა საგნებზე გარკვეული ასპექტების წინა პლანზე წამოწევით, გარკვეული ასპექტების დამალვით, ახალი ინფორმაციის მიწოდებით“ (გრიზი 1990, 41). გრიზი საკომუნიკაციო სიტუაციის პროცესის გადმოსაცემად იყენებს წარმოდგენების (“representations”), სქემატიზაციისა (“schématisation”) და სახის (“images”) ტერმინებს. წარმოდგენები მისთვის არის უშუალოდ კომუნიკაციის დაწყებამდე მეტყველისა და მსმენელის წინასწარი წარმოდგენები საკომუნიკაციო სიტუაციაში მონაწილე პირებსა და სინამდვილეზე. სქემატიზაცია არის ქმედება, რომლის დროსაც სინამდვილის წარმოდგენები დისკურსში გამოიხატება, ხოლო სახე ეს არის დისკურსში სქემატიზაციის პროდუქტი. როგორც ამოსი აღნიშნავს გრიზის თეორიის შესახებ, “სქემატიზაციის ქმედება, რომელიც ეფუძნება წინასწარ წარმოდგენებს და სინამდვილის სახის შექმნა დისკურსში ინტერლოკუციის მიზნებით არის განპირობებული“ (ამოსი 2000, 13).

როგორც ვხედავთ, გრიზის თეორიას ნეორიტორიკასთან საერთო აქვს ის, რომ არცერთი მათგანისთვის არგუმენტაცია არ წარმოადგენს აბსტრაქტულ ლოგიკურ

მსჯელობას, ორივე მიდგომა არგუმენტაციას საკომუნიკაციო სიტუაციაში განიხილავს და მინიმუმ ორ სუბიექტს ითვალისწინებს.

ყოელ გარდ ტამინის მოსაზრებით, „რიტორიკა როგორც დისციპლინა არის კომუნიკაციის კვლევის ფორმა“ (გარდ ტამინი 2011, 19), რომელიც, უდაოდ, კომუნიკაციური თეორიების საფუძველი და მისი პირველი თეორიაა. აქვე განვმარტავთ, რომ გარდ ტამინის მიერ გამოყენებული ტერმინოლოგიური განსხვავება კონცეპტუალურ განსხვავებას არ გულისხმობს. იგი იზიარებს არგუმენტაციის პერელმანისეულ განსაზღვრებას და ასკვნის, რომ

აღნიშნული დეფინიცია ყურადღებას ორატორსა (ეთოსი) და აუდიტორიას (პათოსი) შორის კავშირზე ამახვილებს. თანამედროვე ტერმინები რომ გამოვიყენოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რიტორიკა ფსიქოლოგიას და სოციოლოგიას უკავშირდება. ამასთანავე, ეყრდნობა დარწმუნების ლოგიკურ მექანიზმებს. ასეთი რიტორიკა არის არგუმენტაცია (გარდ ტამინი 2011, 15).

გარდ ტამინი ხაზს რიტორიკის ფენომენის ინტერდისციპლინარულობას უსვამს. რიტორიკა არგუმენტირებისთვის იყენებს ლოგიკას, ენობრივი რესურსებით მსმენელის მოსახიბლად იყენებს გრამატიკას (*ამ ცნების ფართო გაგებით - ქ. ა.*), ხოლო განსაზღვრული სიტუაციისთვის მაქსიმალურად ეფექტური არგუმენტების შესარჩევად - ფსიქოლოგიას.

არგუმენტაციის ძირითად პრინციპებს იზიარებს ბერნარ მეიერი. მის ნაშრომში არგუმენტაცია არის მცდელობა, გავლენა მოახდინო მსმენელზე, შესაბამისად, იგი დიალოგურია და არის საკუთარი პოზიციის გამართლება და ახსნა. მეიერმა ორგანიზებული და სტრუქტურირებული დისკურსის აგების მეთოდები შემოგვთავაზა და ეფექტური არგუმენტაციის საწარმოებლად სოციალური, ფსიქოლოგიურ-აფექტური და ინტელექტუალური ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობა გამოკვეთა.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რუთ ამოსის თეორია არგუმენტაციის შესახებ, რომლისთვისაც, ზოგადი დეფინიციის თანახმად, „არგუმენტაცია შეისწავლის დისკურსის ეფექტურობას კულტურულ, სოციალურ და ინსტიტუციონალურ გარემოში“

(ამოსი 2000, VII). მეცნიერი პერელმანის დეფინიციას ეთანხმება და მის გაფართოებულ ვარიანტს გვთავაზობს.

შაიმ პერელმანის ნეორიტორიკაში ჩამოყალიბებულ დეფინიციას თუ გავაფართოვებთ, არგუმენტაცია არის „ვერბალური საშუალებები, რომლებიც მეტყველების პროცესში ხორციელდება მეტყველი სუბიექტის მიერ მსმენელზე ზემოქმედების მიზნით, ცდილობს რა მიაღებინოს მას თეზისი, შეცვალოს ან გააძლიეროს მისი წარმოდგენები და აზრები. ან უბრალოდ, მოახდინოს მისი აზროვნების ორიენტირება მოცემულ პრობლემაზე“ (ამოსი, 2000, 29).

ამოსი არგუმენტაციული ანალიზის შემდეგ ძირითად პრინციპებს გამოყოფს:

ენობრივი მიდგომა - რაც გულისხმობს იმას, რომ – არგუმენტაციული დისკურსი მხოლოდ ლოგიკური ოპერაციები და აზროვნების პროცესები არ არის, არამედ, იგი ენის მიერ შემოთავაზებულ საშუალებებს იყენებს.

კომუნიკაციური მიდგომა - რაც ნიშნავს იმას, რომ არგუმენტაციული დისკურსი აუცილებლად საკომუნიკაციო პროცესში მიმდინარეობს.

დიალოგური და ინტერაქციული მიდგომა ნიშნავს აუდიტორიაზე ადაპტაციას და მასზე ორიენტაციას.

ჟანრობრივი მიდგომა გულისხმობს იმას, რომ არგუმენტაციული დისკურსი წარმოადგენს დისკურსის განსაზღვრულ ჟანრს.

სტილისტიკური მიდგომა გულისხმობს ფიგურების და ზოგადად სტილისტური ხერხების გამოყენებას დამარწმუნებელი ეფექტის მისაღწევად.

ტექსტობრივი მიდგომა, ამ შემთხვევაში ტექსტი მიჩნეულია, როგორც გამონათქვამთა თანმიმდევრული ერთიანობა, რომელიც ქმნის ერთ მთლიან ერთეულს. (ამოსი 2000, 23-24).

ამგვარად, ჩვენ უკვე შევაჯერეთ არგუმენტაციის ფენომენის შესახებ დღემდე არსებული ფუნდამენტური თეორიები. არისტოტელეს რიტორიკა წარმოადგენს ნებისმიერი არგუმენტაციის თეორიულ საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც განვითარდა პერელმანის ნეორიტორიკა, ნეორიტორიკამ კი ბიძგი მისცა თანამედროვე არგუმენტაციის თეორიების ჩამოყალიბებას. ერთმანეთისგან განსხვავებული

მიდგომების ანალიზმა ნათლად გვიჩვენა, რომ არგუმენტაცია ძალიან რთული და კომპლექსური ფენომენია, რომელიც მრავალმხრივ შესწავლას საჭიროებს.

## *2.6 არგუმენტაციული დისკურსი*

ჩვენი კვლევის სრულყოფისთვის აუცილებლად მიგვაჩნია განვიხილოთ შემდეგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არგუმენტაციის თეორიებში აზრთა სხადასხვაობას იწვევს: არის თუ არა ნებისმიერი დისკურსი არგუმენტაციული?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არისტოტელესა და პერელმანის თეორიების შედარებისას, არისტოტელე არგუმენტაციულად განიხილავს მხოლოდ ზეპირ დისკურსს, სადაც ვერბალური რესურსები სტრუქტურირებული ფორმით არის ორგანიზებული და რომელსაც მკვეთრად გამოხატული არგუმენტაციული დანიშნულება - მსმენელის დარწმუნება აქვს. რაც შეეხება პერელმანს, მისთვის, პირიქით, სტრუქტურირებული დისკურსიც არგუმენტაციულია და ფიქრის ფრაგმენტული გამოხატულებებიც.

შაროდოსა და მენგენოს დისკურსის ანალიზის ლექსიკონში არგუმენტაციული დისკურსის სტრუქტურასთან დაკავშირებით ორივე პოზიცია მისაღებია. „არგუმენტაციად შეიძლება მივიჩნიოთ გამონათქვამთა ერთობლიობით ან მხოლოდ ერთი გამონათქვამით ან მხოლოდ ერთი სიტყვით რაიმე მოსაზრების გამოხატვა, ან არგუმენტაცია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც გამონათქვამთა ჯაჭვის ორგანიზაციის სპეციფიური ფორმა“ (მენგენო 2002, 67). ამავდროულად, მენგენო აღნიშნავს, რომ ორივე დეფინიცია არ გამორიცხავს ერთმანეთს და არ არის ერთმანეთთან შეუთავსებელი.

რაც შეეხება ბენვენისტს, მან საკომუნიკაციო სიტუაციის, მეტყველის ინტენციიდან და შეტყობინების დანიშნულებიდან გამომდინარე აღნიშნა, რომ „თუ არგუმენტაციას განვსაზღვრავთ, როგორც მცდელობას, შევცვალოთ მსმენელის წარმოდგენა, ნათელია,

რომ ნებისმიერი ინფორმაცია ამ როლს ასრულებს და ნებისმიერი ინფორმაცია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც არგუმენტაციული“ (ბენვენისტი 1966, 242).

პლანტენიც იზიარებს ბენვენისტის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ ნებისმიერი დისკურსი აუცილებლად არგუმენტაციულია. ესაა დისკურსის საკომუნიკაციო სიტუაციაში მოქცევის კონკრეტული შედეგი. ნებისმიერი გამონათქვამი მიზნად ისახავს იმოქმედოს ადრესატზე, სხვაზე და შეცვალოს მისი აზროვნების სისტემა. ნებისმიერი გამონათქვამი აიძულებს ან უბიძგებს სხვას იფიქროს, დაინახოს, იმოქმედოს სხვაგვარად“ (პლანტენი 1996, 18).

რაც შეეხება გრიზს, ის აღიარებს, რომ „გავრცელებული მოსაზრების თანახმად, არგუმენტაცია არის არგუმენტების გამოყენება თეზისის დასამტკიცებლად ან გასაბათილებლად, მაგრამ შესაძლებელია, აგრეთვე, არგუმენტაცია გავიაზროთ უფრო ფართო სპექტრით და იგი მივიჩნიოთ როგორც ქმედება (démarche), რომელიც მიზნად ისახავს სხვის აზროვნებაზე, მდგომარებასა თუ ქცევაზე ზეგავლენის მოხდენას. ამასთანავე, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამის საშუალებები დისკურსულია“ (ამოსი 2000, 25).

ანსკომბრისა და დიუკროს მიდგომა არგუმენტაციულობასა და ენობრივ ნიშნებს შორის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით უფრო მაშტაბურია და მკვეთრად განსხვავდება ჩვენს მიერ ციტირებული მეცნიერების კონცეფციებისგან. მათთვის ლინგვისტურ ნიშნებს ენის სფეროშივე, აქტუალიზაციამდე აქვთ არგუმენტაციული განზომილება. „გამონათქვამის მნიშვნელობა შეიცავს გავლენის ფორმას, როგორც მის შემადგენელ მაკონსტიტუირებელ ნაწილს, რომელსაც არგუმენტაციული ძალა ეწოდება. მნიშვნელობა გამონათქვამისთვის ნიშნავს ორიენტაციას“ (ამოსი 2000, 19).

რაც შეეხება ამოსის, მან არგუმენტაციის თეორიებში შემოიტანა არგუმენტაციული განზომილებისა და არგუმენტაციული მიზნის ცნებები. „უბრალო მოსაზრების გადმოცემა საგნებზე, რომლის მიზანი არაა პირდაპირ შეცვალოს მსმენელის დამოკიდებულებები, განსხვავდება დარწმუნების მცდელობისგან, ქმედება (entreprise), რომელიც ხორციელდება გაცნობიერებული მიზნით და გვთავაზობს პროგრამირებულ სტრატეგიებს ამ ეფექტის მისაღწევად“ (ამოსი 2000, 25).

მეცნიერმა მიიჩნია, რომ არგუმენტაციული მიზანი აქვს იმ დისკურსებს, სადაც ლოგიკური აზროვნების ჯაჭვია განვითარებული ამა თუ იმ მოსაზრების დასაცავად, ან პირიქით, გასაბათილებლად, ასეთებია პოლიტიკური დისკურსები, დაცვის ან საბრალდებო სიტყვები და ა. შ. არგუმენტაციული განზომილება კი შეიძლება ქონდეს ნებისმიერ დისკურსს, მაგალითად, სამეცნიერო სტატიებს, საინფორმაციო გადაცემებს, ბიოგრაფიებს, მეგობრულ წერილებს, ყოველდღიურ საუბრებს და ა. შ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი დისკურსი არგუმენტაციული განზომილებისაა. ამოსის განმარტებით, არგუმენტაციასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც რაიმე პოზიციაზე, მოსაზრებაზე, სამყაროსადმი ხედვაზე ურთიერთდაპირისპირებული ან ერთმანეთისგან განსხვავებული მიდგომები არსებობს. „ამგვარად, დისკურსის არგუმენტაციულ განზომილებასთან იმ შემთხვევაში გვაქვს საქმე, როცა საკითხზე მინიმუმ ორი განსხვავებული აზრია“ (ამოსი 2000, 26).

ამდენად, მეცნიერთა უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც არგუმენტაცია ფართო სპექტრით განიხილება და არგუმენტაციული დისკურსის სფერო მხოლოდ სტრუქტურირებული დისკურსით არ შემოიხზავრება. ჩვენ ვეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას, თუმცა კვლევას ორგანიზებულ, მკვეთრად არგუმენტაციული მიზნის მქონე დისკურსებზე ვაწარმოებთ.

## ***2.7 არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში***

თავის სტატიას „არგუმენტაცია და პოლიტიკური დისკურსი“ (2010) ამოსი იწყებს შემდეგი შეკითხვით: „შეიძლება თუ არა გავაანალიზოთ პოლიტიკური დისკურსი არგუმენტაციის გათვალისწინების გარეშე?“ იგი აღნიშნავს, რომ სათათბირო სიტყვა ანტიკურ პერიოდში რიტორიკის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. ბუფონიც ანტიკურ რიტორიკას შემდეგნაირად ახასიათებს „ანტიკური რიტორიკა პოლიტიკური სიტყვის ხელოვნებაა“ (ბუფონი 2002, 55). თუმცა, თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში პოლიტიკური დისკურსის კვლევისას არგუმენტაციას



ცენტრალური ადგილი არ უჭირავს. ამის მიზეზად ამოსი ასახელებს იმ ფაქტს, რომ თანამედროვე ლინგვისტურმა თეორიებმა არგუმენტაციის ფენომენთან დაკავშირებით კონცენტრაცია ძირითადად დიუკროს პრაგმა-სემანტიკურ არგუმენტაციაზე მოახდინა, ხოლო არგუმენტაციით, როგორც დარწმუნების ხელოვნებით, დისკურსის ანალიზი მოგვიანებით დაინტერესდა (ამოსი, 2010).

ექვგარეშეა, რომ პოლიტიკური დისკურსი დისკურსის ისეთ ტიპს წარმოადგენს, რომელიც ექსპლიციტურად, მკვეთრად არგუმენტაციულია. ამდენად, არგუმენტაციის ძირითადი პრინციპები, რომლებიც პერელმანმა გამოყო და რომლებსაც ჩვენ ვიზიარებთ, პოლიტიკურ დისკურსს მიესადაგება. მამასადამე, პოლიტიკური დისკურსის ილოკუციურ ძალას დარწმუნება წარმოადგენს, იგი კომუნიკაციურ პროცესში ხორციელდება, მისი ინტენციიდან გამომდინარე აუდიტორიას ითვალისწინებს, რისთვისაც ტრიადას - ეთოსი-ლოგოსი- პათოსი და ტოპოსს ეყრდნობა, იგი არ არის ორიენტირებული ჭეშმარიტების დადგენაზე.

ბუფონის მოსაზრების თანახმად, პოლიტიკური დისკურსი ქმედებასთან უშუალო კავშირშია. „იყო პოლიტიკოსი, ნიშნავს ისაუბრო და იმოქმედო საზოგადოებრივ სფეროში. სამოქალაქო რიტორიკა განიხილავს, უპირველეს ყოვლისა, მოტივებსა და შედეგებს საზოგადო საქმეების შესახებ (ბუფონი 2002, 332).

ბუფონის აზრით, პოლიტიკური არგუმენტაციის ჩარჩოს აუდიტორია და შეზღუდული დისკურსი შეადგენს. პოლიტიკოსის აუდიტორიას მეცნიერი სამგვარად ყოფს: ელექტორატი, ოპოზიცია, მომხრეები. პოლიტიკოსმა თავისი დისკურსით ერთდროულად უნდა მოახერხოს თავისი მომხრეების შენარჩუნება, მოწინააღმდეგის დისკვალიფიკაცია და ელექტორატის დარწმუნება თავისი ქმედების რელევანტურობაში (ბუფონი 2002, 332).

ელექტორატის მიმართ პოლიტიკოსი ძირითადად ორმაგი მიმართულებით მუშაობს. ერთი მხრივ, იგი უნდა შეეცადოს მისი პოტენციური ამომრჩევლების მსგავსი, მათთან ახლოს მდგომი გამოჩნდეს და მათთან იდენტიფიკაცია ამით უზრუნველყოს, ხოლო მეორე მხრივ, მოსახლეობას თავისი კომპეტენტურობა უნდა დაუმტკიცოს, მათი ნდობა მოიპოვოს, რისთვისაც თავი მათგან განსხვავებულად უნდა წარმოაჩინოს. ამდენად,

პოლიტიკური ლიდერის დისკურსი თანადროულად როგორც მოსახლეობასთან იდენტიფიკაციას, ასევე მასთან დისტანციურობას უნდა გამოხატავდეს.

პოლიტიკოსის მხრიდან გასათვალისწინებელია აგრეთვე, საზოგადოების ტენდენციაც, რომლის მიხედვითაც იგი დეპოლიტიზირებისაკენ არის მიმართული, მოსახლეობა საარჩევნო პროგრამების, საარჩევნო სიტყვების პოლიტიკური შინაარსის მიმართ უფრო და უფრო ნაკლებ ინტერესს იჩენს. მისი ყურადღება უმთავრესად თვითონ პოლიტიკოსის სიტყვის ფორმაზეა გადატანილი.

ამასთანავე, პოლიტიკური დისკურსის მსმენელში მუდმივად იგულისხმება პოლიტიკური ოპოზიცია, რომლის ინსტიტუციონალური ფუნქცია მოწინააღმდეგის მიერ წამოყენებული წინადადებების და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კრიტიკით განისაზღვრება. ამიტომ, პოლიტიკური დისკურსი პოლემიკურ ხასიათს ატარებს.

პოლიტიკოსი მოწინააღმდეგის დისკვალიფიკაციას, მახეში გაბმას, მის საკუთარ ტერიტორიაზე შეტყუებას ცდილობს. ამისთვის იგი სარგებლობს ლინგვისტური რესურსებით: პრესუპოზიციით, კონოტაციით, კითხვებით, სტილისტური ხერხებით და ა. შ.

რაც შეეხება, თვითონ პოლიტიკურ დისკურსს, იგი, ბუფონის აზრით, შეზღუდულია. პოლიტიკოსს ძალიან დიდი სიფრთხილე ჭირდება თითოეული სიტყვის შერჩევას. მის შეზღუდულობას და სპეციფიკურობას რამდენადმე პოლიტიკური საკომუნიკაციო სიტუაცია განსაზღვრავს (ინაუგურაციის, მისასალმებელი სიტყვა, წინასაარჩევნო გამოსვლა და ა. შ.). პოლიტიკური დისკურსის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის ბუფონი ასახელებს აგრეთვე, პოლიტიკური მმართველობის ფორმას (დემოკრატიული თუ ავტორიტარული), კომუნიკაციის არხის სპეციფიკას, პოლიტიკური ძალის მიკუთვნებას, ფუნქციას, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებას (ბუფონი 2002, 334-336).

ჩვენი საკვლევნი კორპუსი შედგება ლიდერი პოლიტიკოსების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ფართო აუდიტორიის მისამართით წარმოთქმული დისკურსებისგან. ასეთ დისკურსზე არჩევანის გაკეთება ჩვენი კვლევის მიზნებისთვის საინტერესოა იმ

მხრივ, რომ პოლიტიკური დისკურსის არგუმენტაციულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ენიჭება. ელექტორატის მისამართით წარმოთქმული სიტყვა იმდენად ეფექტური უნდა იყოს, რომ მან უნდა შეძლოს არა მარტო მსმენელის დარწმუნება თავის უპირატესობაში და მისი გადმობირება, არამედ ადრესატის ამოქმედება, რაც არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე მისვლასა და თავის სასარგებლოდ ხმის მიცემაში გამოიხატება.

არჩევნების შედეგებზე კი, რაც დემოკრატიულ სამყაროში ელექტორატის ნების გამომხატველია, პოლიტიკოსთა პროფესიული კარიერაა დამოკიდებული. მათ ხელისუფლებაში მოსვლისთვის თუ ხელისუფლების შესანარჩუნებლად თავის უპირატესობაში მოსახლეობის უმრავლესობის დარწმუნება ჭირდებათ.

წინასაარჩევნო დისკურსის ადრესატს, რომელზეც უნდა მოახდინოს ზემოქმედება ორატორმა, მთელი ქვეყნის მოსახლეობა შეადგენს. მისი მსმენელი არის არა მარტო თავისი ქვეყნის მასშტაბით მცხოვრები ელექტორატი, არამედ მსოფლიოში მცხოვრები თავისი ქვეყნის (ჩვენ შემთხვევაში ქართული და ფრანგული) დიასპორის წარმომადგენლები, რომლებმაც ასევე უნდა გააკეთონ არჩევანი ქვეყნის მმართველ მომავალ პოლიტიკურ ძალაზე. როგორც ვხედავთ, წინასაარჩევნო დისკურსები ერთმანეთისგან ასაკით, სქესით, ფსიქოლოგიით, რელიგიით, პროფესიით ძალიან განსხვავებულ და მრავალრიცხოვან ინდივიდებზე სამოქმედოდაა გამიზნული. ამასთანავე, პოლიტიკოსის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება ყოველთვის არაერთგვაროვანია. მისი ნაწილი შეიძლება იყოს პოზიტიურად, ნაწილი ოპოზიციურად, ნაწილი კი პასიურად განწყობილი. პოლიტიკოსმა უნდა შეძლოს ასეთი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მსმენელის დარწმუნება, რაც საკმაოდ რთული მისაღწევია.

მაშასადამე, პოლიტიკოსის მიერ მრავალრიცხოვანი ელექტორატის წინაშე წარმოთქმული წინასაარჩევნო დისკურსის ილოკუციურ დანიშნულებას - ფართო მასების დარწმუნებას - პოლიტიკოსის კარიერისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამისათვის საჭიროა, არგუმენტატორმა ისეთი არგუმენტაციული სტრატეგიები და

ტექნიკები შეარჩიოს, რომლითაც მსმენელთა დარწმუნებას მაქსიმალურად ეფექტურად უზრუნველყოფს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პერელმანის ნეორიტორიკა არგუმენტაციულ ტექნიკათა შესახებ დღემდე შექმნილ ყველაზე უფრო ვრცელ და დაწვრილებით ანალიზს გვთავაზობს. მის ნაშრომში ნებისმიერი ტიპის არგუმენტაციული დისკურსისთვის დამახასიათებელი ტექნიკების ტიპებია განხილული. ჩვენი კვლევისთვის საინტერესო იქნება აგრეთვე ბუფონისა და შაროდოს მიერ შემოთავაზებული არგუმენტაციული სტრატეგიებისა და ტექნიკების გაცნობა, სადაც ავტორები კონკრეტულად პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელ არგუმენტაციულ სტრატეგიებსა და ტექნიკებს შეისწავლიან.

პერელმანის მიერ განხილული არგუმენტაციული ტექნიკებია: შეუთავსებლობა და წინააღმდეგობრიობა, შეუთავსებლობის თავიდან აცილების მეთოდები, ტექნიკები, რომლებიც საშუალებას იძლევა თეზისები წარმოვადგინოთ როგორც შეთავსებადი ან როგორც შეუთავსებადი, იუმორი, იდენტიფიკაცია და განსაზღვრება, ანალიზი და ტავტოლოგია, სამართლიანობის წესი, ურთიერთმიმართების არგუმენტი, ტრანზიტულობის არგუმენტი, ნაწილის მთელში ჩართვა, მთელის ნაწილებად დაყოფა, შედარების არგუმენტი, შესაძლებლობა, პრაგმატული არგუმენტი, ფაქტის შედეგთან ან საშუალების მიზანთან ურთიერთობა, მიზანი და საშუალებები, გაფლანგვის არგუმენტი, გადაჭარბება, მიმართულების არგუმენტი, პიროვნება და მისი ქმედებები, პიროვნებისა და ქმედებების ურთიერთმიმართება, ავტორიტეტის არგუმენტი, დისკურსი, როგორც ორატორის ქმედება, ორმაგი იერარქიის არგუმენტი, რომელიც ეფუძნება თანაარსებობისა და თანამიმდევრობის კავშირს, სიმბოლური კავშირი, ჯგუფი და ჯგუფის წევრები, მაგალითი, ილუსტრაცია, მოდელი და ანტიმოდელი, სრულყოფილი ქმნილება, როგორც მოდელი, ანალოგია, მეტაფორა და ა. შ.

შაროდო თავის ნაშრომში პოლიტიკური დისკურსის მთავარ არგუმენტაციულ სტრატეგიად დარწმუნების სტრატეგიას მიიჩნევს, რომელშიც მეცნიერი გამოყოფს სხვადასხვა მიმართულების ე.წ. ქვე-სტრატეგიებს: პიროვნების წარმოჩენის სტრატეგიები, დარწმუნება გონებისა და ემოციის დონეზე, სხვადასხვა ორიენტაციაზე

მიმართული სტრატეგიები, საკუთარი პიროვნების სახის შექმნა - ეთოსი, როგორც პიროვნების სარკე, ურთიერსაწინააღმდეგო და და ცვალებადი სახე, დისკურსის დრამატიზაციის საკითხი, მოწინააღმდეგის დისკვალიფიკაცია, ფასეულობების შერჩევის საკითხი, ფასეულობების ადრესატისთვის წარდგენის საკითხი და ა. შ. პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელ არგუმენტებად იგი, აგრეთვე, გამოყოფს გაზიარებული ფასეულობების, გარემოებების გავლენის, ქმედების სურვილის, რისკის, საკუთარი თავის ავტორიტეტულობის, ანალოგიის, იუმორის არგუმენტებს (შაროდო 2005, 60-80).

რაც შეეხება ბუფონს, მან პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელ ყველაზე აქტუალურ არგუმენტებად პრაგმატული და მიზეზის არგუმენტები შემოგვთავაზა, ეს უკანასკნელი კი დაყო საკუთარი დამსახურების, საკუთარი თავის გამართლების, მოწინააღმდეგის მიერ შემთხვევითობით სარგებლობის, მოწინააღმდეგის პასუხისმგებლობის არგუმენტებად. მან აგრეთვე გამოყო ქმედების საწინააღმდეგოდ ან ქმედების წასახალისებლად მიმართული არგუმენტები და ფიგურები (ბუფონი 2002, 337-354).

## ***2.8 კვლევის მეთოდოლოგია***

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ანალიზი რამდენიმე მეთოდის კომბინაციის საშუალებით ვაწარმოეთ.

როგორც შაროდო აღნიშნავს, დღესდღეისობით მეცნიერები პოლიტიკურ დისკურსს სხვადასხვა მეთოდის კომბინაციით იკვლევენ. მაგალითად, ლექსიკომეტრიული ანალიზი კორპუსის სტატისტიკური კუთხით კვლევას და ასევე მისი სემანტიკისა და პოლიტიკურ საკომუნიკაციო აქტში მონაწილე პირთა პოზიციების ანალიზს მოიცავს; გამონათქვამის ანალიზი, რომელიც პოლიტიკურ საკომუნიკაციო აქტში ჩართული პირების ლოკუციურ ქცევას და მათ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ პოზიციებს იკვლევს; არგუმენტაციული ანალიზი მსჯელობის ლოგიკას იკვლევს, რომელიც ამა თუ იმ

პოლიტიკური პოზიციის მქონე პოლიტიკოსს ახასიათებს (შაროლო 2005, 28). კვლევის პირველ ეტაპზე ჩვენ ფრანგი და ქართველი პოლიტიკოსების დისკურსები არგუმენტაციული და ლექსიკომეტრიული მიდგომებით ცალ-ცალკე გავანალიზეთ, რითაც ერთი მხრივ, ფრანგი და მეორე მხრივ, ქართველი პოლიტიკოსების დისკურსებში დაფიქსირებული საბაზისო არგუმენტაციული სტრატეგიებისა და ტექნიკების აქტუალობა დავადგინეთ. კვლევის მეორე ეტაპზე შეპირისპირებითი მეთოდოლოგიის საფუძველზე არგუმენტაციულ სტრატეგიათა და ტექნიკათა გამოყენების მხრივ ფრანგულ და ქართულ დისკურსებს შორის გამოკვეთილი მსგავსება-განსხვავებები გავანალიზეთ, კვლევის მესამე ეტაპზე გამოკვეთეთ განსხვავებული სოციო-კულტურული გარემოს გავლენა პოლიტიკური დისკურსის აგების სპეციფიკაზე არგუმენტაციული სტრატეგიებისა და ტექნიკების გამოყენების თვალსაზრისით. ამასთანავე, საკვლევი საგნის სპეციფიკიდან და ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დისკურსების კვლევა დავაფუძნეთ ინტერდისციპლინარულ მიდგომას. კვლევა არ ითვალისწინებს საკვლევ მასალაში დაფიქსირებული ყველა არგუმენტაციული სტრატეგიისა და ტექნიკის ანალიზს.

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელ იმ არგუმენტაციულ სტრატეგიებსა და ტექნიკებზე, რომლებმაც, ჩვენი აზრით, უფრო ნათლად გამოხატეს განსხვავებული სოციო-კულტურული გარემოს გავლენა არგუმენტაციული დისკურსის კონსტრუირებაზე. ესენია: ფასეულობის არგუმენტი, ავტორიტეტის არგუმენტი, პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები, პიროვნების წარმოჩენის სტრატეგია, მეტაფორა, მოწინააღმდეგის დისკვალიფიკაცია, სხვადასხვა ორიენტაციის მქონე აუდიტორიაზე გამიზნული სტრატეგია. საკვლევი კორპუსიდან ამოღებულ მაგალითებში ჩვენ დახრილი ხაზით გამოვყოფთ იმ ელემენტებს, რაზეც გვინდა ყურადღების გამახვილება.

საკვლევ მასალად შევარჩიეთ და ერთმანეთს შევუპირისპირეთ შემდეგი დისკურსები:

1. საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატის ნიკოლა სარკოზის 2007 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმული და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის 2007 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმული დისკურსები.

(აქვე განვმარტავთ, რომ საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის 5 იანვარს ჩატარდა, ჩვენს მიერ კორპუსად შერჩეული სააკაშვილის დისკურსი კი წარმოთქმულია 2007 წლის ნოემბერის თვეში, ამდენად, შედეგების აღწერისას სააკაშვილის დისკურსს თარიღად მივუთითებთ 2007 წელს).

2. მეორე ვადით საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატის ნიკოლა სარკოზის 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმული და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის 2012 წლის საპარლამენტო წინასაარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმული დისკურსები.

3. საფრანგეთის ოპოზიციური ძალის პრეზიდენტობის კანდიდატის ფრანსუა ოლანდის მიერ 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმული და საქართველოს ოპოზიციური ძალის ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის მიერ 2012 წლის საპარლამენტო წინასაარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმული დისკურსები.

საკვლევი კორპუსი პოლიტიკოსების მიერ ფართო აუდიტორიის წინაშე ელექტორატის დარწმუნების მიზნით წარმოთქმული დისკურსებით შევადგინეთ. ქართული მასალა მოვიძიეთ საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ-გვერდსა - <http://www.president.gov.ge/ge/> და საქართველოს პრემიერ მინისტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე <http://www.government.gov.ge>, ფრანგული მასალა საფრანგეთის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ-გვერდსა - [www.elysee.fr](http://www.elysee.fr) - და ასევე შემდეგ ვებ-გვერდებზე: [vie-publique.fr](http://vie-publique.fr), [georges-pompidou.org](http://georges-pompidou.org), [charles-de-gaulle.org](http://charles-de-gaulle.org).

## დასკვნა

ამდენად, მეორე თავში ჩვენ გავაანალიზეთ არგუმენტაციის თეორიების გენეზისი, გამოვყავით მისი განვითარების ძირითადი ეტაპები - არისტოტელეს ანტიკური რიტორიკა, რიტორიკა, როგორც მეტყველების გაფორმების ხელოვნება, პერელმანის ნეორიტორიკა - , ამასთანავე, ჩვენ ერთმანეთს შევუპირისპირეთ ანტიკური რიტორიკა და ნეორიტორიკა მათი ძირითადი პრინციპების მიხედვით, მიმოვიხილეთ პერელმანის შემდგომ შექმნილი არგუმენტაციის სხვა თანამედროვე თეორიები, ჩვენ აგრეთვე გავაანალიზეთ არგუმენტაციული დისკურსი და არგუმენტაცია უშუალოდ პოლიტიკურ დისკურსში. მესამე თავს კი დავუთმობთ ჩვენი კვლევის შედეგებს.



## თავი მესამე

### 3. არგუმენტაციული ტექნიკები და არგუმენტაციული სტრატეგიები პოლიტიკურ დისკურსში

#### 3.1 ფასეულობების არგუმენტი

პერელმანის თანახმად, ფასეულობების გამოყენება არგუმენტაციის გამოყენების ნებისმიერ სფეროში, ეს იქნება იურიდიული, ფილოსოფიური თუ პოლიტიკური, საბაზისო არგუმენტად მიიჩნევა. ფასეულობა ძალიან ცვალებადი ფენომენია. იგი ცვლილებებს ეპოქათა, კულტურათა, საზოგადოებათა მიხედვით განიცდის. ამიტომ, პერელმანი ფასეულობების ორ ტიპს გამოყოფს: უნივერსალურს და განსაკუთრებულს (კონკრეტულს). უნივერსალურია ფასეულობები, რომლებიც უნივერსალური, ნებისმიერი ტიპის აუდიტორიის წინაშე ეფექტურია. ასეთი ფასეულობების მაგალითებად პერელმანს *სიმართლე, სიკეთე, სილამაზე* მოყავს. განსაკუთრებული ან კონკრეტულია ფასეულობები, რომლებიც არა ნებისმიერი ტიპის, არამედ მხოლოდ განსაზღვრული აუდიტორიის მისამართით გამოიყენება. განსაკუთრებული ფასეულობები ერთი ეპოქის, ერთი კულტურის, ერთი ქვეყნის ფარგლებშიც კი შეიძლება ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდეს. რაც შეეხება უნივერსალური და განსაკუთრებული ფასეულობების აქტუალობას პოლიტიკურ დისკურსში, ადრესატის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქცენტი, უმეტეს შემთხვევაში, უნივერსალურ ფასეულობებზე კეთდება, თუმცა, ჩვენ ნაშრომში, თუ ფართო გაგებით გავანალიზებთ, განსაკუთრებულ ფასეულობებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ფასეულობები, რომლებიც დამახასიათებელია ერთი ქვეყნის ფარგლებისთვის, ჩვენ შემთხვევაში, საქართველოსა და საფრანგეთისთვის. პერელმანი ფასეულობებს, აგრეთვე, კონკრეტულ და

აბსტრაქტულ ფასეულობებად აჯგუფებს. აბსტრაქტულ ფასეულობებად მიიჩნევს მაგალითად, *სამართლიანობას, ჭეშმარიტებას*, კონკრეტულად კი, მაგალითად, *ეკლესიას, საფრანგეთს* (პერელმანი 2008, 99-107).

შაროდო კონკრეტულად პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებულ ფასეულობებზე ამახვილებს ყურადღებას. მისი აზრით, ფასეულობების გამოყენება პოლიტიკოსისგან საკმაოდ დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან მან უამრავ ფასეულობათა შორის ის ფასეულობები უნდა შეარჩიოს, რომლებიც აუდიტორიაზე იმოქმედებს და რაც უფრო მნიშვნელოვანია, შერჩევის შემდეგ, მან მსმენელისათვის მათი ეფექტურად მიწოდება უნდა შეძლოს. შაროდოს თანახმად, ფასეულობამ პოლიტიკურ დისკურსში შემდეგი ორი პირობა უნდა დააკმაყოფილოს: სიმარტივის და არგუმენტაციის. იქედან გამომდინარე, რომ პოლიტიკური დისკურსი მიმართულია ძალიან დიდი რაოდენობის მსმენელისადმი, რომლებიც ერთმანეთისგან განათლების, აზროვნების დონით ძალიან განსხვავდებიან, ფასეულობა მაქსიმალურად ფართო მასებისთვის გასაგები უნდა იყოს და ამასთანავე, მას დამარწმუნებელი ეფექტი უნდა ქონდეს (შაროდო 2005, 73-77). ჩვენ მიერ შერჩეულ დისკურსებში როგორც ფრანგი, ასევე ქართველი პოლიტიკოსები ცდილობენ აქტიურად გამოიყენონ ისეთი ცნებების გამომხატველი სიტყვები, რომლებიც მოცემული საზოგადოებისთვის საერთო ღირებულებებს წარმოადგენს. პოლიტიკოსები ამ ტექნიკის საშუალებით თავიანთი დისკურსის იდეოლოგიზაციას ახდენენ, რითაც ცდილობენ მსმენელს საკუთარი პიროვნების მიმართ დადებითი დამოკიდებულება შეუქმნან და საკუთარი თავი სანდო ადამიანად წარმოაჩინონ.

ჩვენ მიერ გაანალიზებული 2007 წლის საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატის - ნიკოლა სარკოზისა და 2007 წლის საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის - მიხეილ სააკაშვილის დისკურსებში მრავლადაა არგუმენტები როგორც კონკრეტული, ასევე აბსტრაქტული ფასეულობების გამოყენებით.

სარკოზისთან შემდეგი ინტენსივობითაა გამოყენებული ფასეულობების აღმნიშვნელი სიტყვები: პირველ ადგილზეა საფრანგეთი, მეორეზე - რესპუბლიკა, მესამეზე - დასაქმება, მას მოსდევს დემოკრატია, უფლება, მორალი, ქვეყანა,

თავისუფლება, ადამიანი, თანასწორობა, ძმობა, საზოგადოება, განვითარება, პატივისცემა, ფასეულობა, ისტორია, სახელმწიფო, ერი და ა. შ.

ქართულ დისკურსში ყველაზე ინტენსიური ფასეულობებია: პირველ ადგილზე - *საქართველო*, მას მოსდევს *დემოკრატია*, მესამეზეა *წესრიგი*, მეოთხეზე - *საზოგადოება*, ხშირად გამოყენებული ფასეულობებია აგრეთვე: *ხალხი*, *სახელმწიფო*, *გამჭირვალე არჩევნები*, *განვითარება*, *დაცვა*, *სიმტკიცე*, *მომავალი* და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ორივეენოვან დისკურსში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ლიდერი ფასეულობაა *საფრანგეთი* - ფრანგულ დისკურსში, *საქართველო* - ქართულ დისკურსში. ორივე კანდიდატი იყენებს აგრეთვე აღნიშნული ფასეულობის სინონიმურ სიტყვებს, როგორებიცაა: *სამშობლო*, *ქვეყანა*, მაგრამ მათი გამოყენების ინტენსივობა ორივეენოვან დისკურსში ქვეყნის კონკრეტულ დასახელებას ბევრად ჩამოუვარდება, რისი მიზეზიც, ჩვენი აზრით, ის არის, რომ ლექსემები *სამშობლო*, *ქვეყანა* ზოგადი სახელებია, ხოლო *საფრანგეთი* ფრანგებისთვის და *საქართველო* ქართველებისთვის მსმენელზე ბევრად უფრო ძლიერად მოქმედი ლექსიკური ერთეულებია. ეს სიტყვები თითოეული ადამიანის, თითოეული მსმენელის იდენტობის, თვითმყოფადობის ნაწილია და ამდენად, ფრანგი და ქართველი პოლიტიკოსები თავიანთ დისკურსებში არჩევანს სწორედ მასზე აკეთებენ.

თავის დისკურსში სარკოზის ფასეულობა *საფრანგეთი* გაიდებულა აქვს.

*La France, elle a le visage, l'âge, la voix de tous ceux qui ont cru en elle, qui se sont battus pour elle, pour son idéal, pour ses valeurs, pour sa liberté.*

*Ma France, c'est une nation ouverte, accueillante, c'est la patrie des droits de l'homme. C'est elle qui m'a fait ce que je suis. J'aime passionnément le pays qui m'a vu naître.*

რაც შეეხება სიტყვას *დემოკრატია*, რაოდენობის მხრივ იგი ქართულ დისკურსში მეორე ადგილზეა, ხოლო ფრანგულ დისკურსში მასზე უფრო აქტუალურია სიტყვა *დასაქმება*. აღნიშნული განსხვავება ორ ქვეყანას შორის არსებული განსხვავებული სოციო-პოლიტიკური სიტუაციითაა განპირობებული. სააკაშვილს, როგორც განვითარებადი სახელმწიფოს ლიდერ პოლიტიკოსს, ურჩევნია მოსახლეობა დაარწმუნოს, რომ მისთვის დემოკრატია მთავარი ფასეულობა, მთავარი მიზანია, ასეთი

სტრატეგია განვითარებული ქვეყნის პოლიტიკოსს ნამდვილად არ ჭირდება. საფრანგეთი მსოფლიოში აღიარებული დასავლური ღირებულებების მქონე ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა და ამდენად, მისთვის მთავარი გამოწვევა არა დემოკრატია (ეს არ ნიშნავს, რომ საფრანგეთში დემოკრატია უგულვებელყოფილია, არამედ, პირიქით, დემოკრატიული ინსტიტუტები ამ ქვეყანაში ისეთ მაღალ დონეზეა განვითარებული, რომ მასზე დიდი დოზით აქცენტირება საჭირო აღარაა), არამედ თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესება, დასაქმების საკითხზე აქცენტირებაა.

მაგალითები სააკაშვილის დისკურსიდან:

უნდა გადაიდგას ყველა ის ნაბიჯი, რომელიც *დემოკრატიულ სამყაროში* იცავს დემოკრატიას დემოკრატიის მოწინააღმდეგეთა მხრიდან.

ეს არის *საქართველოს განსაკუთრებულობა და განსაკუთრებული სიმტკიცის და ასევე დემოკრატიზმის, გახსნილობის და ამავე დროს ზუსტი შეგნების უტყუარი ნიშანი. დემოკრატიის კარი ღიაა*, იმიტომ რომ, მე როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტი და ამ ქვეყნის მოქალაქე, ვარ გარანტი იმისა, რომ დემოკრატიის ეს კარი არასდროს არ დაიხურება.

მაგალითები სარკოზის დისკურსიდან:

*C'est la République qui crée des emplois, qui construit des logements qui permet au travailleur de vivre de son travail, qui donne sa chance à l'enfant pauvre, qui met les retraités des régimes spéciaux à égalité avec ceux du secteur privé et de la fonction publique.*

*Le problème c'est que la France travaille moins quand les autres travaillent plus. Le plein emploi est possible chez les autres. Il l'est aussi chez nous. Il faut aimer le travail et pas le détester.*

*Le travail c'est la liberté, c'est l'égalité des chances, c'est la promotion sociale. Le travail c'est le respect, c'est la dignité, c'est la citoyenneté réelle. Avec la crise de la valeur travail, c'est l'espérance.*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველი პოლიტიკოსის მიერ გამოყენებულ ფასეულობათა შორის, აქტუალურობის მხრივ რიგით მესამე ადგილზეა ფასეულობა *წესრიგი*. ამის მიზეზი შემდეგ პოლიტიკურ-სიტუაციურ კონტექსტში უნდა ვეძებოთ:

საქართველოში სულ რამდენიმე წლის წინ მთავარ პრობლემად რჩებოდა კორუფცია, არეულობა, ქურდული სამყაროს გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პროცესებზე (სიტყვას *წესრიგი* ქართველი პოლიტიკოსი სწორედ ფართო მნიშვნელობით იყენებს). ამდენად, წესრიგი და უსაფრთხოება საქართველოსთვის ოცდამეერთე საუკუნეში დიდ მიღწევად მიიჩნევა. საინტერესოდ მიგვაჩნია, აგრეთვე, ქართულ დისკურსში გამოვყოთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფასეულობა *გამჭირვალე არჩევნები*, რაც ასევე პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნისთვის საკმაოდ აქტუალურ საკითხად რჩება. ფრანგული საზოგადოების წინაშე, კი წესრიგსა და გამჭირვალე არჩევნების საკითხზე აქცენტირება არაეფექტური იქნება, იქედან გამომდინარე, რომ ეს პრობლემები საფრანგეთს ძირითადად გადაჭრილი აქვს. ამიტომ, 2007 წლის სარკოზის დისკურსში აღნიშნული ფასეულობები თითქმის არც გვხვდება. მისთვის დღეს მთავარ საზრუნავს სხვა ფასეულობები: მორალი, უფლება, ადამიანი, თანასწორობა წარმოადგენს. მოვიყვანთ მაგალითებს პოლიტიკოსთა დისკურსებიდან:

საკაპილი:

*ჩვენ მეტი საზრუნავი და მეტი თემა, გარდა საქართველოსა და მისი წესრიგის დაცვისა, რა თქმა უნდა, არ გაგვაჩნია.*

*მე მინდა გითხრათ, რომ ეს იქნება ყველაზე დემოკრატიული, ყველაზე თავისუფალი, ყველაზე გამჭირვალე არჩევნები.*

*მთელი მსოფლიო ვამყოფოთ იმის მოწმედ და იმის მონაწილედ, რომ საქართველო არის ძლიერი დემოკრატიული ქვეყანა, რომლის ხალხს აქვს სრულიად ზუსტი წარმოდგენა იმაზე, თუ რა უნდა იყოს მისი მყარი მომავალი და ამ მყარი მომავლის ზუსტი გარანტიები.*

სარკოზი:

*Notre capacité à vivre ensemble, à nous comprendre et à nous respecter est notre bien le plus précieux.*

*Ma France, c'est une nation ouverte, accueillante, c'est la patrie des droits de l'homme.*

Nous devons changer radicalement nos comportements pour aller vers davantage *d'impartialité, d'équité, d'honnêteté, de responsabilité, de transparence.*

საინტერესოა აგრეთვე, ფრანგულ დისკურსში საფრანგეთის სახელმწიფო ლოზუნგში დაფიქსირებული ფასეულობების კვლევა. საფრანგეთის ლოზუნგი „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“ ფრანგული პოლიტიკური დისკურსისთვის აღნიშნულ ფასეულობებს განსაკუთრებით აქტუალურს ხდის, მაშინ როცა *თანასწორობა და ძმობა* 2007 წლის ქართულ დისკურსში საერთოდ არ დაფიქსირდა, ხოლო *თავისუფლება* ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად გამოყენებულ ფასეულობათა შორისაა.

La République réelle, c'est la République qui ne se contente pas d'inscrire *la liberté, l'égalité et la fraternité* sur ses monuments, mais qui les inscrit dans la réalité de la vie quotidienne.

ამდენად, 2007 წლის სარკოზისა და სააკაშვილის პოლიტიკურ დისკურსებში ფასეულობის არგუმენტის გამოყენების მხრივ, ფრანგული სოციო-კულტურული გარემო განაპირობებს ფრანგულ დისკურსში ფასეულობების - *დასაქმება, ძმობა, ერთობა, თავისუფლება, მორალი, ადამიანის უფლებები* - აქტუალობას, მაშინ როცა ქართული სოციო-კულტურული გარემოს გავლენით სააკაშვილის დისკურსისთვის ფასეულობები - *დემოკრატია, წესრიგი, გამჭირვალე არჩევნები* - უფრო პრიორიტეტულია.

სარკოზისა და სააკაშვილის 2012 წლის წინასარჩევნო დისკურსების შედარებისას ყველაზე აქტუალურ ფასეულობად ფრანგ პოლიტიკოსთან ისევ *საფრანგეთი*, ხოლო ქართველ პოლიტიკოსთან ისევ *საქართველო* გამოიკვეთა. როგორც კვლევამ გვიჩვენა, ფრანგულ და ქართულ დისკურსებში სამშობლოს კონკრეტული ნომინაცია, არა მხოლოდ ლიდერ ფასეულობას, არამედ, ლიდერ სიტყვას წარმოადგენს, რომელიც მათ პოლიტიკურ დისკურსებში ყველაზე ხშირად გამოიყენება.

სარკოზისთან, 2012 წლის დისკურსში ფასეულობათა აქტუალობის მხრივ, მეორე ადგილზეა *ქვეყანა*, შემდეგ *საზღვარი*. ქართულ დისკურსში კი სიხშირის მიხედვით, მეორე ადგილზეა *ხალხი*, შემდეგ - *წარსული*. თუმცა მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ სააკაშვილი წარსულს როგორც ფასეულობას არ იყენებს, არამედ მას მკვეთრად ნეგატიურ კონოტაციურ მნიშვნელობას ანიჭებს. სარკოზისთან კი *წარსული, ისტორია,*

პირიქით, ერთ-ერთ აშკარად დადებითი აქსიოლოგიის მქონე ფასეულობად იკვეთება. სიტყვა *წარსულისადმი* განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობით გამოყენებას, ერთის მხრივ, ფრანგულ და მეორეს მხრივ, ქართულ დისკურსში ორი ქვეყნის განსხვავებული ისტორიული სიტუაცია განაპირობებს. სააკაშვილი წარსულში მოიაზრებს 90-იანი წლებიდან მოყოლებულ პერიოდს მის ხელისუფლებაში მოსვლამდე. საქართველოსთვის ეს პერიოდი ქვეყნის უახლეს ისტორიაში შევიდა, როგორც საქართველოს საბჭოთა კავშირისგან განთავისუფლებისთვის ბრძოლა, სამოქალაქო ომი, კორუფცია, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობები, კრიმინალური სიტუაცია, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, დანგრეული ეკონომიკა. საფრანგეთი კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ასევე 1968 წლის კრიზისისა და დეკოლონიზაციის პროცესების გადალახვის შემდეგ, სერიოზული საფრთხის, დაპირისპირების წინაშე არ აღმოჩენილა. ის პერიოდი, რის გამოც სააკაშვილი წარსულს ნეგატიურ შეფასებას აძლევს და რაც მთავარია, ეს წარსული ამომრჩევლების უმრავლესობას კარგად ახსოვს, საფრანგეთისთვის სტაბილურობით, სიმშვიდით ხასიათდება. სწორედ, განხილული უახლესი ისტორიული გარემო იწვევს სააკაშვილის დისკურსში წარსულისადმი ნეგატიური კონოტაციის მინიჭებას. მოვიყვანთ მაგალითებს ფასეულობების *წარსული, ისტორია* შესახებ ქართველი და ფრანგი პოლიტიკოსების დისკურსებიდან.

სარკოზი:

*Nous avons une histoire, nous voulons être accueillants pour les autres mais nous voulons qu'on respecte notre pays, qu'on respecte notre histoire, qu'on considère notre identité.*

*Mais comment voulez-vous que nos enfants soient fiers de notre pays si nous ne revendiquons pas nos racines, comment voulez-vous savoir où aller dans l'avenir si vous êtes incapable d'assumer que vous venez de là dans le passé, comment voulez-vous que nous soyons ouverts, généreux, accueillants si nous n'aimons pas suffisamment la France, si nous n'aimons pas suffisamment notre histoire.*

საკაშვილი:

*ეს არის განსხვავება წარსულსა და საქართველოს მომავალს შორის.*

ეს არის ჩვენი ახალი ინსტიტუტების ეფექტიანობის სიმბოლო, ახალი საქართველოს მთავრობის სიმბოლო, *სრული ანტიტეზისი ჩვენი წარსულის ინსტიტუტებისა.*

ეს შუშის შენობა არის კონტრასტი ჩაკეტილობასა და გახსნილობას შორის, *ახალ ბიუროკრატიასა და ძველ საბჭოთა მეთოდებს შორის, ახალ სახელმწიფოსა და ძველ სახელმწიფოს შორის.*

სარკოზის დისკურსში აქტუალური ფასეულობებია აგრეთვე: რესპუბლიკა, ოჯახი, ბავშვი, იდენტობა, საკუთრება, თვითმყოფადობა, ხალხი, უფლება, კულტურა, ერი, საკუთრება, რწმენა, ერი, ჭეშმარიტება, თანასწორობა და ა. შ.

მოვიყვანთ მაგალითებს სარკოზის დისკურსიდან:

*Où est la franchise? Où est l'honnêteté, où est le courage? Où est la transparence?*

Et je dénie à quiconque le droit de nous blesser ou de nous injurier en mettant en cause *notre humanisme, ou notre connaissance des valeurs de la République.*

Nous ne voulons pas nous fondre dans une espèce d'aplatissement général du monde où il n'y aurait plus *de cultures, plus de langues, plus de frontières, plus d'identités!*

Mais *la frontière*, elle ne s'arrête pas là ; *la frontière, c'est notre culture, notre langue.*

Mais une campagne, c'est un grand moment de rencontre entre un peuple et un homme. Une campagne, c'est un grand moment *de vérité*, sur un projet et sur *une personnalité*. Une campagne, c'est un moment d'*authenticité*.

*La frontière, la frontière* c'est ce qui rassure *une société, une Nation*. *La frontière*, c'est ce qui définit un idéal commun, un projet collectif. *La frontière*, c'est comme un signe de *reconnaissance*, qui apaise les tensions entre deux pays.



საკაშვილთან აქტუალური ფასეულობებია აგრეთვე: სახელმწიფო, სახლი, საზოგადოება, დემოკრატია, ინსტიტუტები, შვილები, უსაფრთხოება, სკოლა, წინსვლა, სიახლე და ა.შ.

მთლიანად დავუთმოთ გზა *სიახლეს*, ისევე, როგორც ეს ცარიელი სივრცე უნდა შეივსოს *სიახლით*, *ახალი მენტალიტეტით*, *ახალი აზროვნებით*, *ახალი სახელმწიფოებრიობის განცდით*.

საზოგადოება ყველაფერს გააკეთებს *გამჭვირვალობის*, *თავისუფლების* პირობებში.

როგორც ვხედავთ, ფასეულობა *უსაფრთხოება*, რასაც სააკაშვილი 2007 წლის დისკურსში გამოყენებული ერთ-ერთი აქტუალური ფასეულობის *წესრიგის* სინონიმად იყენებს, 2012 წლის დისკურსშიც ასევე აქტუალურია.

ანალიზი ცხადყოფს, რომ ორივე კანდიდატთან გვხვდება როგორც ზოგადი, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი აბსტრაქტული ფასეულობები, როგორებიცაა, *დემოკრატია*, *ინსტიტუტები*, *ქემმარიტება*, *უფლება*, აგრეთვე, თითოეული მოქალაქისთვის პირადი ფასეულობები, როგორებიცაა, *სახლი*, *შვილი*, *სკოლა*, *ოჯახი*. აქვე აღვნიშნავთ, რომ, ფასეულობების აღნიშნული ნიშნით კლასიფიკაცია სხვა მეცნიერებთან არ გვხვდება. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ფასეულობა, რაც არ უნდა ზოგადი იყოს იგი, თითოეული ადამიანის იდენტობის ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ზოგადი ფასეულობები სხვებთან თანაზიარია, საერთოა. პირადი ფასეულობა კი თითოეული პიროვნებისთვის ინდივიდუალურია, მისი საკუთარია. ამდენად, პოლიტიკოსები თითოეულ მსმენელთან ადაპტაციას ორივე სახის ფასეულობების სინთეზური გამოყენებით ცდილობენ. პირადი ფასეულობების მაგალითებია:

სარკოზი:

Quand on a une douleur, quand on a un problème dans la vie, on se retourne *vers sa famille*, on croit *dans sa famille*, on aime *sa famille*. Et ça, rien ni personne ne le fera changer.

Parce que je crois à *la famille*, et parce que je crois au travail! Et parce que je crois que quand on a travaillé toute sa vie, il est normal de laisser à *ses enfants*, en franchise d'impôts, le fruit d'une vie de travail!

სააკაშვილი:

მინდა ვიკითხო – თითოეულმა ჩვენგანმა გამოვრთოთ ერთი წუთით ტელევიზორი და გავიხედოთ ქუჩაში, ვუშვებთ თუ არა *ჩვენს შვილს* უსაფრთხოდ, არის თუ არა ჩვენი ქუჩა უკეთესი, არის თუ არა ჩვენი *სკოლები* უკეთესი, გვივარდება თუ არა *სახლში* ვინმე და არღვევს თუ არა ჩვენს უფლებებს?

ჩვენ, ასევე, გამოვყოფთ ფასეულობას *საკუთრება*, რომელიც სარკოზის დისკურსში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს. სააკაშვილის დისკურსში კი, იგი თითქმის არ გამოიყენება. ეს ფაქტორიც, ჩვენი აზრით, განპირობებულია იმით, რომ დასავლურ აზროვნებაში საკუთრების ცნებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაშინ როცა ქართული საზოგადოებისთვის საკუთრება, საკუთრების უფლება დასავლეთის მსგავსი მნიშვნელობით ჯერჯერობით მაინც არ გაიგება.

Si vous êtes assuré de *votre propriété*, de votre titre de location, l'autre est un voisin à qui on peut tendre la main.

ამდენად, 2012 წლის ფრანგულ და ქართულ დისკურსებში ჩვენი ანალიზისთვის საინტერესო ფასეულობებად, რომელთა ინტენსივობაც ქვეყნებს შორის არსებული სოციო-კულტურული სიტუაციებითაა განპირობებული, შეგვიძლია გამოვყოთ ფასეულობები *წარსული*, *უსაფრთხოება*, *საკუთრება*.

რაც შეეხება 2012 წლის ფრანსუა ოლანდის დისკურსს, მასშიც ლიდერი ფასეულობა *საფრანგეთია*, გამოყენების სიხშირით მეორე ადგილზეა *რესპუბლიკა*, მას მოსდევს *გამარჯვება*, *სახელმწიფო*, *ცვლილება*, *დასაქმება*, *რწმენა*, *ჭეშმარიტება*, *აღმასვლა*, *ზრდა*, *პატრიოტიზმი*, *მომავალი*, *ისტორია*, *თანასწორობა* და ა. შ.

მაგალითები ოლანდის დისკურსიდან:

Nous avons aussi à construire *une espérance, le redressement, la justice, l'espérance de la jeunesse* pour laquelle je me bats dans cette campagne.

*L'aspiration à la promotion, à l'épanouissement, à l'accomplissement personnel dans la réussite nationale*, que rien ne soit fait pour les uns sans que cela bénéficie aux autres, d'avoir de *la solidarité* entre nous et en même temps une capacité à donner à *notre pays* ce qu'il a de meilleur en lui-même, *ses richesses, sa croissance, ses entreprises, son travail*.

*La France, celle des libertés, des conquêtes, des valeurs, des principes, de l'humanisme* Le défi aussi de la *préparation de l'avenir, de l'éducation qui sera la grande priorité, de la recherche, indispensable, de la culture qui est notre bien commun, notre patrimoine, mais aussi notre langue et notre identité partout dans le monde*.

*Les Français retrouvent le goût de l'espérance, de la confiance, de la cohérence, de la constance*.

*La valeur travail, c'est une valeur dans la République. La valeur travail*, nous y sommes autant, si ce n'est davantage, attachés que d'autres. *La valeur travail, c'est la dignité du travail, C'est l'honneur du travail, c'est la considération du travail, c'est la rémunération du travail, c'est la lutte contre la souffrance au travail, c'est l'égalité dans le travail entre les femmes et les hommes*.

Ma campagne a été *volontaire*. Elle a été *digne*. Elle a été *fraternelle*. Elle a été *rassembleuse*. Je veux que le prochain président de la République *soit volontaire, soit digne, soit fraternel, soit rassembleur*.

Nous croyons à *la justice, à l'égalité, à un pays* – le nôtre – où les destins ne seraient pas irrémédiablement figés, fixés, écrits dès le jour de la naissance.

*Nous croyons à une France du travail, de l'innovation, du mérite, de l'investissement.*

ივანიშვილის დისკუსშიც ფასეულობათა შორის პირველ ადგილზე საკუთარი ქვეყნის კონკრეტული სახელი - საქართველოა. მას მოსდევს ქვეყანა, ხალხი, ადამიანი, სახელმწიფო, თავისუფლება, საზოგადოება, სამშობლო, დემოკრატია, მოქალაქე, ოჯახი, მომავალი, სამართლიანობა, ნდობა, სიმართლე, სიკეთე და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ივანიშვილის დისკურსში ძალიან აქტუალურად გამოიყენება ისეთი ფასეულობები, როგორებიცაა: სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი დემოკრატიული კანონი, დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო, ევროპული დემოკრატიული სახელმწიფო, დემოკრატიული ქვეყანა, სამოქალაქო საზოგადოება, წინსვლა თანამედროვე სამყაროსკენ, დემოკრატიისაკენ, სამართლიანი და განვითარებული ქვეყანა.

აღნიშნული ფასეულობების აქტუალურობა მიანიშნებს იმას, რომ საქართველოს მიზანი და მიმართულება სწორედ კანონიერი, თავისუფალი, სამართლიანი, დემოკრატიული, ევროპული ტიპის (რომელთაგან ერთ-ერთი საფრანგეთია) სახელმწიფოს ჩამოყალიბებაა. საქართველოსთვის განვითარებული ევროპული ქვეყნები, მათ შორის საფრანგეთი, არის მოდელი, მაგალითი.

*სამოქალაქო საზოგადოების შექმნას და გაძლიერებას ვგულისხმობ, რაც ევროპული, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი საფუძველია.*

*საქართველო გახდება დემოკრატიული ქვეყანა და მასში ნამდვილი, ღირსეული სამოქალაქო საზოგადოება იცხოვრებს.*

*საქართველო გახდება თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყანა, ევროპული თანამეგობრობის ღირსეული წევრი!*

ყოველდღიურად ვხედავ, თუ როგორ მიდის *წინ ჩვენი საზოგადოება სამოქალაქო საზოგადოებისკენ. ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, პირველ რიგში, სამოქალაქო სოლიდარობას გულისხმობს.*

საინტერესოდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ თავის დისკურსში ივანიშვილი სიტყვას *წარსული* დადებითი სემანტიკური მნიშვნელობით იყენებს. მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ურთულეს პერიოდს კი იგი გაკვეთილად მოიხსენიებს.

აი, *ასეთი წარსულის გათვალისწინებით* ჩვენი მთავარი მიზანი ერთმანეთის ნდობის მოპოვება იქნება.

ამგვარი დაპირისპირების *უმწარესი გაკვეთილი ოციოდე წლის წინ მიიღო ჩვენმა ხალხმა.*

ჩვენ დავრწმუნდით, რომ არც ერთი ხელისუფლება და არც ერთი პოლიტიკური ლიდერი არ ღირს იმად, რომ მისმა მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთი სასიკვდილოდ გაიმეტონ. *ეს მწარე გაკვეთილი ჩვენ უკვე მივიღეთ.*

ამდენად, ოლანდის 2012 წლის დისკურსში, ისევე როგორც სარკოზისტან, *დასაქმება, მორალი, ადამიანის უფლებებია* მნიშვნელოვანი, მაშინ როცა ივანიშვილი, ფასეულობებს შორის, სააკაშვილის მსგავსად, დემოკრატიაზე, სამართლიან არჩევნებსა და სამართლიან ქვეყანაზე აკეთებს აქცენტს.

ამდენად, ფასეულობების არგუმენტთან დაკავშირებით, ფრანგული და ქართული პოლიტიკური დისკურსების ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივენივე დისკურსებში ყველაზე აქტუალური ფასეულობა საკუთარი ქვეყნის კონკრეტული სახელია - ფრანგულ დისკურსში *საფრანგეთი* და ქართულ დისკურსში *საქართველო*. ამასთანავე, ფასეულობები, რომლებზეც აქცენტირება ხდება ფრანგულ დისკურსში, ქართული დისკურსისგან გასხვავებით, არის

დასაქმება, საკუთრება, ადამიანის უფლებები, მორალი, ქართულ დისკურსში, კი ფრანგულისგან განსხვავებით, გამჭირვალე /სამართლიანი არჩევნები, უსაფრთხოება, წესრიგი, დემოკრატია. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში ფრანგულ და ქართულ დისკურსებში *წარსულს* (ივანიშვილთან *გაკვეთილი*) ურთიერთსაპირისპირო კონოტაცია აქვს. ფრანგულ დისკურსში გამოიკვეთა, აგრეთვე, საფრანგეთის ლოზუნგის ფასეულობები *თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა*, რომლებიც ჩვენ მიერ განხილული ფრანგული დისკურსებიდან ინტენსივობის მიხედვით მართალია, პირველ სამეულში არ შედის, მაგრამ ერთ-ერთ აქტუალურ ფასეულობებად მიიჩნევა, მაშინ როცა ქართულ დისკურსში *თანასწორობის* და *ძმობის* გამოყენების მაგალითები თითქმის არ გვხვდება. ფასეულობა *თავისუფლება*, კი ფრანგულთან შედარებით, აშკარად მცირე რაოდენობით ჩნდება. რაც შეეხება ფასეულობების რაოდენობას, აღვნიშნავთ, რომ ორივეენოვან დისკურსში იგი ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტაციული ტექნიკაა, თუმცა, ფრანგულ დისკურსში ფასეულობები ბევრად მეტი ინტენსივობით გამოიყენება ვიდრე ქართულში.

### **3.2 პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები**

პოლიტიკურ დისკურსში პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები დარწმუნების მიზნით საკმაოდ ხშირად გამოიყენება. მას არისტოტელე რიტორიკულ „ხერხს“ უწოდებს (არისტოტელე 1981, 193). პოლიტიკურ დისკურსში აღნიშნული არგუმენტაციული ტექნიკის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ დისკურსის ეს ნაწილები მათი რამდენჯერმე გამეორების ხარჯზე მსმენელს უფრო ადვილად ამახსოვრდება და ამასთანავე, მას ემოციურ ელფერს მატებს, რაც ადრესატის პათოსზეა გამიზნული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სარკოზის 2007 წლის გამოსვლა თითქმის მთლიანად პარალელური სინტაქსური კონსტრუქციებით არის აგებული, რაც მის დისკურსს განსაკუთრებულ ჟღერადობას და ემოციურობას ანიჭებს. ფრანგი კანდიდატი პარალელურ სინტაქსურ კონსტრუქციებში იყენებს და იმეორებს ისეთი ფასეულობების გამომხატველ სიტყვებს, როგორებიცაა: *საფრანგეთი, რესპუბლიკა, დემოკრატია*. უმთავრეს შემთხვევაში, თავდაპირველად, სარკოზი ამ სიტყვებს განსაზღვრული არტიკლით იყენებს, რამდენჯერმე გამეორების შემდეგ კი იგი ხშირად განსაზღვრულ არტიკლს პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელით ცვლის. აღნიშნული სტრატეგიით სარკოზი ცდილობს ხაზი საკუთარ პიროვნებას გაუსვას. მის დისკურსში ეთოსის ასეთი ფორმით გამოხატვა ამავედროულად მსმენელზე ზემოქმედებისთვისაა გამიზნული.

*Ma France, c'est le pays qui a fait la synthèse entre l'Ancien Régime et la Révolution, entre l'État capétien et l'État républicain, qui a inventé la laïcité pour faire vivre ensemble ceux qui croient au Ciel et ceux qui n'y croient pas.*

*Ma France, c'est le pays qui, entre le drapeau blanc et le drapeau rouge a choisi le drapeau tricolore, en a fait le drapeau de la liberté et l'a couvert de gloire.*

*La République réelle, c'est la République qui ne se contente pas d'inscrire la liberté, l'égalité et la fraternité sur ses monuments, mais qui les inscrit dans la réalité de la vie quotidienne.*

*La République réelle ce n'est pas la République où tout le monde reçoit la même chose. C'est la République où chacun reçoit selon son mérite ou son handicap.*

*La République réelle c'est celle qui fait plus pour celui qui veut s'en sortir et qui fait moins pour celui qui ne veut rien faire et dont la société ne peut accepter qu'il vive à son crochet.*

*Ma République c'est celle du droit opposable à la garde d'enfants, parce que lorsqu'on pense que la politique ne peut rien faire pour résoudre en cinq ans le problème des femmes qui travaillent et qui n'arrivent pas à faire garder leurs enfants, il ne faut pas faire de politique.*

*Ma République c'est celle du droit opposable à la scolarisation des enfants handicapés, parce que si l'on pense que d'ici à cinq ans on ne peut pas trouver les moyens de scolariser tous les enfants handicapés, il ne faut pas faire de politique.*

*Je veux taxer le pollueur plutôt que le travailleur.*

*Je veux taxer les importations qui ne respectent pas les normes internationales plutôt que le travail.*

ყველაზე ხშირად სარკოზის დისკურსში მეორდება პარალელური სინტაქსური კონსტრუქცია, რომელიც იწყება შემდეგნაირად: Je veux être le Président d'une France...

*Je veux être le Président d'une France qui ne transigera jamais sur son indépendance ni sur ses valeurs.*

*Je veux être le Président d'une France qui se donnera les moyens d'une défense à la hauteur du rôle éminent qu'elle veut continuer à jouer sur la scène du monde.*

*Je veux être le Président de la France des droits de l'homme.*

აღსანიშნავია, რომ სარკოზის 2007 წლის დისკურსში ნებისმიერი პოლიტიკური საკითხი, რაზეც იგი საუბრობს პარალელური სინტაქსური კონსტრუქციებითაა გამოხატული. ფრანგი პოლიტიკოსი თავისი პოლიტიკური პროგრამის მსმენელამდე მიტანას ემოციური სიტყვებისა და პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების დახმარებით ცდილობს, რითაც თავის პოლიტიკურ გამოსვლას ფართო აუდიტორიის წინაშე მაქსიმალურად არაოფიციალურ და პათეტიკურ იერს სძენს.



საკავშირის 2007 წლის დისკურსში პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები სარკოზის მსგავსი ინტენსივობით არ ფიქსირდება, თუმცა იგი ქართულ დისკურსშიც ერთ-ერთ საბაზისო არგუმენტაციულ ტექნიკად გამოიყოფა. ოღონდ, ფრანგული დისკურსისგან განსხვავებით, ქართულ დისკურსში პარალელური სინტაქსური კონსტრუქციებით პოლიტიკოსი ძირითადად მსმენელის ყურადღების გამახვილებას ქვეყნისადმი მიმართულ საფრთხეებზე, მისი დაცვის აუცილებლობაზე ცდილობს.

*მე მინდა ყველამ გავაცნობიეროთ, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მთავრობამ კი არ მიმართა და სახელმწიფომ ხალხს დასაცავად, მთავრობამ და სახელმწიფომ კი არ გამოიყვანა ხალხი სამიტინგოდ და მთავრობაზე ასაფარებლად, არამედ მთავრობამ გადადგა ყველა ადეკვატური ნაბიჯი იმასათვის, რომ ხალხი დაცული ყოფილიყო არეულობისაგან.*

*მე მინდა ყველამ გავაცნობიეროთ, რომ როდესაც შენ აღმართავ ხელს საზოგადოებრივ წესრიგზე, როდესაც აღმართავ ხელს სამართალდამცავ ორგანოებზე - ეს არის ძალადობა.*

*გავუმკლავდეთ ყველა საგარეო საფრთხეს, გავუმკლავდეთ ყველანაირ ზეწოლას საქართველოზე, გავუმკლავდეთ საქართველოს ტერიტორიების ანექსირების მცდელობას, გავუმკლავდეთ მზაკვრულ გეგმებს საქართველოს ტერიტორიების მითვისების, რომელიც აბსოლუტურად ზუსტად არსებობს, გავუმკლავდეთ იმ გეგმებს, რომლებიც მოქმედებაშია.*

*ეს სიმტკიცის გამოცდა ჩააბარა ქართულმა საზოგადოებამ.*

*ეს სიმტკიცის გამოცდა ჩააბარა ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ.*

ამდენად, 2007 წლის დისკურსში, სარკოზისთან პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები მისი დისკურსის მთავარ არგუმენტაციულ ტექნიკას წარმოადგენს, რომელსაც ნებისმიერ პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით აქტუალურად იყენებს, სააკავშირი კი თავის დისკურსში პარალელურ სინტაქსურ კონსტრუქციებს საშუალო

დოზით აფიქსირებს და მას ძირითადად მოსახლეობაში საფრთხის შეგრძნებების გასამძაფრებლად იყენებს.

როგორც ვნახეთ, სარკოზის 2007 წლის დისკურსი მთლიანად პარალელურ სინტაქსურ კონსტრუქციებზეა აგებული. იგი მის 2012 წლის დისკურსშიც ერთ-ერთ ძირითად არგუმენტაციულ ტექნიკად ფიქსირდება, თუმცა კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამ ტექნიკის ინტენსივობა, 2007 წლის დისკურსთან შედარებით, უფრო შემცირებულია. სააკაშვილი 2012 წლის დისკურსში პარალელურ სინტაქსურ კონსტრუქციებს საკმაო ოდენობით იყენებს. ორივე კანდიდატის დისკურსში აღნიშნული ტექნიკის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება მოწინააღმდეგის განეიტრალება, მის მიმართ საზოგადოებაში ნეგატიური დამოკიდებულების გაზრდაა. სარკოზი რიგ შემთხვევებში პირდაპირ მიმართავს ოპოზიციას, სადაც პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები მოწინააღმდეგისადმი მის უარყოფით განწყობას კიდევ უფრო ამწვავებს.

*Vous avez perdu le vote populaire, parce que vous ne parlez plus aux travailleurs, vous ne parlez qu'à ceux qui ont un statut. Vous ignorez les usines, vous ignorez les délocalisations, vous ignorez les travailleurs.*

*C'est bien pour les enfants de la République d'entendre un candidat à la présidence de la République dire cela ; c'est bien pour des parents qui doivent élever leurs enfants d'entendre un candidat à la présidence de la République dire « faites les poches de celui qui a travaillé et qui a plus que vous », c'est bien, c'est une honte.*

სარკოზი ხშირად პარალელურ კონსტრუქციებში განმეორებად ნაწილად იყენებს კავშირს *თუ*, რითიც მსმენელებს ისეთ პირობებს სთავაზობს, რომელზეც იმპლიციტურად ცალსახა პასუხი იგულისხმება, ზოგიერთ შემთხვევებში ფრანგი პოლიტიკოსი პარალელურ სინტაქსურ კონსტრუქციებს კითხვითი და უარყოფითი ფორმების ან სხვა მაკავშირებელი სიტყვების ეფექტის გასაძლიერებლად მიმართავს.

*Si vous êtes contre le vote des immigrés, si vous êtes contre la régularisation générale, si vous êtes contre l'explosion des impôts, si vous ne voulez pas pour la France le sort dramatique que connaissent nos amis Espagnols, alors il y a un choix à faire.*

Imaginez la situation qui serait la vôtre *si vous habitiez dans* une maison dont vous n'auriez aucun titre de propriété, ou *si vous habitiez dans* un appartement dont vous n'auriez aucun bail de location, occupant sans droit ni titre.

*Quand y a-t-il des tensions ? Quand* les frontières ne sont pas claires. *Quand y a-t-il des tensions ? Quand* les territoires où il n'y a aucune frontière, où tout le monde est partout chez lui, où personne n'est partout chez lui, et c'est la loi de la force alors qui prime, par rapport à la loi du droit.

*Il n'y en a pas un seul parmi vous qui* a protesté, parce que la France à laquelle je parle, elle est trop pudique pour protester. *Il n'y en a pas un seul parmi vous qui* ait partagé, au-delà du cercle familial, sa douleur, parce que la France à laquelle je parle, elle est trop fière.

*Mais personne ne m'empêchera, personne ne m'empêchera* de parler à ces 6 millions et demi de Français parce que nous avons des choses à leur dire, *qu'ils doivent être respectés, qu'ils doivent être considérés, qu'ils doivent être écoutés* et peut-être même parfois entendus dans la souffrance qui est la leur.

სარკოზის მსგავსად, სააკაშვილიც თავის დისკურსში ოპოზიციისადმი დაპირისპირებას პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების მეშვეობით ამძაფრებს და თავისი პოლიტიკური ძალის უპირატესობის ხაზგასასმელად, ისიც კონსტრუქციაში თუ კავშირს და კითხვით ფორმებს იმეორებს.

*თქვენ უფრო მეტად ენდობით* გიორგი ტულუშს, *რომელიც ახლა აქ ზის, უფრო ენდობით* ეკა ზღულაძეს, რომელიც ახლა აქ ზის, ენდობით იმ ახალგაზრდა გოგონებს და ბიჭებს, რომლებიც ამ შენობაში მუშაობენ, რომელთაც ზუსტად იციან რას ნიშნავს სამართლიანობა და რა რეაგირება უნდა მოახდინონ უსამართლობაზე, *უფრო ენდობით* ამ ხალხს?

*ვინ უფრო დაიცავს თქვენს უფლებებს?* ტულუში, ზღულაძე თუ თამაზაშვილი?

*ვინ უფრო უკეთესად წაიყვანს საქართველოს წინ?*

*თუ ის ხალხი, რომელმაც ყოველივე ეს შექმნა* იმისათვის, რომ საქართველოს ჰქონოდა ახალი სახელმწიფო აპარატი ...

*ვინ უფრო იქნება დემოკრატიული მთავრობის მომხრე?...*

*თუ ის ხალხი, ვინც აშენებს ამ სახელმწიფოს...*

თუ კავშირის გარდა, სააკაშვილის დისკურსში პარალელურ სინტაქსურ კონსტრუქციებში ჩვენებით ნაცვალსახელზეც ხდება აქცენტირება, ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტი თავისი მიღწევების ხაზგასასმელად ხშირად იმეორებს ზმნას *ავაშენეთ*.

*ეს არის* დღე, როდესაც ვხსნით საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ყველაზე მასშტაბურ, ყველაზე დიდ, ყველაზე ლამაზ შენობას.

*ეს არის* შენობა, რომელიც მთლიანად ეკუთვნის და გათვლილია არა მთავრობის მომსახურებასა და კომფორტზე, არამედ თავიდან ბოლომდე ეკუთვნის საქართველოს რიგით მოქალაქეებს.

*ეს არის* ჩვენი სახლი, ეს არის თქვენი სახლი, ეს არის საქართველოს სახლი.

ეს იუსტიციის სახლები, *რომლებიც ჩვენ ავაშენეთ*, როგორც ახალი პარლამენტი, *რომელიც ჩვენ ავაშენეთ* და რომელსაც ვერავინ ვერ მოშლის და ვეღარ წამოიღებს იმერეთიდან უკან, როგორც ახალი პოლიციის უწყებები, *რომელიც ჩვენ ავაშენეთ*, როგორც მთლიანად შეცვლილი პენიტენციური სისტემა, რომელსაც გიორგი ტულუშთან ერთად ავაშენებთ.

როგორც ვხედავთ, პარალელური კონსტრუქციების დანიშნულება სარკოზისა და სააკაშვილის 2012 წლის დისკურსებში ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა მათი ინტენსივობა განსხვავებულია და ამ შემთხვევაშიც მისი აქტუალობა ფრანგულ დისკურსში გაცილებით მეტია.

ოლანდის 2012 წლის დისკურსში პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები საკმაოდ პრიორიტეტული არგუმენტაციული ტექნიკაა. თუმცა, იგი მას ოპოზიციის მიმართ ამომრჩეველში უარყოფითი დამოკიდებულების გასაძლიერებლად არ მიმართავს. ოლანდის დისკურსისთვის დამახასიათებელია ამა თუ იმ ფასეულობაზე ყურადღების გამახვილება ისეთი სინტაქსური კონსტრუქციებით, სადაც ფასეულობის ცნების ახსნა მსმენელთათვის შემდეგი სტრუქტურის გამეორებით წარმოებს C'est, C'est. ასეთი ფასეულობებია, მაგალითად: პატრიოტიზმი, დასაქმება, გამარჯვება.

*C'est le patriotisme, que j'oppose au nationalisme, au souverainisme. Le patriotisme, c'est servir une cause qui est plus grande que nous. Le patriotisme, c'est ce qui nous permet de nous dépasser nous-mêmes, de dépasser nos frontières ! Le patriotisme, c'est ce qui a vocation à aller vers l'essentiel, c'est porter les références qui valent pour nous-mêmes et pour les autres. Le patriotisme, c'est d'abord s'aimer soi-même pour aimer les autres, et n'avoir peur de rien et ne rien craindre dans la compétition mondiale, dans l'Europe qui se construit.*

*Une belle victoire, c'est celle qui dit la vérité et qui prépare l'action. Une belle victoire, c'est celle qui entraîne, bien sûr, ceux qui ont voté pour ma candidature, mais qui entraînerait aussi celles et eux qui ne l'auraient pas fait et qui comprendraient que l'élan doit être désormais collectif et partagé.*

*La valeur travail, c'est la dignité du travail, c'est l'honneur du travail, c'est la considération du travail, c'est la rémunération du travail, c'est la lutte contre la souffrance au travail, c'est l'égalité dans le travail entre les femmes et les hommes. Le travail, c'est le droit au travail pour tous et notamment pour les jeunes. Le travail est, là encore, ce qui rassemble et ce qui ne peut diviser.*

*პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენების სხვა შემთხვევებშიც ოლანდი ძირითადად ფასეულობებზე აკეთებს აქცენტს, რაც მის დისკურსში პოზიტიური ტონის გაძლიერებას ემსახურება.*

*Nous aurons tant à faire ensemble ! Tant à faire pendant cinq ans ! Tant à faire pour redresser, pour donner de la justice et espérance à notre pays.*

*Nous croyons tous ici à un autre ordre, plus juste, plus digne, plus humain pour notre pays. Nous croyons à la République une et indivisible, capable de reconnaître et d'accueillir tous ses enfants dans leur diversité.*

*Nous croyons à la France réconciliée avec elle-même, avec son histoire, avec sa promesse, avec son avenir.*

*Nous croyons à la justice, à l'égalité, à un pays – le nôtre – où les destins ne seraient pas irrémédiablement figés, fixés, écrits dès le jour de la naissance.*

*Nous croyons à une France du travail, de l'innovation, du mérite, de l'investissement.*

*Nous croyons* à une France qui donne à la jeunesse toutes ses chances, toutes ses conditions de réussite.

*Nous croyons* au changement.

*Je veux que nous* méritions la victoire, *que nous* soyons exemplaires, *que nous* puissions être tellement différents de celui qui nous fait face. *Je veux que* les Français reprennent la longue marche du progrès, le beau moment de la République. *Je veux qu'ils* aient, même s'ils n'auront pas tous voté pour nous, la belle idée que la France a choisi de livrer son destin dans de bonnes conditions, sans avoir été trompés, sans avoir été instrumentalisés, sans avoir été, en définitive, baladés. *Je veux que* la France se dise ce 6 mai, lorsqu'elle fera le choix de son destin, que personne ne restera de côté et que ce que je veux faire en votre nom c'est de réconcilier la France, de la rassembler, de la réunir.

რაც შეეხება ივანიშვილს, მის 2012 წლის დისკურსში პარალელურ სინტაქსურ კონსტრუქციებს ნაკლები ყურადღება ეთმობა. გამოყენების იშვიათ შემთხვევებში ქართულ დისკურსში აღნიშნული ტექნიკის ძირითადი დანიშნულება ოპოზიციის დისკვალიფიკაციაა. ივანიშვილი მსმენელებს იმ კონკრეტული ფაქტების გახსენებას სთხოვს, რომლებიც ხელისუფლების მმართველობის პერიოდში მის ყველაზე მძიმე შეცდომებად მიიჩნევა. ამ ფაქტების შეხსენებით ივანიშვილს სურს მოსახლეობაში ხელისუფლების წინააღმდეგ დიდი პროტესტის გრძნობა გამოიწვიოს.

გირგვლიანი *გაიხსენეთ*, რობაქიძე *გაიხსენეთ*, ვაზაგაშვილი *გაიხსენეთ*, გამცემლიძე *გაიხსენეთ*, *გაიხსენეთ* ქუჩებში დახვრეტილი ბიჭები, *გაიხსენეთ* სილატაკეში ჩავარდნილი ავადმყოფი მოხუცები და ბავშვები, რომლებსაც უფულობის გამო მკურნალობა არ უწერიათ და სასიკვდილოდ არიან განწირული! *გაიხსენეთ* აგვისტოს ომში ამ ხელისუფლების უუნარობისა და ლაჩრობის გამო დაღუპული ასობით ჯარისკაცი და პირდაპირ ბედის ანაბარა მტერს შეტოვებული ჩვენი უმწეო მოსახლეობა, *გაიხსენეთ* 7 ნოემბერი და 26 მაისი, *გაიხსენეთ* ლოპოტის ხეობაში მზაკვრულად დახოცილი ჩვენი ჯარისკაცები და ჩვენი ქისტი თანამოქალაქეები, *გაიხსენით* დაუჯერებელი წამების, არაადამიანური მოპყრობისა და ადამიანის ღირსების შეურაცხყოფის ამსახველი კადრები, რომლებიც ციხეებშია გადაღებული და მთელმა

საქართველომ თავისი თვალთ ნახა, *გაიხსენეთ* და დამეთანხმეთ, რომ ეს ხელისუფლება სიკვდილს თესავს და ბოროტებას ემსახურება!

პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენების სხვა შემთხვევებში ივანიშვილი ცდილობს მსმენელის ყურადღება მოწინააღმდეგის მწვავე კრიტიკასა თუ მოსახლეობის მიერ თავისი თავისადმი ნდობის გამოხატვაზე შეაჩეროს.

მე გპირდებით, რომ ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ, ვეღარასოდეს და *ვეღარავინ გაბედავს*, რომ ლტოლვილების ბედი მათ გარეშე, მათ დაუკითხავად გადაწყვიტოს! *ვეღარავინ გაბედავს* მათ დამცირებას და შეურაცხყოფას!

*მე მჯერა*, პირველ ოქტომბერს მთელი საქართველო აირჩევს სიცოცხლეს, სიკეთეს, მომავალს და შემოხაზავს 41-ს.

*მე მჯერა*, რომ ადამიანთა უმრავლესობისათვის, ჯერ კიდევ მთავარია არჩევანი ბოროტებასა და სიკეთეს შორის, სიცრუესა და სიმართლეს შორის.

ამდენად, პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების შესახებ ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფრანგი და ქართველი პოლიტიკოსები პარალელურ სინტაქსურ კონსტრუქციებს რიგ შემთხვევებში სხვადასხვა, რიგ შემთხვევებში, იდენტურ დანიშნულებას ანიჭებენ. სარკოზი, სააკაშვილი, ივანიშვილი პარალელურ სინტაქსურ კონსტრუქციებს მოწინააღმდეგის გასანეიტრალებლად მიმართავენ, ფასეულობების ხაზგასასმელად კი ფრანგი პოლიტიკოსები (როგორც სარკოზი, ასევე ოლანდი).

ანალიზის შედეგად ჩვენ ასევე გამოვკვეთეთ პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების განსხვავებული ინტენსივობა ფრანგულ და ქართულ დისკურსებში. ქართული აუდიტორიისთვის გამიზნულ დისკურსში, მას ფრანგულთან შედარებით, ბევრად ნაკლები ყურადღება ექცევა. საქართველოს სოციალური სიტუაციის გათვალისწინებით, ქართველი აუდიტორიის წინაშე პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების ისეთი დიდი დოზით გამოყენება, როგორც ფრანგულ დისკურსშია, არ იქნება ეფექტური, ასევე არაეფექტური იქნება სინტაქსურ კონსტრუქციებში აბსტრაქტულ ფასეულობებზე ყურადღების გამახვილება, როგორც ეს ფრანგულ

დისკურსს ახასიათებს. იქედან გამომდინარე, რომ დღეს ქართველი ამომრჩეველი დგას ძალიან ბევრი სოციო-ეკონომიკური პრობლემის წინაშე, იგი ელოდება კონკრეტულ შემოთავაზებებს კონკრეტული პრობლემების მიმართ, რის გადმოსაცემადაც მთლიან დისკურსში პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების ფორმის შერჩევა და აბტრაქტულ ფასეულობებზე აქცენტირება გადაჭარბებული იქნება.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს არგუმენტაციული ტექნიკა ქართული დისკურსისთვისაც არ არის უცხო, განსაკუთრებით კი სააკაშვილის დისკურსისთვის.

### *3.3 ავტორიტეტის არგუმენტი*

პოლიტიკური დისკურსისთვის ავტორიტეტის არგუმენტი ერთ-ერთი საბაზისო არგუმენტია.

პერელმანი ავტორიტეტის არგუმენტს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ავტორიტეტის არგუმენტი იყენებს ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ქმედებებს ან მოსაზრებებს, როგორც თავისი თეზისის დასაბუთების საშუალებას” (პერელმანი 11, 2008). არგუმენტაციაში ავტორიტეტი ძალიან ცვალებადი ფენომენია. ერთი და იგივე ავტორიტეტის დასახელებამ ერთი აუდიტორიის წინაშე, შეიძლება არგუმენტაცია გააძლიეროს, ხოლო მეორე აუდიტორიის წინაშე, პირიქით, არგუმენტატორისადმი მსმენელთა აზრების მიმხრობას ხელი შეუშალოს. ავტორიტეტის გამოყენების ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ავტორიტეტულად მიიჩნევა აუდიტორია ორატორის მიერ ავტორიტეტად დასახელებულს. ავტორიტეტად მეტყველმა შეიძლება გამოიყენოს კონკრეტული სახელი, ან მიღებული აზრი, ან ადამიანთა ესა თუ ის კატეგორია (მეცნიერი, ფილოსოფოსი, ეკლესიის წარმომადგენელი), ან უსულო სახელი (ფიზიკა, დოქტრინა, რელიგია, ბიბლია) (პერელმანი 2008, 413).



ქართველი და ფრანგი პოლიტიკოსების დისკურსებში საკმაოდ აქტუალურია ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი, კომპეტენტური პირების ავტორიტეტებად გამოყენება. პოლიტიკოსები მათ ციტირებას მიმართავენ, მათ ნააზრევს საკუთარი პოზიციების გასამყარებლად იმოწმებენ.

2007 წლის დისკურსში საფრანგეთის გაერთიანებასა და განახლებაზე საუბრისას სარკოზი პომპიდუს სიტყვებს იშველიებს:

*Après mai 68, Georges Pompidou avait dit : "le monde a besoin d'une nouvelle Renaissance."*

სარკოზი მოქმედებისა და მოძრაობისკენ მოუწოდებს ამომრჩეველს და დასარწმუნებლად კამიუს სიტყვები მოჰყავს:

*Face au drame algérien, Camus avait dit : "Les grandes tragédies de l'histoire fascinent souvent les hommes par leurs visages horribles. Ils restent alors immobiles devant elles sans pouvoir se décider à rien qu'à attendre."*

Attendre quoi ? Sinon le pire ?

*Il avait ajouté : "La force du coeur, l'intelligence, le courage suffisent pourtant pour faire échec au destin."*

გერმანიასთან კეთილგანწყობილი ურთიერთობების დასამტკიცებლად სარკოზი დე გოლის ციტატას იმოწმებს:

*Gaule n'a pas dit à la jeunesse allemande: "vous êtes coupables des crimes de vos pères". Il lui a dit : "je vous félicite d'être les enfants d'un grand peuple, qui parfois au cours de son histoire a commis de grandes fautes".*

სარკოზი ციტირებს აგრეთვე პირველი მსოფლიო ომის პერიოდის ფრანგი სოციალისტთა ლიდერის ჟორესის სიტყვებს:

*Ecoutez la grande voix de Jaurès: "Ce qu'il faut ce n'est pas juger toujours, juger tout le temps, c'est se demander d'époque en époque, de génération en génération, de quels moyens de vie disposaient les hommes, à quelles difficultés ils étaient en proie, quel était le péril ou la pesanteur de leur tâche, et rendre justice à chacun sous le fardeau."*

რაც შეეხება სააკაშვილს, 2007 წლის დისკურსში მას სარკოზისგან განსხვავებული სტრატეგია აქვს შერჩეული. იგი ავტორიტეტული, კონკრეტული პირების ციტირებას

იშვიათად მიმართავს, სამაგიეროდ, მის დისკურსში ხშირია ავტორიტეტული პირების და ავტორიტეტული ორგანიზაციების მხოლოდ დასახელება, რაც აგრეთვე, არგუმენტატორის პოზიციების გამყარებას ემსახურება.

მე ახლავე მოვუწოდებ *საერთაშორისო ორგანიზაციებს* და *საერთაშორისო ინსტიტუტებს* მოავლინონ მაქსიმალურად ბევრი დამკვირვებელი.

ჩვენ ვთანამშრომლობთ ყველა *საერთაშორისო ორგანიზაციასთან*.

*მოვიწვიეთ ეუთოსა და ევროკავშირის დამკვირვებლები. ძალიან სერიოზული დახმარება აღმოგვიჩინეს ჩვენმა მეგობრებმა.*

ჩვენ გვაქვს კავშირები *სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან. ისინი ჩვენი საუკეთესო მეგობრები არიან.*

გუშინ ჩვენთან იყვნენ *პოლონეთისა და ლიტვის პრეზიდენტები.*

არგუმენტაციულ ტექნიკას ავტორიტეტული პირების დასახელების გამოყენებით სააკაშვილის მსგავსად, სარკოზიც ინტენსიურად იშველიებს. ორივე კანდიდატი ცდილობს მსმენელს დაანახოს, რომ ისინი სანდო პირების მიერ გამოცხადებული ნდობით სარგებლობენ, რითაც ეთოსს გამოხატავენ, თუმცა, სარკოზის დისკურსში, პარალელური კონსტრუქციებისა და ემოციის გამომხატველი ლექსიკური ერთეულების დახმარებით მას პათოსის დანიშნულებაც ეძლევა. ფრანგულ დისკურსში ხშირია აგრეთვე, ფრანგი ცნობილი პიროვნებების დასახელება.

Je veux rendre hommage à *Jacques Chaban-Delmas, général de la résistance à 29 ans*, au rêve si beau, si prémonitoire, de la Nouvelle Société. Son dernier grand combat politique fut pour moi le premier. J'avais 17 ans et l'impression de partir à la guerre. C'était la fin d'une époque, celle où le gaullisme ne pouvait plus appartenir à un parti.

J'ai changé quand j'ai rencontré *Mandel, ce grand Français*.

C'est la France de *Saint-Louis* et celle de *Carnot*, celle des croisades et de *Valmy*. Celle de *Pascal* et de *Voltaire*. Celles des cathédrales et de l'Encyclopédie. Celle d'*Henri IV* et de l'Edit de Nantes. Celle des droits de l'homme et de la liberté de conscience.

La France, elle a 17 ans le visage de *Guy Môquet* quand il est fusillé : "17 ans et demi... Ma vie a été courte ! Je n'ai aucun regret si ce n'est de vous quitter tous."

La France, elle a 44 ans, le visage ensanglanté de *Moulin* quand il meurt sous la torture "sans avoir livré aucun secret, lui qui les savait tous."

Elle a 50 ans et la voix du *Général de Gaulle* le 18 juin 1940.

Elle a 58 ans et le visage de *Zola* quand il signe "J'accuse" pour défendre Dreyfus et la Justice.

Elle a 60 ans, le visage d'un proscrit qui s'appelle *Victor Hugo*.

კვლევამ გამოავლინა, რომ ავტორიტეტის არგუმენტში, სადაც ციტირების ნაცვლად ავტორიტეტული პირების დასახელება ხდება, სარკოზი უმთავრესად კონკრეტულ სახელებს ეყრდნობა და ორგანიზაციებს არ ახსენებს, მაშინ როცა სააკაშვილის დისკურსი, პირიქით, ორგანიზაციების ნომინაციაზეა ორიენტირებული და კონკრეტულ პირებს ნაკლებად იშველიებს. ამასთანავე, აშკარაა, რომ ქართული და ფრანგული საზოგადოებისთვის ავტორიტეტები სხვადასხვაა. ფრანგული აუდიტორიისთვის გამიზნულ დისკურსში სარკოზი ავტორიტეტებად მხოლოდ ფრანგი, გავლენიანი პოლიტიკოსებისა თუ საზოგადო მოღვაწეების სახელებს ეყრდნობა, ქართველ ელექტორატზე, კი მსოფლიოში აღიარებული დემოკრატიული ინსტიტუტები უფრო დამაჯერებლად ჟღერს.

2012 წლის დისკურსშიც ფრანგ ელექტორატში ნდობის მოსაპოვებლად სარკოზი მხოლოდ ფრანგ ავტორიტეტებს იხმობს. მისი დისკურსი საკმაოდაა გაჯერებული ფრანგი, მსოფლიო მნიშვნელობის საზოგადო მოღვაწეებისა თუ პოლიტიკოსების სახელებით, როგორებიცაა, ვოლტერი, ჰიუგო, მოპასანი, გოლი, ბონაპარტე და ა. შ. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ, ამ შემთხვევაში, სარკოზი ძირითადად მათი დასახელებით შემოიფარგლება და ციტატებს იშვიათად იმოწმებს.

მაგალითები სარკოზის დისკურსიდან:

L'identité de notre pays. Mais si nous ne savons pas d'où nous venons... Nous sommes le pays de *VOLTAIRE*, nous sommes le pays de *Victor HUGO*, nous sommes le pays de *MAUPASSANT*, nous sommes le pays de *Jeanne d'Arc*, nous sommes le pays du Général *De GAULLE!* Nous venons de loin. *BONAPARTE*, c'est chez nous, hein ! Ce pays s'est construit parce que des générations successives l'ont voulu, l'ont défendu, se sont battues pour lui!

Moi, quand j'ai eu l'honneur de parler, Place de la Concorde, devant 120.000 personnes, c'est peut-être le seul pays, la France, où on peut parler devant 100.000 personnes et citer *PEGUY*, et citer *Victor HUGO*, et citer les grands auteurs!

სარკობი თავის დისკურსში, ასევე, ხშირად უშუალოდ და ფამილარულად თანამედროვე ფრანგ ავტორიტეტებს მიმართავს, რითაც მსმენელს ცოცხალი და გულწრფელი საუბრის შთაბეჭდილებას უტოვებს, ადრესატს აგრეთვე უჩნდება განცდა იმისა, რომ არგუმენტატორს მათთან ძალიან ახლო და დადებითი ურთიერთობა აქვს. სარკობი მსმენელთა წინაშე პოზიციების გამყარებას ისეთი ცნობილი პიროვნებების დასახელებით და მათთან მეგობრული ურთიერთობის დემონსტრირებით ცდილობს, როგორებიც არიან საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ჟისკარ დესტენის შვილი, საფრანგეთის ყოფილი პრემიერ მინისტრი რაფარინი, პოლიტიკოსი ვოკიე, ერთ-ერთი მსხვილი კომპანიის მფლობელი მიშლენი. სარკობი ციტირებს აგრეთვე ცნობილ ანთროპოლოგს ლევი სტროსს.

Et ils nous ont dit des choses importantes, ils nous ont dit : nous ne voulons pas que la nation française disparaisse, nous croyons dans l'Europe *cher Louis, je sais ce que je dois à ton père, le président Valéry GISCARD d'ESTAING, et tu sais combien son soutien m'est précieux.*

Voilà mon projet, et il me plaît de le défendre, de le défendre devant mes amis qui sont ici, au premier rang desquels *je veux saluer Jean-Pierre RAFFARIN.* Je n'ai pas un discours pour les uns, un discours pour les autres, *cher Laurent WAUQUIEZ, tu le sais bien. Tu es mon ami, et tu le sais. Je revendique ces idées.*

Pensez aux chefs d'entreprises de votre région – pas simplement *MICHELIN, que j'admire depuis bien longtemps et que je connais très bien,* et dont je salue ceux qui y travaillent, entreprise monde qui a gardé ses racines à Clermont-Ferrand ; je parle à toutes ces entreprises qui irriguent votre région.

C'est peut-être *le plus grand intellectuel du 20e siècle, Claude LEVI-STRAUSS,* qui l'avait dit, en clôturant le débat : L'identité n'est pas une pathologie.

2012 წლის დისკურსში, სარკოზის მსგავსად, სააკაშვილი ავტორიტეტული პირების აზრებს იშვიათად ციტირებს. თუმცა, იგი მოსახლეობისთვის თავისი მთავრობის მნიშვნელობის ხაზგასასმელად ჰეგელს იმოწმებს:

*ერთხელ თქვა დიდმა გერმანულმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა, რომ მთავრობა, რომელიც ხალხის მხარესაა და არის პროგრესული, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია თავისი ხალხის უსაფრთხოების დაცვისთვის, ვიდრე ათასობით ჯარისკაცი.*

საკაშვილი ძირითადად ავტორიტეტებად თავისი გუნდის წევრებს ასახელებს, იგი იმ პოლიტიკოსებზე აკეთებს აქცენტს, რომლებიც, სხვებთან შედარებით, ელექტორატში დადებითი განწყობით სარგებლობენ. ამ სტრატეგიით პრეზიდენტი ცდილობს თავისი გუნდის სხვა წარმომადგენლების ცუდი რეპუტაცია, შეცდომები გადაფაროს, ამომრჩეველთა წინაშე წინა პლანზე წამოწიოს შედარებით კარგი იმიჯის მქონე გუნდის წევრები, რითაც ელექტორატში თავისი მთლიანი პოლიტიკური ძალისადმი ნდობის გაძლიერება-აღდგენა სურს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გვყავს *პენიტენციური სისტემის ახალი მინისტრი - გიორგი ტულუში*, რომელიც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ამ სისტემის ყველაზე მკაცრი კრიტიკოსი იყო.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ აქ გვყავს ჩვენი *ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი ეკატერინე ზღულაძე*.

ეს ორი ადამიანი ზუსტად ისევე წარმოადგენს ახალ საქართველოს, როგორც ეს ახალი შენობა, რომელსაც დღეს ჩვენ ყველანი ერთად ვხსნით.

ვერც ერთი ჩვენგანი ვერ აიშენებდა უკეთეს სახლს *ვერც ზურაბი, ვერც ეკა, ვერც გიორგი, ვერც გიორგი ვაშაძე, ვინც ამ სისტემის გადამწყვეტი მაფორმირებელი იყო ზურაბ ადეიშვილის ხელმძღვანელობით, ვერც დავით საყვარელიძე...*

ამდენად, 2012 წლის სარკოზისა და სააკაშვილის დისკურსებში ავტორიტეტების დასახელება აქტუალური არგუმენტაციული ტექნიკაა. თუმცა, თუ სარკოზი ცნობილ ფრანგ, როგორც ისტორიულ, ასევე მისი თანამედროვეების სახელებს იშველიებს, სააკაშვილი თავისი ხელისუფლების შეცდომების გადაფარვას და მოსახლეობაში

ნდობის გაზრდას საკუთარი გუნდის ზოგიერთი წევრის სახელზე დაყრდნობით აპირებს.

ოლანდის 2012 წლის დისკურსში ავტორიტეტის არგუმენტს ძალიან მცირე ყურადღება ეთმობა. მასთან ფრანგი საზოგადო მოღვაწეების სახელები თითქმის არ გვხვდება. ოლანდი თავის დისკურსში, როგორც ავტორიტეტებს, ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტს, ევროსაბჭოს პრეზიდენტს მოიხსენიებს. თუმცა, მის დამოკიდებულებაში აშკარად იგრძნობა, რომ საფრანგეთი ევროზონის მნიშვნელოვანი ქვეყანაა, რომლის გადაწყვეტილებებს და წინადადებებს ევროპა ელოდება, ხოლო სააკაშვილის 2007 წლის დისკურსში, სადაც იგი აქცენტს სწორედ ევროსტრუქტურებზე, როგორც ცალსახა ავტორიტეტებზე, ისე აკეთებს, ჩვენ ვნახეთ, რომ მისი დამოკიდებულება მკვეთრად იერარქიულია, სადაც საქართველოსთვის ევროსტრუქტურებში ინტეგრაცია საკმაოდ რთულად მისაღწევ საოცნებო პერსპექტივად ისახება.

მაგალითები ოლანდის დისკურსიდან:

*Le Président de la Banque centrale européenne* — je ne veux pas l'utiliser, le récupérer, il prendrait peur... Je vois des chefs de gouvernement qui, s'inquiétant de cette austérité qui les empêche de réduire leurs dettes et de maîtriser leurs finances, commencent à regarder vers nos propositions. J'ai même compris que *le Président du Conseil européen, Monsieur Von Rompuy*, un homme estimable, avait déjà anticipé la réunion du Conseil européen. Tiens, c'était prévu au mois de juin, ça viendrait plus tôt... Je vous le dis, on nous attend, on nous attend!

Depuis des mois, les peuples européens regardent vers la France et à mesure que le scrutin donne une certaine direction, je sens les positions, y compris des *chefs de gouvernement conservateurs*, évoluer en fonction des pronostics. Tant mieux ! Très bien. Qu'ils nous attendent, nous arrivons, nous venons, nous serons là, au rendez-vous !

ივანიშვილის დისკურსის ერთ-ერთ საბაზისო არგუმენტაციულ ტექნიკად სწორედ ავტორიტეტების ხშირი დასახელება შეგვიძლია მივიჩნიოთ. ქართული ოპოზიციის ლიდერი ძირითად აქცენტს სწორედ ქართველ, ცნობილ, ისტორიულ, პოლიტიკურ

პირებზე აკეთებს. იგი მოსახლეობას ისეთ ისტორიულ მოვლენებს და პიროვნებებს ახსენებს, რომლებმაც ქვეყნის გადარჩენასა თუ გაძლიერებაში დიდი წვლილი შეიტანეს. ივანიშვილი თავის არგუმენტაციას, აგრეთვე, ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ციტატებითაც აძლიერებს.

როგორ არ გავიხსენო ვაჟას სიტყვები „ბახტრიონიდან“ და „მთელი კახეთი ქცეულა ჩიქილამობდილ ქალადა“ - ამათ უნდათ მთელი საქართველო ასეთად რომ აქციონ! ამის შემდეგ კიდევ მოუძებნიან მომხრეები გამართლებას სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას?!

*ილია ჭავჭავაძის სიტყვები მინდა გავახსენოთ: „სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე, დიდი საქართველო! ბევრი ჭირი უნახავს საქართველოს, მრავალს ქარტეხილს გადაუვლია მის ზურგზედა... ...მტერთა მისთა დამთრგუნველი სამეგრელო იყო, იგი იყო ერთსული და ერთგული იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება. ასე იყო წინეთ, ეგრე არის ახლა, ეგრე დარჩება მომავალშიც“.*

საქართველოსთვის თავგანწირვისა და ღირსების მაგალითი იყო ცოტნე დადიანის გმირობა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ცხოვრება, რომელმაც სიცოცხლე ამ სიტყვებით დაამთავრა: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული სამშობლოს, ჩემი გვამი კი თქვენთვის დამითმია, მტარვალეხო!“, - ბოლშევიკებს მიმართა ასე!

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, როდესაც ფარნავაზ I-მა ქართლის სამეფოს დაარსება განიზრახა, მან დახმარება და თანადგომა ეგრისის მმართველ ქუჯის სთხოვა. ჩვენი ამ ორი დიდებული წინაპრის შეთანხმებულმა გეგმამ და საერთო ძალისხმევამ საერთო ქართული სახელმწიფო წარმოშვა.

საუკუნეების შემდეგ, როცა კიდევ ერთხელ გახდა საჭირო ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენა, ეგრის-აფხაზეთის დიდგვაროვანთა ნებამ გადაწყვიტა ბაგრატ მე-3-ის გამეფება და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა.

გიორგი ჭყონდიდელი იყო უდიდესი ქართველი მეფისა და მეომრის, დავით აღმაშენებლის აღმზრდელი და მისი მთავარი თანამოაზრე.

საბჭოთა იმპერიასთან ბრძოლას, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას შესწირეს სიცოცხლე *მერაბ კოსტავამ და დამუკიდებელი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ* და, რა სამწუხაროა, რომ დღეს ეს ღირებულებები - თავისუფლება და ღირსება - ისევ თავიდან უნდა მოვიპოვოთ.

ივანიშვილი მხოლოდ ქართველი ავტორიტეტებით არ შემოიფარგლება. იგი თავის დისკურსში დემოკრატიული სამყაროსკენ სწრაფვას როგორც მის სამოქმედო მიზანს, ისე გამოკვეთავს და სურს მისკენ აღებული კურსის დემონსტრირებით მოსახლეობა თავის პროდასავლურ ორიენტაციაში დაარწმუნოს.

*პირველ რიგში, სამოქალაქო საზოგადოების შექმნას და გაძლიერებას ვგულისხმობ, რაც ევროპული, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი საფუძველია. საქართველოს გახდება დემოკრატიული ქვეყანა და მასში ნამდვილი, ღირსეული სამოქალაქო საზოგადოება იცხოვრებს.*

*ჩვენ ახალი... ნამდვილად სამართლიანი და მართლა განვითარებული ქვეყანა უნდა ავაშენოთ, და ავაშენებთ კიდევ!*

*საქართველო გახდება თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყანა, ევროპული თანამეგობრობის ღირსეული წევრი.*

ამდენად, თუ ოლანდის დისკურსში ავტორიტეტები უმნიშვნელო ტექნიკადაა მიჩნეული და იგი სულ რამდენჯერმე ევროსტრუქტურების პასუხისმგებელ პირებს მოიხსენიებს, ივანიშვილი პირიქით, მსმენელთა მიმხრობას დიდი დოზით ქართველი ისტორიული პირებისა თუ პოლიტიკოსებისა და მსოფლიოში აღიარებული დემოკრატიული ინსტიტუტების ავტორიტეტებად მოხმობით ზრდის.

როგორც ვხედავთ, ავტორიტეტის არგუმენტში ორ ქვეყანას შორის განსხვავებული სოციო-კულტურული გარემოს გავლენა საკმაოდ საინტერესოდ წარმოჩინდება. თუ ფრანგული დისკურსისთვის აქტუალურია ფრანგი პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეების ავტორიტეტებად გამოყენება, ქართულ დისკურსში აქცენტი ქართველ ცნობილ პიროვნებებზე კეთდება. ამასთანავე, კვლევამ გამოკვეთა ფრანგი და ქართველი პოლიტიკოსების განსხვავებული მიდგომა განვითარებული ევროპის



მიმართ: თუ ქართულ დისკურსში ევროპა საოცნებო მიზანს წარმოადგენს, რომლისკენაც სწრაფვა ქართველი მოსახლეობის მიერ ცალსახად სწორ სტრატეგიად აღიქმება, ფრანგულ დისკურსში, პირიქით, საფრანგეთი ევროსტრუქტურებისთვის ორიენტაციის მიმცემად და გადაწყვეტილებების მიმღებ ერთ-ერთ ლიდერ ქვეყანადაა წარმოდგენილი. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ქართულ დისკურსში ბევრად აქტუალურია ავტორიტეტის არგუმენტში განვითარებული დასავლეთის გამოყენება, მაშინ როცა ფრანგულ დისკურსში მას ძალიან უმნიშვნელო ადგილი ეთმობა. ჩვენი აზრით, ეს ტენდენცია, ორ ქვეყანას შორის დემოკრატიული განვითარების განსხვავებულ დონეზე მიუთითებს. ქართველ კანდიდატს აუდიტორიის წინაშე ჭირდება იმის მტკიცება, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ქვეყანას განვითარების სწორი გზით წაიყვანს. მაშინ როდესაც, ფრანგი პოლიტიკოსები თვითონ წარმოადგენენ იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომელიც დემოკრატიის განვითარების მხრივ ავტორიტეტულია მსოფლიოში. ფრანგ პოლიტიკოსს, როგორც განვითარებული ქვეყნის წარმომადგენელს, შეუძლია ავტორიტეტის არგუმენტში ძირითადად ან მხოლოდ ფრანგი პიროვნებებით შემოიფარგლოს, ქართველ პოლიტიკოსს, კი როგორც განვითარებადი ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატს, აუცილებლად ჭირდება დემოკრატიული სამყაროს მიმართ თავისი დამოკიდებულების დადასტურება.

### ***3.4 პიროვნების წარმოჩენის სტრატეგია***

პოლიტიკურ დისკურსში შაროდოს ნაშრომში გაანალიზებული პიროვნების წარმოჩენის სტრატეგიას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. როგორც შაროდო აღნიშნავს, პოლიტიკოსმა დისკურსი ორმაგი მიმართულების გათვალისწინებით, ორმაგ იდენტობაზე დამყარებით უნდა ააგოს. ერთი, ესაა პოლიტიკური იდეოლოგია, რაც ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ფიქრს გულისხმობს, ხოლო მეორე საკომუნიკაციო სიტუაციაში სუბიექტის პოზიციას ასახავს. ამ პირობებში დისკურსული იდენტობა მხოლოდითი ან კოლექტიური იდენტობით *მე- ჩვენ*-ით გამოიხატება (შაროდო 2005, 61).

რაც შეეხება მხოლოებითი რიცხვის პირველი პირის დეიქტიკებს - მე, ჩემი - მათი რაოდენობა სარკოზის 2007 წლის დისკურსში საკმაოდ ბევრია. ამ ფორმებით პოლიტიკოსი აქცენტს საკუთარ პიროვნებაზე აკეთებს და ეთოსის წარმოჩენით მსმენელზე სასურველი გავლენის მოხდენას ცდილობს. უნდა აღინიშნოს, რომ სარკოზის გამოსვლის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტაციული სტრატეგია სწორედ პირველი პირის მხოლოებითი რიცხვის დეიქტიკების ძალიან დიდი ინტენსივობით გამოყენებაა. სარკოზის მთლიანი დისკურსის ძირითად მახასიათებელს *მე* წარმოადგენს, სწორედ პარალელურ კონსტრუქციებში გამოხატული *მე-თი* გადმოსცემს იგი თავის პოლიტიკურ ხედვებს, პოლიტიკურ იდეოლოგიებს ქვეყნის სხვადასხვა საკვანძო სფეროებში: როგორებიცაა ჯანდაცვა, ქვეყნის საგარეო კურსი ევროპასთან, ამერიკასთან, აფრიკასთან მიმართებაში, სამოქმედო სტრატეგიების განსაზღვრა განათლების, იმიგრაციის, დასაქმების სფეროებში და ა. შ.

*Je veux être le Président d'une France qui remettra le travailleur au coeur de la société. Je veux proposer aux Français une politique dont le but sera la revalorisation du travail.*

*Je veux créer un contrat unique à durée indéterminée qui remplacera les contrats précaires et qui permettra aux salariés d'acquérir progressivement des droits. Je veux que les bas salaires soient garantis en cas de perte d'emploi, en contrepartie de l'obligation de ne pas refuser plus de deux offres d'emplois successives.*

*Je veux que l'État soit contraint de laisser à chacun au moins la moitié de ce qu'il a gagné. Je veux un bouclier fiscal à 50% y compris la CSG et la CRDS.*

*Je veux être le Président d'une France qui dira aux Européens : "nous ne pouvons plus continuer avec une monnaie unique sans un gouvernement économique“.*

*Je veux être le Président d'une France qui dira à l'Amérique: "nous sommes amis et la France demeurera fidèle à cette amitié que l'histoire, la civilisation et les valeurs de la liberté et de la démocratie ont tissé entre nos deux peuples“.*

*Je veux lui dire que je crois à la pluralité des cultures et pas à la culture unique fût-elle américaine.*

*Je n'accepte pas le sort que l'on fait aux dissidents dans de nombreux pays. Je n'accepte pas la répression contre les journalistes que l'on veut bâillonner. Le silence est complice. Je ne veux être le complice d'aucune dictature à travers le monde.*

როგორც ვხედავთ, სარკოზის დისკურსში ყველაზე აქტუალურია *მე* -ს გამოყენება ზმნასთან *je veux*. სააკაშვილის დისკურსშიც *მე*, სხვა ზმნებთან შედარებით, ხშირად გვხვდება ზმნასთან *მე მინდა*.

*მე მინდა* ასევე ვთქვა რომ ჩვენ გვიბიძგებდნენ არჩევნები ჩატარებულიყო გაზაფხულზე, როცა ეს არის სრულიად დაუშვებელი.

*მე მინდა* ყველას გვესმოდეს, რომ ის რაც ხდებოდა, არ იყო ადგილობრივი იზოლირებული არეულობა.

*მე მინდა* ყველას ესმოდეს, რომ საქართველოს დროშა ეს არის წითელი და თეთრი და - ხუთჯვრიანი დროშა და ვინც სხვა დროშებს ააფრიალებს და სხვა დროშებით ცდლობს საქართველოს ხელისუფლებისა და წესწყობილების შეცვლას, იმისგან სახელმწიფო მომავალშიც დაიცავს თავს ყველა ხელთ არსებული საშუალებით.

საკაშვილი ასევე იყენებს ისეთ ზმნებს, რომლებიც მისი კონკრეტული ქმედების ნომინაციას ახდენს, სარკოზის დისკურსში კი *მე*-სთან მსგავსი ტიპის ზმნები არ გვხვდება.

*მე მივიღე გადაწყვეტილება* და მაქვს ასეთი წინადადება, რომ საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდეს 2008 წლის 5 იანვარს.

ორმოცი დღის განმავლობაში პარლამენტის თავმჯდომარე შეასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას და *მე ვიქნები ჩართული* საქართველოს პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიაში.

*მე მინდა ჩავატაროთ* პლებისციტი, პრეზიდენტის არჩევნების პარალელურად, რათა ქართველმა ხალხმა თვითონ გასცეს პასუხი კითხვაზე, როდის უნდა არჩევნები... როდის უნდა დაინიშნოს ის პრეზიდენტი, გზაფხულზე თუ უნდა დაინიშნოს ეს არჩევნები მომავალი წლის შემოდგომაზე.

როგორც პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების ანალიზისას აღვნიშნეთ, სარკოზის დისკურსისთვის მკვეთრად დამახასიათებელია ეროვნული ფასეულობების აღმნიშვნელ სიტყვებთან *ჩემი*-ს გამოყენება. უდაოა, რომ თავის კუთვნილებას ყველა უფრთხილდება. სწორედ ამიტომ ცდილობს იგი მსმენელის დარწმუნებას, რომ ეს ფასეულობები მართლაც მისია. ეს არის ფრანგულ დისკურსში მხოლოდითი რიცხვის კუთვნილებითი ფორმების დიდი ინტენსივობით გამოყენების დაინიშნულება. სარკოზი პირველი პირის დეიქტიკს *ჩემი* ყველაზე ინტენსიურად აფიქსირებს სიტყვებთან *ma France, ma république, mes amis*. იგი იმავე არგუმენტაციული ტექნიკით საუბრობს სხვა ფასეულობებზე, როგორებიცაა: *mes droits de l'homme, mon travail, mon innovation, ma tolérance, ma morale*. იგი ხშირად გვხვდება აგრეთვე, ემოციური კონოტაციის მქონე სიტყვებთან: *ma sincérité, mon amitié, mon coeur, mes valeurs, ma vie, ma patrie, ma vérité*. სარკოზი მსმენელში ემოციის მაქსიმალურად გასაძლიერებლად სიტყვებს მსაზღვრელად რიგ შემთხვევებში ურთავს *premier*. რადგან, რაც პირველად ხდება ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის დასამახსოვრებელი, ამაღელვებელია. ესენია, მაგალითად: *mes premiers pas, mes premiers discours*.

*Ma France, c'est celle des travailleurs qui ont cru à la gauche de Jaurès et de Blum et qui ne se reconnaissent pas dans la gauche immobile qui ne respecte plus le travail.*

*Ma République c'est celle du droit opposable à la scolarisation des enfants handicapés, parce que si l'on pense que d'ici à cinq ans on ne peut pas trouver les moyens de scolariser tous les enfants handicapés, il ne faut pas faire de politique.*

Cette émotion qui me submerge au moment où je vous parle, je vous demande de la recevoir simplement comme un témoignage de *ma sincérité, de ma vérité, de mon amitié*.

Toute *ma vie* j'ai rêvé d'être utile à la France, à *mon pays, à ma patrie*.

Oui, *mes chers amis*, tous ensemble réunis, unis, solidaires, tout devient possible.

Je veux rendre hommage à Achille Peretti, grand résistant, qui me confia *mon premier mandat* de conseiller municipal. Comme je veux dire *mon amitié* à Édouard Balladur qui m'a fait confiance en me donnant *mes premières responsabilités* ministérielles alors que j'étais si jeune encore. Je veux dire mon respect à Jacques CHIRAC qui en 1975 à Nice m'a offert *mon premier discours*.

Eux, ce sont les héros de la Résistance et de la France Libre, ces hommes avec lesquels j'ai fait *mes premiers pas* en politique, ces hommes qui venaient d'une époque où la politique s'était confondue avec le patriotisme et l'épopée.


რაც შეეხება დეიქტიკის *ჩემი* დოზირებას ქართულ დისკურსში, მისი გამოყენების სიხშირე ფრანგულ დისკურსს ბევრად ჩამოუვარდება.

საკავშილი მას შემდეგ სიტყვებთან იყენებს: *ჩემი მანდატი, ჩემი პროგრესი, ჩემი დავალება*.

ეს *ჩემი დავალება* და დღეს ეს როგორც არასდროს, ისე უნდა იყოს აქტუალური.

მე, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტი, ვიღებ ამ გადაწყვეტილებას, რომ თქვენს სამსაჯავროზე გამოვიტანო თქვენი ნდობა, *ჩემი მანდატი*.

პიროვნების იდენტობის აღმნიშვნელი მრავლობითი რიცხვის ლინგვისტური მარკერი *ჩვენ* ძალიან საინტერესოა პოლიტიკური დისკურსისთვის, რადგან არგუმენტატორს მისი საშუალებით სიტყვის რეფერენტის იმპლიციტურად შეცვლა შეუძლია, რაც მსმენელზე ზემოქმედების კარგ საშუალებას წარმოადგენს.



ამდენად, ერთ შემთხვევაში *ჩვენ*-ის რეფერენტი შეიძლება იყოს მხოლოდ მეტყველი პირი, მეორე შემთხვევაში მეტყველი და მსმენელი, მესამე შემთხვევაში - მეტყველი და საკომუნიკაციო სიტუაციის გარეთ მყოფი პირი, მეოთხე შემთხვევაში - მეტყველი, მსმენელი და საკომუნიკაციო სიტუაციის გარეთ მყოფი პირი ერთად.

ამასთანავე, ე.წ. მაიდენტიფიცირებელი ფორმულა *ჩვენ* მთელ აუდიტორიასთან თავის გაიგივების, მასთან იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა, ხოლო *ჩვენი* მთელს აუდიტორიასთან საერთო კუთვნილებითი ობიექტის არსებობას ნიშნავს. მაიდენტიფიცირებელი ფორმულები ნებისმიერი პოლიტიკური დისკურსის აუცილებელი ელემენტია და პოლიტიკოსები აუდიტორიაზე ზემოქმედების მიზნით ამ რიტორიკულ ხერხს რეგულარულად მიმართავენ.

თუმცა, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი განსხვავება გამოიკვეთა სარკოზისა და სააკაშვილის 2007 წლის დისკურსების შედარებისას. სარკოზის დისკურსში *nous*-ს რეფერენტი უმეტეს შემთხვევაში ფრანგი ხალხია. სააკაშვილი კი *ჩვენ*-ის რეფერენტად უმთავრესად საკუთარ პოლიტიკურ გუნდს მოიაზრებს. რაც შეეხება ადრესატს, სარკოზი *nous*-თი ძირითადად მიმართავს მსოფლიოს, ევროპას, ამერიკას და ა.შ. ხოლო სააკაშვილის ადრესატი ხშირად ქვეყნის საგარეო მტერია. აღვნიშნავთ, აგრეთვე, რომ სარკოზი პირის დეიქტიკს *nous* ყველაზე ხშირად იყენებს ზმნასთან *nous pouvons*, სააკაშვილი კი *ჩვენ უნდა*.

მაგალითები სარკოზის დისკურსიდან:

*Nous ne pouvons pas continuer à tourner le dos à la Méditerranée, car autour de cette mer où depuis deux mille ans la raison et la foi dialoguent et s'affrontent, sur ces rivages où l'on a mis pour la première fois l'homme au centre de l'univers, se joue une fois encore une part essentielle de notre destin. Là nous pouvons tout gagner ou tout perdre. Nous pouvons avoir la paix ou la guerre, la meilleure part de la civilisation mondiale ou le fanatisme.*

*Nous ne pouvons plus continuer avec une monnaie unique sans un gouvernement économique. Nous en pouvons plus continuer avec une Europe sans préférence communautaire.*

Au peuple de notre ancien empire *nous devons offrir* non l'expiation mais la fraternité.

À tous ceux qui veulent devenir Français *nous offrons* non de nous repentir mais de partager la liberté, l'égalité et la fierté d'être Français. *Gardons-nous* de juger trop sévèrement le passé avec les yeux du présent.

მაგალითები სააკაშვილის დისკურსიდან:

*ჩვენ მივმართეთ* ჩვენს ხალხს განახლებული დემოკრატიული მანდატისთვის.

*ჩვენ ხომ* ოთხი წლის განმავლობაში შევინარჩუნეთ საპარლამენტო უმრავლესობა.

*ჩვენ* მეტი საზრუნავი და მეტი თემა, გარდა საქართველოსი და მისი წესრიგის დაცვისა, რა თქმა უნდა, არ გაგვაჩნია.

*ჩვენთვის არაფერი არ ღირს* არც ჩვენი თანამდებობები, არც ჩვენი სავარძლები, არც რაიმე პრივილეგიები, რომლებიც მოდის ამ სავარძლებთან და თანამდებობებთან ერთად.

*ჩვენ უნდა ვუზრუნველყოთ* საქართველოს უსაფრთხოება, საზოგადოებრივი წესრიგი ჩვენ უნდა ავამოქმედოთ უმწეოთათვის დახმარების განსაკუთრებული პროგრამა, უნდა მივიღოთ ყველა საჭირო ღონისძიება - დაწყებული შემის პროგრამიდან დამთავრებული ვაუჩერების პროგრამით.

*ჩვენ არ უნდა დავუშვათ* ის ფაქტი, რომ საქართველოში ამ ზამთარში იყოს ვინმე, ვისაც ეციება და ეშიება, ან რაიმე სახის უკიდურესი პრობლემები ექნება. ამისთვის, უნდა ავამოქმედოთ ის საპენსიო მექანიზმები და გაზრდილი პენსია, რომელზეც ვსაუბრობთ.

რაც შეეხება მრავლობითი რიცხვის კუთვნილებით ნაცვალსახელს *ჩვენი*, სარკოზი მას ძირითადად თავის საკუთრებად აბსტრაქტული სახელების, სახელმწიფო ფასეულობების წარმოჩენის მიზნით იყენებს. სააკაშვილის დისკურსში კი პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი აბსტრაქტული და ფასეულობების გამომხატველი სიტყვების გარდა, პიროვნებებთან მიმართებაშიც აქტუალურად გვხვდება.

სარკოზის დისკურსში დაფიქსირებული მაგალითებია:

*notre histoire, notre modèle républicaine, nos finances publiques, notre pays, notre démocratie, notre constitution, nos comportements, nos valeurs, notre destin, notre ancien empire, notre planète* (ლექსემა, სადაც ჩანს, რომ სარკოზი მსოფლიოში გავლენიანი სახელმწიფოს პოლიტიკოსია).


საკაშვილის მიერ პირველი პირის მრავლობითი რიცხვის კუთვნილებით დეიქტიკთან გამოყენებული სიტყვებია:

პიროვნებებთან მიმართებაში: *ჩვენი მეგობრები, ჩვენი ამომრჩეველი, ჩვენი მოქალაქეები, ჩვენი არაკეთილმოსურნეები.*


მის დისკურსში ასევე გვხვდება: *ჩვენი არჩევანი, ჩვენი გრაფიკი, ჩვენი ინსტიტუტები, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი უსაფრთხოების ინსტიტუტები, ჩვენი საერთაშორისო პოზიციები, ჩვენი სასიცოცხლო ინტერესი, ჩვენი ხელისუფლება, ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ინტერესები, ჩვენი სავარძლები, ჩვენი თანამდებობები და ა. შ.*

კვლევაში გამოყენებული ლექსიკომეტრიული ანალიზით, დადგინდა, რომ სარკოზის დისკურსში პიროვნების წარმოჩენის ფორმებიდან *მე* გაცილებით მრავალრიცხოვანია, ვიდრე *ჩვენ*. პირველი პირის დეიქტიკების დაახლოებით 77% მხოლოდითი რიცხვისაა, მაშინ როცა მხოლოდ 23%-ია მრავლობითში. საკაშვილის დისკურსში, კი პირიქით, მრავლობითი რიცხვის დეიქტიკები (დაახლოებით 75%) ჭარბობს მხოლოდითს (25%).





გრაფიკი 1: სარკოზი (მე-ჩვენ) 2007



გრაფიკი 2: სააკაშვილი (მე-ჩვენ) 2007

2012 წლის დისკურსშიც სარკოზი საკუთარი თავის წარმოჩენის მთავარ სტრატეგიად პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის დეიქტიკებს ირჩევს. დეიქტიკი *მე* ინტენსიურად ზმნებთან - vouloir, venir, être-თან გვხვდება.

*Je suis tellement heureux d'être ici, d'être dans cette région, dans cette Auvergne que je connais depuis si longtemps, à Clermont où je suis devenu, où je suis venu si souvent.*

*Je suis venu sans discours, parce que je suis venu vous parler, je suis venu pour partager avec vous les valeurs qui sont les nôtres. D'abord je voudrais envoyer un petit message à tous ceux qui nous aiment tant.*

*Je veux parler à ces 6 millions et demi de Français qui ont voté pour Marine le PEN.*

*Je veux que vous sachiez tout.*

*Je comprends qu'on soit contre, mais il y a une chose que je ne comprendrai jamais ; c'est la lâcheté.*

სარკოზის 2007 წლის დისკურსისგან განსხვავებით, ჩემი-ს გამოყენების შემთხვევები მის 2012 წლის დისკურსში ძალიან შეზღუდულია, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მასთან

უფრო აბსტრაქტულ, ემოციურ სიტყვებს იყენებს. ჩემი ხშირად გვხვდება აგრეთვე მიმართვაში: mes chers amis.

Alors je vais vous en parler des Français et je vais le faire comme je sais le faire, *avec mon cœur, avec mon expérience.*

Vous savez, *mes chers amis*, que je sois à la télévision ou devant vous, que je sois ici ou tout à l'heure à la finale de la Coupe de France, ou que je sois chez moi en train de regarder „Clermont Demain“, je suis le même.

Je suis moi-même, avec *mes défauts*, c'est certain, mais *avec ma vérité, avec mon amour pour le pays, avec mon attachement aux Français, avec ma connaissance* pour le peuple de France.

სააკაშვილის 2012 წლის დისკურსში კი *მე-ჩემი* ფორმები ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდება. იგი თავის წარმოჩენის მთავარ სტრატეგიად ისევ ჩვენ-ს ინარჩუნებს. ჩვენ-ის რეფერენტი უმთავრესად მისი პოლიტიკური გუნდია, ხოლო ზოგჯერ მთლიანად საქართველოს მოსახლეობა. იმ შემთხვევაში, როცა სააკაშვილი *ჩვენ-ის* რეფერენტად მთელი ქვეყნის მოსახლეობას გულისხმობს, უფრო მეტი გამჭირვალეობისთვის, მას უმატებს განსაზღვრებას - ყველანი.

ჩვენ-ის რეფერენტია სააკაშვილის პოლიტიკური გუნდი:

*ჩვენ ვლაპარაკობთ* თემებზე, რომლებიც ხალხს აძლევენ: ჯანდაცვა, უმუშევრობა, სოფლის გაძლიერება.

ეს არ არის ახალი და *ჩვენ* ამაზე ძალიან ბევრი *რამ ვიცით*. *ჩვენ* ძალიან *კარგად ვიცით*, როგორ ემზადებოდნენ ისინი ამისთვის.

*ჩვენ ძალიან კარგად ვიცით*, ციხეში ამ დანაშაულის ჩამდენი ხალხის ყოფნა, რა თქმა უნდა, იყო ჩვენი პასუხისმგებლობა.

*ჩვენ ძალიან კარგად ვიცით რა ხდება, არც ერთი არ ვართ ბრმა და კარგად ვიცით, რომ ძალიან დიდი რაოდენობის რუსული ფული იხარჯება ამისთვის.*

ჩვენ-ის რეფერენტია ქვეყნის მოსახლეობა:

*გადაწყვიტოთ, რა გვინდა ჩვენ - დავაბრუნოთ ძველი დრო და მთელი საქართველო ვაქციოთ გლდანის მერვე საპყრობილის კარანტინის განყოფილებად, საიდანაც ყველამ ერთად დავიწყეთ გამოსვლა?*

*ისინი ისურვებდნენ, რომ მათი შვილების განათლება იყოს უფრო მაღალი ხარისხის - ჩვენ ყველას გვინდა ეს.*

*სარკოზის დისკურსში კი nous-ს გამოყენების შემთხვევები მცირეა. მის რეფერენტად როგორც პოლიტიკური გუნდი, ასევე მთლიანად საფრანგეთის მოსახლეობა იგულისხმება, თუმცა, აღსანიშნავია, რომ რაოდენობის მხრივ, ეს უკანასკნელი ჭარბობს.*

სარკოზის დისკურსში nous-ს რეფერენტია საფრანგეთის მოსახლეობა:

*Et quand nous avons vécu ensemble la tragédie de Toulouse et de Montauban, immédiatement en tant que chef de l'Etat, j'ai demandé aux Français de ne pas crier vengeance.*

*Alors pour tous ceux qui nous regardent et qui ne comprendraient pas ce que ça veut dire, je vais vous expliquer ce que je pense, moi, du patrimoine et du travail.*

*Eh bien nous les Français, nous disons que ça suffit ! Nous aimons la Nation française, c'est un projet collectif ! Nous venons de loin, et nous ne supportons plus la mise en cause permanente de notre pays !*

Nous-ს რეფერენტია თავისი გუნდი:

*Nous nous opposerons* de toutes nos forces au vote des immigrés aux élections municipales.

Je veux leur dire comment *nous allons* y arriver car je prendrai des engagements précis, que je daterai pour que chacun comprenne ce que *nous allons faire*. J'ai fixé un objectif, la division par deux des personnes que *nous accueillons*, et je prendrai un certain nombre de mesures.

*Nous avons interdit* le port de la burqa sur le territoire de la République française.

რაც შეეხება მრავლობითი რიცხვის კუთვნილებითი დეიქტიკის *ჩვენი* გამოყენებას, სარკოზის დისკურსში, მართალია, იგი უმთავრესად ფასეულობების გამომხატველ ლექსიკურ ერთეულებთან გვხვდება, როგორებიცაა, *მაგალითად, frontière, pays, identité, culture, humanisme, générosité*, მაგრამ, ამასთანავე, 2007 წლის დისკურსისგან განსხვავებით, მისი როლი პიროვნებებთან მიმართებაშიც იზრდება. *მაგალითად, enfants, soldat, ami, consulat, compatriote, grand-parents.*

Mais nous n'avons pas décidé d'abattre *nos frontières* ; nous avons décidé d'exercer *notre souveraineté* ensemble.

J'ai voulu à toute force défendre *nos compatriotes musulmans*.

*Nos grands concurrents* dans le monde continuent à refuser l'ouverture de tous leurs marchés publics ?

სააკაშვილი პირიქით, მრავლობითი რიცხვის კუთვნილებით დეიქტიკს დიდი უპირატესობით პიროვნებებთან აფიქსირებს, *მაგალითად, ჩვენი საზოგადოება, ჩვენი მოქალაქეები, ჩვენი ხალხი, ჩვენი შვილები, ჩვენი გოგო-ბიჭები, ჩვენი მინისტრები.* უფრო მცირე რაოდენობით უსულო სახელებთან: *ჩვენი სახლი, ჩვენი ქუჩა, ჩვენი სკოლა, ჩვენი ინსტიტუტები, ჩვენი რეგიონი, ჩვენი იდეალები, ჩვენი გაგება.*


ჩვენ მოქალაქეებს უკვე ნამდვილი ფასეულობა აქვს - ეს არის ხალხის სახლი და მსგავსი რამ ამხელა მასშტაბით საქართველოში პირველად გაკეთდა.

რა თქმა უნდა, იყო ტრაგედიები და ჩავარდნები, მაგრამ თითოეული ჩვენგანის შვილი დღეს უსაფრთხოდ გადის ქუჩაში.

აი, ეს არის განსხვავება ჩვენს გაგებასა და იმას შორის, რასაც ჩვენ ყველანი ერთად წარმოვადგენთ.

რუსეთის არმია აურაცხელი რაოდენობით დგას ჩვენს საზღვრებთან და ატარებს ძალიან საშიშ მანევრებს; იმ პირობებში, როდესაც ჩვენი ტერიტორიის ოკუპანტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, 2008 წელს ვერდამთავრებული საქმის ბოლომდე მიყვანა, რა თქმა უნდა, სურს ამ არჩევნების გამოყენება.

მე-ჩვენ-ის გამოყენების თანაფარდობა ქართულ და ფრანგულ დისკურსში დაახლოებით ასეთია:



გრაფიკი 3: სარკოზი(მე-ჩვენ) 2012

გრაფიკი 4: სააკაშვილი (მე-ჩვენ) 2012

როგორც ვხედავთ, 2012 წლის დისკურსშიც ფრანგი და ქართველი პოლიტიკოსების პიროვნების წარმოჩენის ძირითადი სტრატეგია არ შეცვლილა. სარკოზისთან უპირატესობა ისევ მხოლოდითი რიცხვის პირის დეიქტიკს ენიჭება, ხოლო სააკაშვილთან მეტყველ პიროვნებას უმთავრესად მრავლობითი რიცხვის პირის დეიქტიკი წარმოაჩენს.

ოლანდი 2012 წლის დისკურსში სარკოზის სტრატეგიას იზიარებს და საკუთარ იდენტობას ძირითადად პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის დეიქტიკით გამოხატავს. *მე* ყველაზე ხშირად მის დისკურსში გვხვდება ზმნასთან *vouloir*, ასევე, ზმნებთან: *savoir, être, sentir, comprendre*. ოლანდის დისკურსში კუთვნილებით დეიქტიკს *ჩემი* უმნიშვნელო ადგილი უჭირავს.

*Je ne suis pas* simplement le candidat d'un rejet – il est là – mais je veux aussi être l'affirmation d'un espoir, d'un projet, d'une volonté !

*Je veux* renouer avec le rêve français, la belle promesse républicaine, l'esprit de conquête.

Mais *je ne pense pas* simplement à l'Europe, *je veux* aussi que le scrutin du 6 mai soit pour l'Afrique, l'Amérique latine, les continents qui regardent la France toujours avec espérance, admiration, même si parfois l'histoire nous a mis les uns en face des autres.

Dans cette campagne, *j'ai voulu* m'adresser à ce qu'il y avait de meilleur en chacun de nous. *Je n'ai pas* misé sur je ne sais quel ressentiement, rancune, *je ne sais* quelle obsession. *J'ai refusé* de flatter les sentiments médiocres.

*Je parle* à tous les électeurs – oui à tous les électeurs ! *Je comprends* la souffrance de beaucoup et *je peux répondre* à leurs cris d'alerte. Oui, *je veux* reconquérir les hommes et les femmes en colère, et qui parfois s'abandonnent.

2012 წლის ივანიშვილის დისკურსში პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის დეიქტიკები *მე*, *ჩემი* იშვიათად ფიქსირდება. *მე* ყველაზე ხშირად ზმნასთან დაპირება გვხვდება.

*მე* გპირდებით ყველას, რომ ყველა ერთად გავიმარჯვებთ, მე გაძლევთ ამის პირობას, ოღონდ გაემიჯნეთ სააკაშვილს, ახალაიებს, გაემიჯნეთ უკანონობას! გაემიჯნეთ დანაშაულს!

თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ხალხი იცხოვრებს, რომელსაც აღარ ექნება პოლიტიკური დევნის შიში! აღარ ექნება დამცირებისა და წამების შიში. *მე ამას გპირდებით!*

კვლევის შედეგების მიხედვით, ივანიშვილის დისკურსში პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმები დომინანტურ პოზიციაშია. *ჩვენ*-ის რეფერენტი ქართულ დისკურსში უმთავრესად არგუმენტატორის პოლიტიკური გუნდია. უფრო იშვიათად მის რეფერენტად სრულიად საქართველოს მოსახლეობა ან ქართველები და აფხაზები ან საქართველო და განვითარებული სამყარო იგულისხმება.

*ჩვენ*-ის რეფერენტია გუნდი:

*ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ* იმისათვის, რომ საქართველო ვაქციოთ ისეთ ქვეყნად, სადაც ყველა ღირსეულად იცხოვრებს.

*ჩვენ ისეთ ქვეყანას ავაშენებთ*, სადაც ველარავინ წაართმევს ხალხს თავის არჩევანს!

*ჩვენთან ბრძოლისთვის, ჩვენ წინააღმდეგ ხელისუფლება ყველაფერს კადრულობს.*

*ჩვენ ჩვენს ხალხს ადამიანურად ცხოვრების საშუალებას მივცემთ* და არაფერს დავაყვედრით, იმიტომ რომ კარგად ვიცით, რომ ეს ხელისუფლების ვალდებულებაა.

ჩვენ-ის რეფერენტია მოსახლეობა:

*ჩვენ, ქართველებმა და აფხაზებმა, ერთმანეთის სისხლი დავღვარეთ. ამას გამართლება არა აქვს. ჩვენ აუნაზღაურებელი მსხვერპლი გავიღეთ.* მაგრამ ახლა დადგა დრო, როცა ურთიერთობის აღდგენაზე უნდა ვიზრუნოთ.

დღეს *ჩვენ ვცხოვრობთ* ქვეყანაში, სადაც ადამიანები უექიმობისა და უწამლობის გამო იღუპებიან.

დრო არ ითმენს, ცივილიზებული სამყარო სწრაფად *ვითარდება*. *ჩვენ ბევრი საერთო* გვაქვს, და ეს, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, უნდა გამოვიყენოთ.

ოლანდის დისკურსში ჩვენ მიერ წარმოებულმა ანალიზმა საპირისპირო არგუმენტაციული სტრატეგია გამოავლინა. იგი *nous*-ს რეფერენტად უფრო ხშირად თავისი ქვეყნის მოსახლეობას გულისხმობს, უფრო იშვიათად თავის პოლიტიკურ ძალას.

*nous*-ს რეფერენტია მოსახლეობა:

*Nous sommes* la France, pas n'importe quel pays du monde.

J'ai voulu m'adresser aussi à ce qui *nous rassemble* et non à ce qui nous divise.

Que *nous sommes* bien ensemble et que nous avons tant de joies à partager, tant d'objectifs à réunir, tant de conditions à poser ensemble pour que *nous puissions* donner une grande victoire à notre pays.

*Nous avons* ensemble à tourner une page, celle déjà trop longue d'un quinquennat d'échecs ! Mais *nous avons* surtout à écrire ensemble une nouvelle page, à continuer la grande, la belle histoire de France dont *nous sommes* ici, pas simplement ici, les porteurs, les messagers.

*nous*-ს რეფერენტია გუნდი:




Que *nous disent* nos compatriotes ?

Je salue l'histoire de la Gauche, et elle *nous donne* mandat aussi pour bâtir l'avenir.

*Nous améliorerons* la compétitivité par un effort de recherche, d'innovation. Et *nous n'avons pas besoin* d'inventer une augmentation de la TVA pour alléger le coût du travail ! *Nous réformerons* le mode de financement de la protection sociale en appelant davantage sur le capital, et aussi sur ce qui pollue et émet du CO2. Voilà ce que *nous ferons* pour que les entreprises payent moins sur le travail et payent davantage sur les autres facteurs de production!

ჩვენს მიერ წარმოებულმა ლექსიკომეტრიულმა ანალიზმა თავის წარმოჩენის ძირითად სტრატეგიად ივანიშვილის დისკურსში ჩვენ გამოავლინა, ხოლო ოლანდთან მე.



გრაფიკი 5: ოლანდი (მე-ჩვენ) 2012

გრაფიკი 6: (მე-ჩვენ) 2012

რაც შეეხება მრავლობითი რიცხვის კუთვნილებით დეიქტიკს, ორივე პოლიტიკოსის დისკურსში ჩვენი ყველაზე ინტენსიურად ლექსემასთან ქვეყანა გვხვდება. განმასხვავებელი სტრატეგია ოლანდისა და ივანიშვილის დისკურსში შემდეგია: თუ ფრანგი პოლიტიკოსი თავის კუთვნილებად ძირითადად ფასეულობების გამომხატველ სახელებს მიიჩნევს, როგორებიცაა, მაგალითად, *identité, victoire,*

*responsabilité, valeur, langue, frontière, patrimoine*, ივანიშვილი კუთვნილებით ფორმებს თავის დისკურსში უფრო ხშირად პიროვნებებთან ადაპტაციის მიზნით იყენებს: მაგალითად, *თანამემამულეები, მოქალაქე, ჯარისკაცები, საზოგადოება, შვილები, პოლიცია, ხალხი, მოხუცები, ავადმყოფები* და ა. შ.

მაგალითები ივანიშვილის დისკურსიდან:

მათ კი, *ჩვენმა საამაყო და მოკრძალებულმა ჯარისკაცებმა* არასოდეს არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ ხალხს და ქვეყანას ემსახურებიან, და არა რომელიმე ხელისუფლებას.

ჩვენ *ჩვენს ხალხს* ადამიანურად ცხოვრების საშუალებას მივცემთ და არაფერს დავაყვედრით, იმიტომ რომ კარგად ვიცით, რომ ეს ხელისუფლების ვალდებულებაა.

*ჩვენი დევნილები* უნდა დაბრუნდნენ აფხაზეთში, თავის სამშობლოში, თავის მიწა-წყალზე!

მაგალითები ოლანდის დისკურსიდან:

Je demanderai, dès la fin de cette année, que la Carte Vitale soit désormais biométrique, parce que *notre générosité* n'a pas à être bafouée par la fraude, par les fraudeurs et par les tricheurs.

Mais nous n'avons pas décidé d'abattre *nos frontières* ; nous avons décidé d'exercer *notre souveraineté* ensemble.

ამდენად, ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ ფრანგულ დისკურსში პიროვნების წარმოჩენა უმთავრესად მხოლოდითი რიცხვის დეიქტიკის მე-ს საშუალებით ხდება, მაშინ როცა ქართულ დისკურსში მრავლობითი რიცხვის დეიქტიკს *ჩვენ* აშკარა უპირატესობა ენიჭება. ჩვენი აზრით, ფრანგი პოლიტიკოსების მიერ

შერჩეული ტექნიკა, რითაც მსმენელთა წინაშე საკუთარი პიროვნების წინა პლანზე წამოწევა ხდება, ასეთი დიდი დოზით არაეფექტური იქნება ქართველი აუდიტორიის წინაშე იმის გამო, ქართველების ეთნო-კულტურის ერთ-ერთი მახასიათებელი თვისება სწორედ ინდივიდუალური სიამაყის გამმაფრებული შეგრძნებაა, ფრანგებისთვის კი უფრო დამახასიათებელია ეროვნული სიამაყე, სიამაყის შეგრძნება იმით, რომ ფრანგები არიან.

ამასთანავე, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფრანგი პოლიტიკოსები *ჩვენ*-ის რეფერენტად მთელი ქვეყნის მოსახლეობას უფრო მეტად მოიაზრებენ, ხოლო ქართველი პოლიტიკოსები უმთავრესად თავიანთ პოლიტიკურ გუნდს. ფრანგულ დისკურსში გამოვლენილი სტრატეგია ფართო მოსახლეობასთან იდენტიფიკაციის საშუალებად მიიჩნევა, უფრო მეტად ერის საერთო ფასეულობათა ირგვლივ გაერთიანებას მიუთითებს. საქართველოში კი მოსახლეობას პოლიტიკური პარტიების მიმართ არ აქვს საკმარისი ნდობა იმისა, რომ ისინი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქვეყნის კეთილდღეობისთვის იბრძოლებენ. ამიტომ, გუნდის წინა პლანზე წამოსაწევად და მისდამი ნდობის მოპოვების მიზნით ქართველ პოლიტიკოსებს ურჩევნიათ ამომრჩეველს ხშირად თავიანთი გუნდის სახელით ესაუბრონ.

### **3.5 მეტაფორა**

პერელმანისთვის მეტაფორა არის „შეკვეცილი ანალოგია, რომელიც ფორისა (phore) და თემის შერწყმის შედეგად მიიღება“ (პერელმანი 2008, 535). პერელმანი არგუმენტაციულ დისკურსში ორი ტიპის მეტაფორას შეისწავლის. იგი მიძინებულ მეტაფორას უწოდებს ისეთ მეტაფორებს (პერელმანის მიერ გამოყენებული ტერმინი, 2008, 543), რომელთაც არ აქვთ ემოციური ზეგავლენის ფუნქცია. მასში მეტაფორის მნიშვნელობა თითქოს წაშლილია, რადგან დაპირისპირების აღქმა პირდაპირ და

გადატანით მნიშვნელობებს შორის იშვიათად ხდება. პოლიტიკურ დისკურსში მიძინებული მეტაფორის გამოყენება უნივერსალურია. ცოცხალი, ავტორისეული, ორიგინალური მეტაფორისთვის კი დამახასიათებელია მსმენელში გამოწვეული მოულოდნელობა და იშვიათობა. რაც უფრო მოულოდნელია მოცემული ენობრივი ერთეული მოცემულ სამეტყველო სიტუაციაში, მით მეტია მსმენელის მიერ დამახსოვრებისა და მასზე ემოციური ზემოქმედების ხარისხი.

2007 წლის დისკურსში სარკოზი ძირითადად მიძინებულ მეტაფორას იყენებს, სააკაშვილთან კი ორივე ტიპის მეტაფორა ინტენსიურად ფიქსირდება. ამასთანავე, სარკოზის მიერ გამოყენებული მეტაფორები მსმენელში ემოციების აღძვრას ემსახურება, ფრანგი პოლიტიკოსი გრძნობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულების მეტაფორებად გამოყენებით ცდილობს თავისი დისკურსი კიდევ უფრო პათეტიკური გახადოს და ელექტორატი მასში გრძნობების გამოწვევის საშუალებით მიიმხროს. ავტორისეულ, ცოცხალ მეტაფორას კი სარკოზი იშვიათად მიმართავს.

სარკოზის დისკურსში გამოყენებული მეტაფორების მაგალითებია:

Longtemps ce sont des sentiments que j'ai gardés pour moi, comme un trésor caché au fond de mon coeur que *je n'éprouvais le besoin de partager* avec personne.

*On ne peut pas tendre la main à celui qui a perdu tout espoir* si l'on n'a jamais douté.

*Elle a le visage, l'âge, la voix de tous les Français qui ont au fond de leur coeur la conviction que la France n'est pas finie.*

Le but de la République c'est *d'arracher du coeur de chacun le sentiment de l'injustice.*

Le but de la République c'est de permettre à celui qui n'a rien d'être quand même un homme libre, à celui qui travaille de posséder quelque chose, à celui qui commence tout en bas de *l'échelle sociale de la gravir* aussi haut que ses capacités le lui permettent.

Je veux être le Président d'une France qui *remettra le travailleur au coeur de la société.*

Partager ce qu'on n'a plus ne fait pas *la prospérité d'un peuple.*

*Je veux être le Président d'une France qui se donnera les moyens d'une défense à la hauteur du rôle éminent qu'elle veut continuer à jouer sur la scène du monde.*

*Je veux être le président d'une France qui ne s'enfermera pas dans son histoire pour échapper à l'avenir, qui ne sera pas un musée, mais qui saura s'adosser à son histoire pour s'élancer vers le futur.*

2007 წლის დისკურსში სააკაშვილი მეტაფორებს სარკოზისგან განსხვავებულ დანიშნულებას ანიჭებს. იგი ცდილობს აღნიშნული სტილისტური ფიგურის დახმარებით საქართველო წარმოაჩინოს, როგორც საგარეო მტრის მსხვერპლი, ხაზი გაუსვას მტრისგან მოსალოდნელი საფრთხის მნიშვნელობას, გაამძაფროს მსმენელში შიშის, დაუცველობის შეგრძნება.

საკაშვილის მიერ გამოყენებული მეტაფორებია:

*ცდილობენ საქართველო არიონ, შეარყიონ, საქართველოს მიმართ რწმენა შეარყიონ, ქართველ ხალხს ერთხელ და სამუდამოდ ხელი ააღებინონ თავისუფლებაზე და დაგვაბრუნონ 1921 წელს საქართველოს ანექსისს, საქართველოს დამონების და საქართველოს დემოკრატიის აღსასრულის პერიოდში.*

*მე მინდა ვიყო ერთ მუშტად შეკრული, შემართული, გამარჯვების რწმენით ანთებული ერი და მე მინდა, რომ ვიყო ამ ერის ლიდერი.*

*მინდა ისიც ვთქვა, რომ ამ მოვლენებმა გარკვეულწილად მიაღწია იმ მიზანს, რისი თავიდან არიდებაც ჩვენ გვსურდა, ჩრდილი მიეყენებინათ საქართველოსთვის, ჩრდილი მიეყენებინათ მისი წინსვლისთვის.*

საკაშვილი თავისი ქვეყანის მსხვერპლად წარმოჩენას ელექტორატის წინაშე ცოცხალი მეტაფორების გამოყენებით კიდევ უფრო ამძაფრებს, მსმენელთა ყურადღების კონცენტრაციას და მასზე ძლიერ ემოციურ ზეგავლენას პოლიტიკოსი ავტორისეული, ორიგინალური მეტაფორების საშუალებით ახერხებს.

ასევე ვიცი, როგორ უნდა ვებრძოლო სიცრუის უზარმაზარ მანქანას, რომელიც ჩართულია საქართველოს წინააღმდეგ.

*ტყუილების და არეულობის ფაბრიკა მთელი ძალით ამოქმედდა.*

მოდით, ნუ მივანდობთ ამას ნურცერთ ყველაზე მყვირალა პოლიტიკურ ჯგუფს.

როგორც ჩვენმა კვლევამ დაადასტურა, სააკაშვილი აუდიტორიაზე ძლიერად მოქმედ მეტაფორას ძირითადად, იყენებს იმისთვის, რომ ელექტორატს გაუმძაფროს უარყოფითი დამოკიდებულება სამშობლოს მტრების, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მოწინააღმდეგეთა მიმართ, გაუღვივოს ამომრჩეველს ეროვნული საფრთხის შეგრძნება. სარკოზი თავის დისკურსში კი მეტაფორებით საკუთარი გრძნობების დემონსტრაციას ცდილობს, რაც საბოლოოდ, მსენელის პათოსზეა გათვლილი.

2012 წლის დისკურსში სარკოზის ტაქტიკა მეტაფორებთან დაკავშირებით იცვლება. იგი ამ შემთხვევაში საკმაოდ აქტიურად იყენებს მეტაფორას და მას უშუალოდ ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართავს. ამავდროულად, მეტაფორებით სარკოზის დისკურსში მოწინააღმდეგისადმი აშკარად დამცინავი ტონი იგრძნობა.

*Il ne manquait plus que lui et la famille est complète.*

*Un petit club s'était réuni lors des primaires socialistes, et avait décidé ce qu'il convenait de penser et ce qu'il convenait de dire. Et tous ceux qui ne pensent pas ou ne disent pas comme eux sont exclus du débat républicain.*

*Il y a un petit cénacle qui s'est réuni et qui a décidé qu'il y en avait un qui parlerait à 45 millions d'électeurs, moins les 6 millions et demi de Français qui ont voté pour Marine le PEN, c'est moi.*

Je suis désolé d'avoir *un peu gêné l'ordonnancement si bien huilé*, mais ça ne s'est pas passé exactement comme ils l'imaginaient.

Remarquez ce monsieur MELENCHON qui parlait de son ami HOLLANDE comme d'*un capitaine de pédalo, quand le pédalo est arrivé il s'est dépêché de monter dessus.*

Il y a une différence entre monsieur HOLLANDE et moi, le soir du premier tour monsieur *HOLLANDE prend une pince à linge et dit à ces Français : mon Dieu, quelle odeur.*

ოპოზიციის დისკვალიფიკაციის გარდა, სარკოზი მეტაფორებს სხვადახვა საკითხზე საუბრის დროსაც იშველიებს, რითაც თავის დისკურსს სიმძაფრეს მატებს. მის დისკურსში არა მხოლოდ პოლიტიკური სფეროსთვის, არამედ, ფამილარული საუბრებისთვის დამახასიათებელი მიძინებული მეტაფორებიც გვხვდება.

Il y a 115 km de *frontières européennes ouvertes à tout vent, nous ne voulons pas d'une Europe passoire.*

Nous croyons à l'Europe, pas dans *une Europe passoire.*

Ils ont dit : arrêtez, vous les responsables, de *vous cacher derrière votre petit doigt.*

Voilà pourquoi je ne laisserai pas *détruire l'institution familiale* par la suppression du quotient familial.

La France *traverse une période de gros temps.*

Ici, quand je regarde vos visages, *je lis votre histoire.*

Il y a bien des jours où *vous avez mis un genou à terre.*

*Vous avez serré les dents.*

რაც შეეხება სააკაშვილის 2012 წლის დისკურსს, მასში ავტორისეული მეტაფორების რიცხვი შემცირებულია და აქცენტი ძირითადად მიძინებულ მეტაფორებზე კეთდება. ამ შემთხვევაში, სარკოზის მსგავსად, მეტაფორების უპირველესი ფუნქცია ოპოზიციის დისკვალიფიკაციაა. მართალია, სააკაშვილთან

ძირითადად მიძინებულ მეტაფორებს ვხვდებით, მაგრამ იგი ძალიან ძლიერი ზემოქმედების მქონე მეტაფორებს ირჩევს, რითაც მსმენელთა წინაშე მოწინააღმდეგის სახეს მაქსიმალურად ნეგატიურად წარმოაჩენს. ქართულ დისკურსში გამოყენებული ძლიერი კონოტაციის მქონე მეტაფორებია, მაგალითად: *ბნელეთის ძალები, წარსულის მარწყბები, ძირის გამოთხრა, რელსებიდან გადაყვანა, ჩიხში შეყვანა* და ა.შ.

თუმცა, მსურს გითხრათ, რამდენი *ბინძური ფულიც* არ უნდა დაიხარჯოს ჩვენს წინააღმდეგ, ვერაფერს გახდებიან.

არამედ შოკის ქვეშ მიეღოთ იმპულსური გადაწყვეტილება, რათა *საბოლოოდ გაუხსნან ხელი მას, ვისაც საქართველოს წარსულში დაბრუნება უნდა.*

რა მეთოდებით აპირებენ *საქართველოს რელსებიდან გადაყვანას* და *ისევ ჩიხში შეყვანას.*

თუ როგორ მოახდინოს *სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაცია* და *ძირი გამოუთხაროს...*

*ქართველი ერი, აუცილებლად, წავა წინ და ბნელეთის ძალები ერთხელ და სამუდამოდ ჩამოგვშორდებიან.*

ვინც ეს შეუკვეთა, ვინც ამაში ფული გადაიხადა და *ვინც ამაზე თვალი დახუჭა, არ შეიძლება მან დივიდენდები დაიწეროს.*

საქართველოს თავს ვერასდროს *მოახვევენ კორუფციას, ჩაგვრას, უსამართლობას, უთანასწორობას სოციალურს, თანამდებობრივს თუ რეგიონალურს - ვერასდროს ვერ მოახვევენ თავს იმას, რისგანაც ჩვენ გავრბივართ.*

ბოლომდე *აღმოვფხვრა წარსულის გადმონაშთები, რომლებიც ყველაზე მახინჯი ფორმით არის შემორჩენილი და მთლიანად დავუთმოთ გზა სიახლეს.*



საქართველო გათავისუფლებული წარსულის მარწუხებისგან, საქართველო გათავისუფლებული ორგანიზებული დანაშაულისგან.

ვერავინ ისე კარგად ვერ დაამარცხებს ბნელეთის ძალებს, თუ ჰეგელს მივყვებით, ვერავითარი ათასობით ჯარისკაცი, როგორც გამჭვირვალები და როგორც ჩვენი იდეალების მყარი ერთგულება.

როგორც ვხედავთ, 2012 წლის დისკურსებში სარკოზი და სააკაშვილი ავტორისეულ მეტაფორებს ნაკლებად იშველიებენ. მიძინებული მეტაფორები კი მათ დისკურსებში საკმაოდ მრავლად და მრავალფეროვანი დანიშნულებით გვხვდება. აღნიშნული სტილისტური ფიგურის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ორივეენოვან დისკურსში მოწინააღმდეგის განეიტრალებაა, თუმცა მათ შორის განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ სარკოზის მეტაფორებში მოწინააღმდეგის მიმართ დამცინავი ტონი დაუფარავად იგრძნობა, სააკაშვილი კი ძლიერი, უარყოფითი კონოტაციის მეტაფორებს ეყრდნობა.

ოლანდის 2012 წლის დისკურსში მეტაფორებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. ფრანგი კანდიდატის დისკურსში კვლევის შედეგად პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელი მიძინებული მეტაფორის *ბრძოლა* - აღნიშნული მეტაფორის გამოყენებას პოლიტიკურ დისკურსში ბუფონი შეისწავლის (ბუფონი 2002, 246-347) -, აქტუალურობა გამოვლინდა. ოლანდი მსმენელს უმტკიცებს, რომ არა ერთ სფეროში აპირებს ბრძოლას სიტუაციის გასაუმჯობესებლად: უმუშევრობის, განსახლების, ფისკალურ, თუ სამედიცინო სფეროებში.

*Je lutte pour le changement.*

*Nous avons besoin, pour lutter contre le chômage.*

*D'où l'ardente obligation de lutter contre le chômage.*

Elles ne prêtent pas aux Etats, pourrait quand même prêter directement aux Etats pour *lutter contre la spéculation !*

Oui, nous aurons à *lutter contre les inégalités aussi en matière de logement.*

Nous aurons à agir pour permettre sur chaque point du territoire à chacune et à chacun de pouvoir accéder aux soins dans les mêmes conditions, de *lutter contre les déserts médicaux.*

სიტყვა *ბრძოლის* მეტაფორული მნიშვნელობით გამოყენების გარდა, ოლანდი ასევე ხშირად მიმართავს ისეთ მიძინებულ მეტაფორებს, რომლებიც ტიპურია პოლიტიკური დისკურსისთვის, როგორებიცაა მაგალითად, *მანდატის მიცემა, ქვეყნის აშენება, პროცესების დაძვრა, ქვეყნისთვის პერსპექტივის მიცემა, პროგრესის გზა და ა. შ.* იქედან გამომდინარე, რომ ოლანდი ხშირად მეტაფორებს საფრანგეთზე, ქვეყნის გაუმჯობესებულ მომავალზე საუბრისას იშველიებს, მის დისკურსში მეტაფორები პოზიტიური მუხტის მატარებელია. ასევე, აღსანიშნავია, რომ ფრანგი კანდიდატის დისკურსში ორიგინალური მეტაფორები იშვიათად გვხვდება.

*La France ne s'est pas formée, construite, bâtie, accomplie sur la peur de l'autre, sur le repli, sur la frilosité, sur la nostalgie.*

Je veux que les Français *reprennent la longue marche du progrès.*

Je salue l'histoire de la Gauche, et elle nous *donne mandat aussi pour bâtir l'avenir.*

Je veux *rassembler aussi plus large, rassembler autour des valeurs de la République,*  
de l'Etat et qui ne *mettent pas l'argent au cœur* de tout et qui savent en fixer les limites !

Nous avons ensemble à *tourner une page*, celle déjà trop longue d'un quinquennat d'échecs ! Mais nous avons surtout à *écrire ensemble une nouvelle page*, à continuer la grande, la belle histoire de France dont nous sommes ici, pas simplement ici, les porteurs, les messagers.

*Vous allez à la fois porter un message pour vous-même de confiance.*

*Il s'agit de les reconduire vers l'emploi, vers la dignité du travail, vers la réinsertion.*

*Les choses commencent à bouger.*

*Tant à faire pour redresser, pour donner de la justice et espérance à notre pays.*

*Je veux un Etat stratège, garant de notre avenir, capable de fixer notre horizon, de choisir des grandes filières d'avenir, de porter l'effort de la recherche, de donner une perspective à notre pays, des références.*

ოლანდი მეტაფორას მოწინააღმდეგესთან მიმართებაში იშვიათად გამოიყენებს. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ სარკოზისა და სააკაშვილის იმავე წლის დისკურსებისგან განსხვავებით, მისი ტონი საკმაოდ გაწონასწორებულია:

*Il n'a pas bougé pendant cinq ans, et maintenant il veut quitter la table de la négociation, qu'il propose à tout sujet.*

ივანიშვილის 2012 წლის დისკურსშიც მეტაფორა ძალიან აქტუალურია. იგი, ოლანდის მსგავსად, მიძინებულ მეტაფორებს ეყრდნობა, რითიც ძირითადად ან არსებული რეჟიმის შეცდომებს და დანაშაულებს ამხელს ან მსმენელს თავის სამომავლო გეგმებს აცნობს. პირველ შემთხვევაში ივანიშვილი უფრო მძაფრ მეტაფორებს იყენებს, მეორე შემთხვევაში კი ძირითადად პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელ მეტაფორებზე აკეთებს არჩევანს, მაგალითად, *გზის გახსნა, სამეგრელოს აყვავება, დამსახურების დაკარგვა, უსაფრთხო მომავალზე ზურგის შექცევა*.

ივანიშვილის დისკურსში მოწინააღმდეგის მიმართ გამოყენებული მეტაფორებია:

*ამ ინფორმაციამ გაჟონა, კი არ გაჟონა, პირდაპირ ამოხეთქა და მთელ ქვეყანას მოედო.*

*ახალაიების კლანს ბზარი გაუჩნდა, ბზარი გაუჩნდა სააკაშვილის რეჟიმს.*

*ამით გზას უხსნიდნენ ჯალათებს ადამიანების საწამებლად.*

*უსამართლობის ტყვეობაშია მთელი საქართველო.*

*ნუ შეგეშინდებათ მათი, რადგან მათი დრო წასულია.*

ადამიანი, პირველ რიგში, თავისუფლებისთვის იბადება, და არაფერია იმაზე საშინელი, ვიდრე თავისუფლების უკანონოდ წართმევა და თავისუფლებით ვაჭრობა.

*როგორ გაიქცნენ ნაციონალები და მოსახლეობა მტერს შეატოვეს ხელში.*

*ამ ომმა ახალი დევნილები, ახალი დაკარგული ტერიტორიები მოგვიტანა.*

ივანიშვილი მეტაფორებს იშველიებს ასევე თავის სამომავლო გეგმებზე საუბრისას, სადაც ამომრჩეველს კონკრეტულად თავის პოლიტიკურ სამოქმედო პროგრამას აცნობს.

ჩვენ აღვადგენთ ასევე ომების ვეტერანთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სისტემას, რომელიც ამ ხელისუფლებამ მოშალა.

*სამეგრელოს აყვავებამ აფხაზები იმაში უნდა დაარწმუნოს, რომ საქართველოდან განცალკევება მხოლოდ თავისი საკუთარი, უკეთესი და უსაფრთხო მომავლისათვის ზურგის შექცევას ნიშნავს.*

ამას „ქართული ოცნება“ ბოლოს მოუღებს. ჩვენ იმისთვის მოვდივართ ხელისუფლებაში, რომ დამსახურება არ დაეკარგოს არც ერთ ჩვენს მოქალაქეს, მით უფრო - ჯარისკაცს.

მაშინ ჩვენს აფხაზ ძმებსაც ჩვენკენ გამოუწევთ გული და უცხო ქვეყანას აღარ შეეკედლებიან.

რკინიგზა და საავტომობილო ტრასა ქართველებსაც და აფხაზებსაც გაუხსნის გზას რუსეთის ბაზრისკენ.

ქართველი პოლიტიკოსი მეტაფორების დახმარებით ასევე ცდილობს ელექტორატში იმედიანი განწყობა, მომავლის რწმენა ჩანერგოს, თავისი პოლიტიკური ძალის მიმართ ნდობა გააძლიეროს.

პოლიტიკაში ჩემი მოსვლის მიზეზი არა ერთხელ ვთქვი - *მინდა შევაჩერო ეს განუკითხაობა, ჩემი ხალხის უღირსებო ყოფა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩემი ქვეყანა მინდა ფეხზე დავაყენო.*

ყოველდღიურად ვხედავ, თუ როგორ *მიდის წინ ჩვენი საზოგადოება სამოქალაქო საზოგადოებისკენ.*

და ეს ასეც იქნება, როცა *ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში.*

*ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას!*

*ჩვენ ღირსებას დავუბრუნებთ ჩვენს ქვეყანას!*

*ეს უნდა შეწყდეს, ამას ჩვენ მოვუღებთ ბოლოს!*

სწორად გათვლილი და გააზრებული პოლიტიკით *ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას და მერე ვეღარავინ შეძლებს, შეაფერხოს საქართველოს წინსვლა თანამედროვე სამყაროსკენ, დემოკრატიისკენ!*

ჩვენ უკომპრომისოდ *ვიბრძობებით მათ წინააღმდეგ, ვინც სიძულვილს, შურსა და ღვარძლს აღვივებდა და აღვივებს ხალხებს შორის.*

*დადებით სიმართლის მხარეს, ყური დაუგდეთ თქვენს სინდისს. ამ დანაშაულებრივი რეჟიმის დღეები უკვე დათვლილია, ბოროტებას ამ ქვეყანაში*

*გამარჯვება არ უწერია! დადექით სიკეთის მხარეს და გაემიჯნეთ ძალადობასა და უკანონობას!*

როგორც ვხედავთ, მეტაფორების გამოყენება როგორც ოლანდის, ასევე ივანიშვილის დისკურსში ძალიან აქტუალურია. იქედან გამომდინარე, რომ ორივე პოლიტიკოსი ხელისუფლებაში მყოფი ძალის წინააღმდეგ იბრძვის, მათთან მეტაფორები არსებული სიტუაციის შეცვლის, მოწინააღმდეგის კრიტიკის, გაუმჯობესებული მომავლის წარმოჩენის გამოხატვას ემსახურება. თუმცა, ოლანდის დისკურსი უფრო გაწონასწორებული, ნაკლებად კრიტიკული, დადებითი კონოტაციის მატარებელი მეტაფორებით გამოირჩევა.

ამდენად, მეტაფორა პოლიტიკურ დისკურსში მსმენელთა დასარწმუნებლად ერთ-ერთ საყრდენ არგუმენტაციულ ტექნიკად გვევლინება. კვლევის შედეგების თანახმად, მეტაფორებს პოლიტიკოსები საკმაოდ მრავალფეროვანი დანიშნულებით იყენებენ: სარკოზი ძლიერი ემოციური დისკურსის ასაგებად თუ მოწინააღმდეგისადმი დამცინავი დამოკიდებულების გამოსახატავად, ოლანდი საბრძოლო მზადყოფნის დასაფიქსირებლად, თუ ქვეყნის უკეთესი მომავლის დასახატად, სააკაშვილი ქვეყნის მტრის მაქსიმალურად მუქ ფერებში წარმოსაჩენად, ივანიშვილი ოპოზიციისა თუ ქვეყნის მომავალზე თავისი დამოკიდებულების საჩვენებლად. ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფრანგულ დისკურსთან შედარებით ქართულ დისკურსში გამოყენებული მეტაფორები უფრო მძაფრად ემოციურია, უფრო ძლიერად ხდება სიტუაციის დრამატიზება, ქვეყნის წარსული, აწმყო თუ მომავალი, ფრანგულ დისკურსთან შედარებით, ბევრად უფრო სახიფათოდ და მძიმედ არის წარმოჩენილი. როგორც ვიცით, საქართველო მასშტაბით პატარა, მაგრამ გეო-პოლიტიკურად მნიშვნელოვანი კავკასიური ქვეყანაა, რომელმაც დაახლოებით 20 წელია, რაც აღიდგინა დამოუკიდებლობა და ისწრაფვის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირებისაკენ. ამიტომ, საქართველოში ჯერჯერობით არ არის მყარი

დემოკრატიული ინსტიტუტები ჩამოყალიბებული, იგი ჯერჯერობით არ არის სათანადოდ დაცული საგარეო საფრთხეებისგან, არ არის დაცული მისი ტერიტორიული მთლიანობა. 2008 წელს ქვეყანა შეიარაღებულ ომში რუსეთის პირისპირ აღმოჩნდა. ამდენად, რეალურია საფრთხე, რომელსაც ქართულ დისკურსებში პოლიტიკოსები მეტაფორების დახმარებით გამოხატავენ. აღნიშნული პოლიტიკური სიტუაცია ქართულ დისკურსში ნეგატიური, მძაფრი, საფრთხეზე აქცენტირებული მეტაფორების სიჭარბეს განაპირობებს. ფრანგ პოლიტიკოსებს, როგორც ძლიერი ქვეყნის წარმომადგენლებს, არ ესაჭიროებათ მსგავსი დანიშნულებით მეტაფორების გამოყენება და ამიტომ, მათთან უფრო დადებითი კონოტაციის მატარებელ მეტაფორებს ვხვდებით.

### ***3.6 მოწინააღმდეგის დისკვალიფიკაციის სტრატეგია***

პოლიტიკური დისკურსისთვის ტიპურია აგრეთვე, არგუმენტი, რომელიც მიზნად მოწინააღმდეგის დისკვალიფიკაციას ისახავს. შაროდოს აზრით, ამ შემთხვევაში „პოლიტიკოსმა უნდა გააბათილოს მოწინააღმდეგის მოსაზრებები, იმ მეთოდით, რომ ეფექტური არგუმენტაციით დაამტკიცოს მისი იდეების სისუსტე და საფრთხე“ (შაროდო 2005, 71), მაგრამ რადგან ასეთი არგუმენტაცია ფართო მასებისათვის შეიძლება რთული გასაგები აღმოჩნდეს, ამიტომ, პოლიტიკაში ხშირად მიმართავენ არგუმენტს ad hominem, რომელიც არა ოპოზიციური ძალის წარმომადგენლის იდეების დისკვალიფიკაციაზე, არამედ თვითონ მისი პიროვნების დისკვალიფიკაციაზეა მიმართული. პოლიტიკოსი მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს, მის მიერ მიცემული დაპირებების შესრულებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, ხაზს მის საეჭვო კავშირებს უსვამს. მოწინააღმდეგესთან მიმართებაში პოლიტიკოსებს ფრანგულ და ქართულ დისკურსში განსხვავებული სტრატეგია აქვთ შერჩეული. სარკოზი 2007 წლის გამოსვლაში ოპოზიციისადმი მიმართულ არგუმენტაციულ სტრატეგიას თითქმის არ იყენებს. იგი არც მოწინააღმდეგის პოლიტიკურ პროგრამას და არც თვითონ ოპოზიციის

წარმომადგენლებს არ აკრიტიკებს. მის დისკურსში არ გვხვდება ოპოზიციისადმი არც უშუალო მიმართვა. ამდენად, სარკოზის დამოკიდებულება მოწინააღმდეგისადმი ძალიან ნეიტრალურია. იგი თავის ლოიალურ დამოკიდებულებას შემდეგნაირად განმარტავს:

*Etre de droite c'est refuser de parler au nom d'une France contre une autre. C'est refuser la lutte des classes. C'est refuser de chercher dans l'idéologie la réponse à toutes les questions, la solution à tous les problèmes. C'est refuser de voir dans le contradictoire un ennemi mais un citoyen dont on doit entendre les arguments.*

სარკოზის მიერ ოპოზიციის ჩართვა დისკურსში ძირითადად რამდენიმე შეკითხვით შემოიფარგლება. ჟორესის და კამიუს ციტატებთან, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ ავტორიტეტის არგუმენტის განხილვის დროს, სარკოზი სვამს შეკითხვებს:

*Pourquoi la gauche n'entend-elle plus la voix de Jaurès ?*

*Pourquoi la gauche n'entend-elle plus la voix de Camus ?*

2007 წლის დისკურსში სააკაშვილს ოპოზიციასთან მიმართებაში მკვეთრად კრიტიკული ტონი აქვს შერჩეული. იგი თავის დისკურსში მათ მიმართ აშკარად ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენს. სააკაშვილის მიერ ოპოზიციის კრიტიკა ბევრად მძაფრია, ვიდრე სარკოზის დამოკიდებულება ოპოზიციისადმი, რომელსაც კრიტიკულ დამოკიდებულებასაც კი ვერ ვუწოდებთ.

*მოდით, ნუ მივანდობთ ამას ნურცერთ ყველაზე მყვირალა პოლიტიკურ ჯგუფს.*

*ბევრის გასაკვირად, ყველა გამოწვევას ღირსეულად ვხვდებით.*

იმ დღეს ვათვალისწინებდი სხვადასხვა არხებს და ერთ-ერთმა რადიკალურმა პოლიტიკურმა წარმომადგენელმა მიტინგზე ერთ ბიბლიურ სწავლებაზე ისაუბრა, თუ ამას საუბარი შეიძლება ერქვას.



(არჩევნები) ჩატარდება ზუსტად იმ ხედვის მიხედვით, რომელიც მე თქვენ წარმოგიდგინეთ და რომელიც, *სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, ზოგჯერ ვერ გაიგო ზოგიერთმა სხვა პოლიტიკურმა ერთეულმა და ამ ერთეულის წარმომადგენელმა.*

ამდენად, 2007 წლის ფრანგულ და ქართულ დისკურსებში ოპოზიციისადმი სარკოზის ნეიტრალური და სააკაშვილის მკვეთრად დაპირისპირებული სტრატეგია უკვე გამოიკვეთა.

რაც შეეხება 2012 წლის სარკოზის დისკურსს, ამ შემთხვევაში, მის ძირითად არგუმენტაციულ სტრატეგიას სწორედ ოპოზიციის დისკვალიფიკაცია წარმოადგენს. იგი მთელი დისკურსის განმავლობაში ოლანდის განეიტრალებას ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს. ფრანგი პოლიტიკოსი დისკურსის დასაწყისშივე პირდაპირ ახსენებს მის კონკურენტს - ოლანდს და მას საკმაოდ მწვავედ აკრიტიკებს, მის წინააღმდეგ იყენებს აგრეთვე არგუმენტს *ad hominem*. სარკოზი ოპოზიციას ისეთი მეტაფორებითაც ახასიათებს, როგორებიცაა, მაგალითად: *Donneurs de leçon, tartuffes, hypocrites*. იგი ხშირად მოწინააღმდეგის ქმედებებს აფასებს, როგორც სირცხვილი.

*Voilà les donneurs de leçons, ils ont découvert tout d'un coup qu'entre le dimanche du premier tour et le lundi du deuxième tour, mon projet politique avait changé, qu'il était passé de républicain à extrémiste.*

*François HOLLANDE aime à donner des leçons, se bouche le nez lorsqu'il parle des Français qui ont voté pour le Front National, mais il se régale à l'idée des problèmes que les électeurs du Front National pourraient faire à la France et à nous-mêmes s'ils ne se déplaçaient pas au deuxième tour pour aller voter.*

*Donneurs de leçon, tartuffes, hypocrites, je suis venu leur dire une chose : vous ne nous ferez pas taire, parce que le peuple de France est un peuple libre et qu'il n'acceptera pas la mainmise de votre pensée unique sur cette campagne électorale.*

*Vous avez raison, les déclarations de ce monsieur sont une honte, c'est une honte et c'est une honte notamment sur nos compatriotes musulmans qui méritent mieux que d'avoir un homme qui parle si mal de leur culture, de leur religion et de ce qu'ils sont. J'ai dit ce que je pensais de l'appel relayé par un journal honteux qui, après m'avoir traité de voyou, a relayé l'appel des 700 mosquées en faveur de François HOLLANDE, une honte.*

სარკოზი, იმ მიზნით, რომ მოწინააღმდეგეთა არაეფექტურობა და პოლიტიკური ინვალიდობა უფრო დამაჯერებელი გახადოს, მათ სიტყვებს ციტირებს და მათივე ციტატების კრიტიკის საფუძველზე ცდილობს ოპოზიციის მიმართ საზოგადოებაში უარყოფითი დამოკიდებულების გაზრდას. სარკოზი კრიტიკულია მელანშოს მიმართ, რომელიც თვითონვე იყო ერთ-ერთი პრეზიდენტობის კანდიდატი პირველ ტურში, მეორე ტურში კი მემარცხენეების პოზიცია დაიჭირა.

*Le premier tour a été décrit comme une poussée de la gauche extraordinaire, avec un génie, un homme très raisonnable qu'on a envie d'avoir comme voisin, monsieur MELENCHON décrivant Cuba comme une démocratie et Fidel CASTRO comme un démocrate. Ce monsieur qui prétendait être président de la République et qui dit aux Français... vous ici en Auvergne, vous connaissez ça, et qui dit aux Français : si vous croisez un riche, comprenez un homme ou une femme qui gagne plus de 4.000 € par mois, faites-lui les poches, c'est bien pour les enfants de la République d'entendre un candidat à la présidence de la République dire cela ; c'est bien pour des parents qui doivent élever leurs enfants d'entendre un candidat à la présidence de la République dire « faites les poches de celui qui a travaillé et qui a plus que vous », c'est bien, c'est une honte.*

სარკოზი ოლანდის მომხრე სხვა პოლიტიკოსების დისკრედიტაციასაც საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს. განსაკუთრებით იგი აუდიტორიის წინაშე ფრანგი პოლიტიკოსის სტროსკანის სახელის წინა პლანზე წამოწევას ცდილობს. ეს უკანასკნელი არაერთ გახმაურებულ საქმეში იყო ეჭვმიტანილი, მათ შორის ბრალი სექსუალურ

ძალადობაში ედებოდა. სარკოზი იხსენებს ყველა საქმეს, სადაც მისი სახელი ფიგურირებდა.

*Mais mes chers amis, on n'avait rien vu, car aujourd'hui un renfort de poids s'est manifesté en faveur de François HOLLANDE qui a appelé à la rescousse une caution morale de poids, Dominique STRAUSS-KAHN.*

*Quand je pense que pendant tous les épisodes scandaleux, honteux de New York, de Lille, du Carlton, du Pas-de-Calais, ce fut l'honneur de la droite républicaine et du centre de ne pas s'en mêler, de ne pas utiliser, de se boucher le nez, de ne pas commenter, parce que commenter ces indignités c'était en recevoir un peu. Mais qu'en pleine campagne électorale, à une semaine du premier tour, monsieur STRAUSS-KAHN venant donner des leçons de morale et indiquer que je suis le seul responsable de tout ce qui lui est arrivé, trop c'est trop. Quant à monsieur HOLLANDE, qui n'a quand même pas découvert l'existence de monsieur STRAUSS-KAHN depuis 2 jours ; ou à madame AUBRY qui négociait le pacte de Marrakech dans le riad de Marrakech, qui n'a pas découvert l'existence de monsieur STRAUSS-KAHN depuis 2 jours, qu'ils disent ce qu'ils pensent de ce ralliement de poids à la candidature de monsieur HOLLANDE. En ce qui nous concerne, je dis à monsieur STRAUSS-KAHN : expliquez-vous avec la justice et épargnez aux Français vos commentaires.*

სარკოზის სურს მსმენელთა წინაშე მემარცხენეებისგან თავისი თავი უდანაშაულოდ ბრალდადებულად წარმოაჩინოს და ამით ელექტორატის თანაგრძნობა მოიპოვოს. იგი მსმენელს აჩვენებს, რომ ოპოზიცია მას მაქსიმალურად ცუდი რეპუტაციის მქონე ადამიანებს, როგორებიც არიან საფრანგეთის ქვეყნის მოღალატეებად შერაცხული პეტენი, ლავალი, ცნობილი თაღლითი მადოფი, ადარებენ.

*Qu'est -ce que je devrai penser moi quand madame AUBRY me compare à MADOFF, 183 ans de prison, j'attends toujours les excuses de madame AUBRY et de monsieur HOLLANDE. Quand dans une réunion où monsieur HOLLANDE se trouve, l'un de ses partisans me compare à FRANCO, j'attends toujours les excuses de monsieur HOLLANDE. Quand le journal*

*communiste, les communistes qui soutiennent monsieur HOLLANDE, me compare à PETAIN, j'attends toujours les excuses de monsieur HOLLANDE. Quand son ami MELENCHON, parce que vous avez les amis de la dernière minute sont toujours les amis les plus empressés, me compare à LAVAL, dois-je considérer, dois-je attendre longtemps les excuses de monsieur HOLLANDE ? Mais je vais vous dire une chose, ce n'est pas moi qui suis en cause, j'ai l'habitude de leurs injures, c'est tous les Français qui ont voté pour moi au premier tour et qui se sentent insultés par le sectarisme, la haine, le mensonge, la calomnie, l'injure de tous ces donneurs de leçons. C'est vous qu'ils insultent.*

სარკოზი კონკრეტულ ფაქტებს აცნობს ქვეყნის მოსახლეობას, რომლებიც აჩვენებს, რომ ოლანდი პოლიტიკურად პასიური და ინერტულია, მისი პოლიტიკური ხედვები არაა ჩამოყალიბებული. ამით სარკოზი ცდილობს მოსახლეობამ ოლანდისადმი, როგორც სანდო, გამოცდილი პოლიტიკოსისადმი, ნდობა დაკარგოს.

*Figurez-vous que lorsque j'ai proposé ce texte, que des parlementaires ont voté courageusement, le candidat François HOLLANDE n'a pas dit oui, il n'a pas dit non, il n'a pas participé au vote. L'autre jour, à la télévision, j'ai succédé à mon adversaire. Alors j'ai regardé, je me suis dit : Je vais peut-être apprendre quelque chose. A cinq reprises, le journaliste David PUJADAS lui a posé une question : J'ai une question à vous poser, répondez simplement, y a-t-il trop d'étrangers en France, ou pas assez ? Cinq reprises, il a refusé.*

*Dois-je considérer que celui qui prétend vouloir être président de la République n'a donc, à moins d'une semaine, un peu plus d'une semaine, du 6 mai, aucune idée sur ce que devra être la politique migratoire qu'il conduira dans les cinq ans s'il était élu ? Aucune ? Au bout de cinq questions, il a consenti à dire : On va y réfléchir. On va faire une commission !*

ძალიან საინტერესოა სააკაშვილის 2012 წლის დისკურსში მოწინააღმდეგის დისკრედიტაციის სტრატეგია. თუ სარკოზი კონკურენტი პოლიტიკოსის გვარს 2012 წლის დისკურსში აქტუალურად იმეორებს და აკრიტიკებს, სააკაშვილი პირიქით, არჩევნებში მის მთავარ მოწინააღმდეგეს - ივანიშვილს - საერთოდ არ ახსენებს, მაგრამ

ეს არ ნიშნავს, რომ ქართული დისკურსი მოწინააღმდეგის კრიტიკას უმნიშვნელოდ მიიჩნევს, პირიქით, ოპოზიციის კანდიდატის განეიტრალება სააკაშვილის დისკურსის ერთ-ერთ აქტუალურ არგუმენტაციულ სტრატეგიად შეიძლება მივიჩნიოთ. თუმცა, იგი პირდაპირ იშვიათად ასახელებს თავის მოწინააღმდეგეებს. მის დისკურსში მხოლოდ ორჯერ გვხვდება ნეგატიურ კონტექსტში ივანიშვილის მომხრე თამაზაშვილის გვარი.

თუ გსურთ, რომ ეკა ზღულაძე, გიორგი ტულუში, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადვიშვილი ჩაანაცვლოს *ვინმე კრიმინალმა თამაზაშვილმა*, რომელიც კავშირში იყო ბევრ დანაშაულთან, მათ შორის, იმ დანაშაულთან, რომლის ჩადენა ჩვენი დაუდევრობით და ჩვენი უწყებების ცუდი მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი?

ვინ უფრო დაიცავს თქვენს უფლებებს? ტულუში, ზღულაძე თუ თამაზაშვილი?

საკაშვილის მიერ შერჩეული ოპოზიციის დისკრედიტაციის სტრატეგია შემდეგია: ხელისუფლების წინასაარჩევნო კამპანია დიდწილად საზოგადოებისთვის სააკაშვილის მთავარი მოწინააღმდეგის - ივანიშვილის - როგორც პრორუსული ორიენტაციის და რუსეთის ინტერესების გამტარებელ პიროვნებად წარმოჩენას ემსახურებოდა. ასე, რომ, რადგან ოპოზიციის ლიდერი რუსეთთან ასოცირდება, სააკაშვილი თავის დისკურსში მოწინააღმდეგის დისკვალიფიკაციის სტრატეგიას სწორედ რუსეთისადმი მკვეთრი კრიტიკით გამოხატავს, მთელი მისი დისკურსი უშუალოდ რუსეთის დადანაშაულებსკენ, მისი მხილებისკენაა მიმართული. საქართველოს პრეზიდენტი ცდილობს მაქსიმალურად საშიშად წარმოაჩინოს რუსეთიდან მომავალი საფრთხე, მეტაფორებით, არასახარბიელო წარსულიდან სიტუაციების გახსენებით გაუღვივოს მოსახლეობას რუსეთისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, კოკრეტულად ივანიშვილს კი იგი არც ერთხელ არ ეხება. სააკაშვილი ამ სტრატეგიას იმ მიზეზით ირჩევს, რომ ქართულ საზოგადოებაში ივანიშვილის პიროვნება არა ერთ ქველმოქმედებასთან ასოცირდება, რის გამოც მისი კონკრეტული გვარის უარყოფით კონტექსტში მოხსენიება არა ერთ ქართველში აგრესიას გამოიწვევს. ამიტომ, სააკაშვილს ურჩევნია მაქსიმალურად ნეგატიურად

წარმოაჩინოს რუსეთი, მისკენ გადაიტანოს მთელი კრიტიკა, რაც იმპლიციტურად ივანიშვილის კრიტიკას ნიშნავს, ოღონდ იმგვარად, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის გაღიზიანება არ გამოიწვიოს. ამდენად, სააკაშვილი ექსპლიციტურად რუსეთს აკრიტიკებს, რაც იმპლიციტურად ივანიშვილის განეიტრალებას ემსახურება.

*ჩვენ ძალიან კარგად ვიცით რა ხდება, არც ერთი არ ვართ ბრმა და კარგად ვიცით, რომ ძალიან დიდი რაოდენობის რუსული ფული იხარჯება ამისთვის, რუსული მეთოდებს იყენებენ, კომპრომატების ომითაა შემოსული საქართველოში.*

*აწარმოებს კლასიკურ რუსულ კამპანიას საქართველოს წარსულში დასაბრუნებლად, საქართველოს დასაბრუნებლად რუსეთის იმპერიულ სივრცეში.*

*იმ პირობებში, როდესაც შემოსულია რუსული ფული, რუსული კომპრომატების ომი, რუსული მეთოდები, რუსეთის არმია აურაცხელი რაოდენობით დგას ჩვენს საზღვრებთან და ატარებს ძალიან საშიშ მანევრებს; იმ პირობებში, როდესაც ჩვენი ტერიტორიის ოკუპანტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, 2008 წელს ვერდამთავრებული საქმის ბოლომდე მიყვანა, რა თქმა უნდა, სურს ამ არჩევნების გამოყენება. მაგრამ, ნურას უკაცრავად, აგრძელებდნენ, უკვეთავდნენ, ამთავრებდნენ და ინახავდნენ არჩევნების პერიოდისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობას არჩევნების წინ ეფიქრა არა იმაზე, რომ საყოველთაო ჯანდაცვა უნდა ჰქონდეს ხალხს, არა იმაზე, რომ უმუშევრობა უნდა დავძლიოთ, არა იმაზე, რომ ჩვენ შვილებს მომავალი შვუქმნათ, არა იმაზე, რომ კრიმინალური და კანონიერი ქურდები არასდროს არ დაბრუნდნენ და არა თუნდაც იმაზე, თუ რა შეიცვალა საქართველოში უკეთესობისკენ, არამედ შოკის ქვეშ მიეღოთ იმპულსური გადაწყვეტილება, რათა საბოლოოდ გაუხსნან ხელი მას, ვისაც საქართველოს წარსულში დაბრუნება უნდა.*

*ის, ვინც კომპრომატების რუსულ ომს აწარმოებს, არ შეიძლება საქართველოს საზოგადოების ყურადღება გადაიტანოს იმ მთავარ თემებიდან, რომლებიც ჩვენ გვაწუხებს.*

ძალიან კარგად ვიცი, რომ *ორგანიზებული დანაშაული საქართველოს წარსულში დაბრუნებას ცდილობს.*

*საქართველოს თავს ვერასდროს მოახვევენ კორუფციას, ჩაგვრას, უსამართლობას, უთანასწორობას სოციალურს, თანამდებობრივს თუ რეგიონალურს - ვერასდროს ვერ მოახვევენ თავს იმას, რისგანაც ჩვენ გავრბივართ.*

*მათ უნდათ, რომ ამ არჩევნებმა საქართველო დააბრუნოს იქ, მოუსვლელში, საიდანაც ჩვენ ყველანი ვცდილობთ გაქცევას.*

გავაკეთებთ ასევე ყველაფერს იმისთვის, რომ *ჩვენს ხალხს სრული ინფორმაცია ჰქონდეს იმის თაობაზე, თუ რა შეთქმულებებს აწყობდნენ და რა მეთოდებით აპირებენ საქართველოს რელსებიდან გადაყვანას და ისევ ჩიხში შეყვანას.*

ქართველი ერი, აუცილებლად, წავა წინ და *ბნელეთის ძალები ერთხელ და სამუდამოდ ჩამოგვშორდებიან, რადგან ეს არ არის მათი ადგილი, მათი იდეების ადგილი, მათი მსოფლმხედველობის ადგილი, მათი პრაქტიკის ადგილი...*

ამდენად, 2012 წლის როგორც ფრანგულ, ასევე ქართულ დისკურსებში ოპოზიციის კრიტიკას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. სარკოზი თავის არგუმენტაციულ სტრატეგიას ექსპლიციტურად მისი კონკურენტის წინააღმდეგ მიმართავს, მაშინ როცა სააკაშვილის დისკურსში უმწვავესი კრიტიკა ოპოზიციისადმი ირიბი ფორმით ხორციელდება.

ოლანდის 2012 წლის დისკურსში მოწინააღმდეგის კრიტიკას საკმაოდ დიდი ყურადღება აქვს დათმობილი. აღსანიშნავია, რომ სარკოზისგან განსხვავებით, იგი მოწინააღმდეგის გვარს უშუალოდ არც ერთხელ არ ახსენებს, არამედ მას ყოველთვის მოიხსენიებს, როგორც *le candidat sortant*. ოლანდი თავის კონკურენტს დაპირებების შეუსრულებლობაში, სიმართლის უპატივცემულობაში ადანაშაულებს. ქვეყნის პრეზიდენტის მიმართ თავისი ბრალდებების უტყუარობის დასამტკიცებლად, იგი უმუშევრობასთან დაკავშირებით კონკრეტულ ციფრობრივ მონაცემებს იშველიებს.

ოლანდი აგრეთვე, მოწინააღმდეგეს მის მიმართ არასწორი განცხადებების გაკეთებაში ადანაშაულებს.

*Ne comptez pas sur moi pour dévier de ma route, pour succomber à la complaisance – je laisse ça au candidat sortant qui s’est lancé dans une fuite en avant, une course folle – je ne sais où elle le conduira.*

Je sais que notre pays a été abîmé, économiquement, socialement, moralement. *Je vois bien ce que fait le candidat sortant avec l’usage des peurs.*

*Le candidat sortant — j’allais dire je le comprends, je ne l’excuse pas — veut tellement esquiver son bilan qu’il est amené, forcément, à se mettre sur d’autres terrains. Son bilan ne peut pas parler pour lui, alors il n’en parle pas, et notamment sur le chômage. Il avait promis — il en a tant dit — que le chômage devrait être ramené à 5 % de la population active, qu’il serait jugé sur ce résultat. Eh bien c’est venu, ça arrive, ça vient ! Le chômage est à 10 % de la population active, 23 % pour les jeunes, 35 % dans un certain nombre de quartiers, 40 % en Outremer ! Voilà le bilan !*

*Le candidat sortant a pu dire que j’avais été un candidat appelé par 700 mosquées. Le Conseil du culte musulman a lui-même établi la vérité : aucun appel n’a été lancé. Mais pourquoi répète-t-il à longueur de réunions que je serais toujours un candidat appelé par 700 mosquées ? Quitte à proférer un mensonge, il aurait pu dire par 700 temples ou 700 églises, ou 700 synagogues ! Non, 700 mosquées ! Que voulait-il insinuer ? De la même manière qu’il répète, là encore — peut-être à l’instant où je m’exprime, je ne peux pas l’écouter, vous non plus, ce n’est pas grave, il répète toujours la même chose !*

*Mais quand on est président de la République encore pour sept jours — sept jours ! -, le premier devoir, c’est de respecter la vérité.*

*La campagne du candidat sortant, finalement, est le reflet de ce qu’il a été comme président.*



*J'entends le candidat sortant nous dire que pour le RSA, il a trouvé une idée : faire travailler sept heures par semaine les bénéficiaires du RSA. Mais il ne s'agit pas de les faire travailler sept heures, il s'agit de les reconduire vers l'emploi, vers la dignité du travail, vers la réinsertion !*

ივანიშვილი 2012 წლის დისკურსში მოქმედი პრეზიდენტის მიმართ ძალიან ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ოპოზიციის დისკვალიფიკაცია მისი დისკურსის ერთ-ერთი საყრდენი არგუმენტაციული სტრატეგიაა. იგი, როგორც სააკაშვილის გუნდს, ასევე უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტს საკმაოდ მწვავედ აკრიტიკებს. სააკაშვილი კი იგივე წინასაარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმულ დისკურსში, როგორც ვნახეთ, კონკრეტულად მოწინააღმდეგის ხსენებას საერთოდ გვერდს უვლის.

ივანიშვილი ხელისუფლების მდგომარეობას ახასიათებს როგორც შეშინებულები, შეშფოთებულები, მათ არაერთ უმძიმეს და სასტიკ დანაშაულში სდებს ბრალს. ხელისუფლებაში მყოფ გუნდს ოპოზიციის ლიდერი ადამიანთა ცემაში, წამებაში, შეურაცხყოფაში, ძალადობაში, სიცოცხლის ხელყოფაში, საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის ურთიერთდაპირისპირების მცდელობაში, არჩევნების გაყალბების სურვილში, უკანონო დაპატიმრებაში, მოქალაქეების დამონებაში ადანაშაულებს. ჩვენ პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების ანალიზისას მოვიყვანეთ მაგალითი, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული მმართველი გუნდის მიერ ჩადენილი შეცდომები. ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფ და მათი დანაშაულებრივი ბრძანებების განმხორციელებელ ძალოვან ნაწილებს ივანიშვილი ჯალათებად, მოძალადე რაზმებად მოიხსენიებს.

*საკაშვილიც შეშფოთებულია, მაგრამ ის მხოლოდ იმიტომაც შეშფოთებული, რომ ამ ინფორმაციამ გაჟონა.*

*თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ მეტი საშინელება არა აქვთ ჩადენილი? ხალხო, ჩვენ რაც ვნახეთ, მხოლოდ მცირე ნაწილია მათი ურიცხვი უმძიმესი დანაშაულისა.*

ამის შემდეგ კიდევ მოუძებნიან მომხრეები გამართლებას სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას?!

ამათი ხელისუფლების რომელი წევრი არაა გასვრილი უბინძურეს დანაშაულში? ვინმეს ხომ არ ჰგონია, დეპუტატი ნაციონალები არ მონაწილეობენ ყველა ამ სიმხეცეში?

სამაგიეროდ, ყველა ხერხით აყალბებდნენ ყველა არჩევნებს თავის სასარგებლოდ და ამით გზას უხსნიდნენ ჯალათებს ადამიანების საწამებლად.

ესენი წლების განმავლობაში სწორედ ამ სისტემას აშენებდნენ, აშენებდნენ შეგნებულად, რადგან მარტო დაუნდობლობასა და ძალადობას შეეძლო მათთვის უსაზღვრო ძალაუფლებისა და კეთილდღეობის მოტანა.

ბოლო დროს ზოგი პატიმარი გაათავისუფლეს, რათა არჩევნების გაყალბებაში გამოიყენონ, მაგრამ განა მათ არ ესმით, რომ სააკაშვილის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, პირველ რიგში, მათი ღალატია, ვინც პატიმრობაში დარჩა და ციხეებში იტანჯება. ადამიანებო, ნუ მოემსახურებით ნაციონალურ მოძრაობას და ახალაიების კლანს, თქვენ არაფრით არ ხართ მათგან დავალებული!

ნათლად ვხედავთ სააკაშვილის ბოროტ განზრახვას, რომ ძალაუფლების შესანარჩუნებლად როგორმე ორად გაყოს ხალხი და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდოს ერთმანეთს ადამიანები, თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები.

როგორც ზედმეტ ბარგს, ისე ეპყრობა სააკაშვილი ვეტერანებს. ხოლო როდესაც ვეტერანები თავიანთი უფლებების დაცვას ხმამაღლა ცდილობენ, მათ საქვეყნოდ სცემენ და შეურაცხყოფენ სააკაშვილის ხელქვეითი ჯალათები.

ივანიშვილი, ხელისუფლების უმწვავესი კრიტიკის პარალელურად, მოსახლეობას პირდება, რომ მისი გუნდი მსგავს საქციელს არასოდეს ჩაიდენს.

*ჩვენი გუნდი არასოდეს დაუშვებს პროვოკაციებს და არ გამოიყენებს გალის მოსახლეობას აფხაზეთის წინააღმდეგ, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებდა.*

*სწორედ სამოქალაქო დაპირისპირების გაჩაღებას ცდილობს ახლა სააკაშვილი. მაგრამ არაფერი გამოუვა. ჯერ კიდევ როდის შეარქვა ხალხმა სააკაშვილის დავალებით მოქმედ მოძალადე რაზმებს „ზონდერბრიგადები“ - ფაშისტური გერმანიის სადამსჯელო რაზმების სახელი. ჩვენ ბოლოს მოვუღებთ ამ ბრიგადების პარპაშს კანონის ძალით.*

ქართული პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერი იქედან გამომდინარე, რომ დემოკრატიული დასავლეთი ქართველი მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორიტეტი და მოდელია, სწორედ მათ თვალში სააკაშვილის ნდობის დაკარგვას უსვამს ხაზს.

იმისათვის, რომ ადამიანებს დასაჭერად საბაზი გამოუნახონ, ნარკოტიკს უგდებენ უტიფრად ან რაიმე სხვა შარს მოსდებენ ხოლმე, რადგან არ აწყობთ ჰყავდეთ პოლიტიკური პატიმრები დასავლეთის დასანახად. *ესენი ხომ დემოკრატიზაციას თამაშობენ, მაგრამ მათი უკვე აღარც დასავლეთს სჯერა.*

*ახლა მაინც ხომ საბოლოოდ დაინახავს დემოკრატიული დასავლეთი, თუ რას წარმოადგენს სააკაშვილი, აქაური „დემოკრატიის შუქურა“.*

როგორც ვხედავთ, 2012 წლის ფრანგულ და ქართულ დისკურსებში მოწინააღმდეგის განეიტრალებას ორივეენოვანი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ყურადღებით ეკიდება. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი პოლიტიკოსის მიერ წაყენებულ ბრალდებებთან შედარებით, ოლანდის ბრალდებები ოპონენტი პოლიტიკოსისადმი ბევრად ნაკლებად სასტიკია.

ამდენად, მოწინააღმდეგის დისკვალიფიკაციის სტრატეგიასთან დაკავშირებით ქართული და ფრანგული პოლიტიკური დისკურსების ანალიზის შედეგად შეგვიძლია

დავასკვნათ, რომ იგი ორივეენოვან დისკურსში მნიშვნელოვან არგუმენტაციულ სტრატეგიად ყალიბდება. გამოკვეთილი განსხვავება, რაც თვალსაჩინოდ ავლენს ფრანგული და ქართული სოციო-კულტურული გარემოს გავლენას არგუმენტაციული დისკურსის აღნიშნულ სტრატეგიაზე, მდგომარეობს იმაში, რომ ფრანგი პოლიტიკოსების დამოკიდებულება და მიდგომა ოპოზიციისადმი ბევრად უფრო გაწონასწორებულია, მისი განეიტრალება ხდება მსუბუქი ბრალდებების ფონზე, ძირითადად ეს არის მოვალეობებზე თავის არიდება, არაკომპეტენტურობა, დაპირებების შეუსრულებლობა, ერთმანეთის მიმართ უსაფუძვლო ბრალდებების წაყენება, სიმართლის უპატივცემულობა, მაშინ, როცა ქართულ დისკურსში ოპოზიციის საპირისპიროდ უმწვავესი ბრალდებები და მუქარები ისმის. ირიბად თუ პირდაპირ ქართველი პოლიტიკოსები ერთმანეთს ისეთი ტიპის ბრალდებებს უყენებენ, როგორებიცაა, სისხლის სამართლის დანაშაულებები, ძალადობა, დაჩაგვრა, სამშობლოს მტრისადმი დამონებაში ხელისშეწყობა და ა. შ. ფრანგული საზოგადოების წინაშე ასეთი ბრალდებების შემდეგ ნაკლებად სავარაუდოა, რომ პოლიტიკოსი კანდიდატად დარჩეს.

### ***3.7 სხვადასხვა ორიენტაციის მქონე აუდიტორიაზე გამიზნული სტრატეგია***

სხვადასხვა ორიენტაციის მქონე აუდიტორიაზე გამიზნული სტრატეგიების მხრივ ფრანგული და ქართული დისკურსები ერთმანეთისგან განსხვავდება. როგორც

პერელმანი აღნიშნავს, „ხშირად ორატორს უხდება ისეთი არაერთგვაროვანი აუდიტორიის დარწმუნება, რომელიც აერთიანებს ხასიათით, ფუნქციით, მისწრაფებებით განსხვავებულ ადამიანებს. მან უნდა გამოიყენოს მრავალი არგუმენტი იმისთვის, რომ გადმოიბიროს ერთმანეთისგან განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანები. სწორედ ეს არის თავის არგუმენტაციაში ასეთი არაერთგვაროვანი აუდიტორიის გათვალისწინების ხელოვნება, რომელიც დიდ ორატორს ახასიათებს“ (პერელმანი 2008, 28).

სარკოზის 2007 წლის დისკურსი იმგვარადაა აგებული, რომ იგი მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი ოდენობისთვის იყოს მისაღები და მოსაწონი. იგი თავის დისკურსში ნებისმიერი პოლიტიკური ინტერესების მქონე ინდივიდებთან ადაპტაციას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს. ფრანგი კანდიდატი ცდილობს წაშალოს იდეოლოგიური ზღვარი მოწინააღმდეგე პარტიებთან და დაარწმუნოს სხვა პოლიტიკურ ძალათა მომხრეები, რომ მათ საერთო ღირებულებები აქვთ. ამით იგი სხვა კანდიდატთა თავის მხარეზე გადმოიბირებას ცდილობს.

*Ma France, c'est celle de tous ces Français qui ne savent pas très bien au fond s'ils sont de droite, de gauche ou du centre parce qu'ils sont avant tout de bonne volonté. Je veux leur dire par-delà les engagements partisans que j'ai besoin d'eux pour que tout devienne possible.*

*Mais au-delà de la droite et de la gauche, il y a la République qui doit être irréprochable parce qu'elle est le bien de tous. Il y a l'État qui doit être impartial. Il y a la France qui est une destinée commune.*

*Bien sûr il y a la droite et il y a la gauche. Mes valeurs sont les vôtres, celles de la droite républicaine. Ce sont des valeurs d'équité, d'ordre, de mérite, de travail, de responsabilité. Ma France, c'est celle de tous les Français sans exception.*

*Je demande à vous tous de comprendre que je ne serai pas que le candidat de l'UMP, qu'au moment même où vous m'avez choisi je dois me tourner vers tous les Français, quels que*

*soient leur parcours, qu'ils soient de droite ou de gauche, de métropole ou d'Outre Mer, qu'ils vivent en France ou à l'étranger, que la France les ait ou non déçu pourvu qu'il l'aiment. Que je dois les rassembler, que je dois les convaincre qu'ensemble tout deviendra possible!*

სარკოზი ითვალისწინებს რა რელიგიური თვალსაზრისით ფრანგი ელექტორატის სიჭრელეს, ცდილობს ყველანაირი მრწამსის მქონე თუ ათეისტ ამომრჩეველთან მოახდინოს ადაპტაცია. იგი ცალსახად მიუთითებს, რომ რელიგიური ნიშნის მიხედვით ადამიანები თანასწორები არიან და, რომ იგი ნებისმიერი მრწამსის წარმომადგენელს პატივს ცემს.

*Opposer ce sentiment religieux à la morale laïque serait absurde. Nous sommes les héritiers de deux mille ans de chrétienté et d'un patrimoine de valeurs spirituelles que la morale laïque a incorporé. La laïcité à laquelle je crois, ce n'est pas le combat contre la religion. C'est le respect de toutes les religions.*

საკავშილის 2007 წლის დისკურსში სხვადასხვა ორიენტაციის მქონე პუბლიკაზე გამიზნული სტრატეგია მთელი ქვეყნის მასშტაბის მქონე მოსახლეობასთან მიმართებაში შემდეგია: იგი, ერთი მხრივ, აკრიტიკებს ოპოზიციას, მეორე მხრივ, კი დანარჩენ ელექტორატთან, როგორც ერთ მთლიანობასთან ისე ცდილობს ადაპტაციას. მის დისკურსში, სარკოზის სტრატეგიისგან განსხვავებით, მოსახლეობა ცალკეული ინტერესების სფეროების მიხედვით არ არის დანაწევრებული. იქედან გამომდინარე, რომ ქართველ ამომრჩეველთა უმრავლესობას ერთმორწმუნე მართლმადიდებლები შეადგენს, სააკაშვილი არც ამ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას და რელიგიასთან დაკავშირებით თავის დისკურსში არ საუბრობს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ქვეყანაა.

*მთელ მსოფლიოს დავანახოთ, რომ ქართველი ხალხი არის ერთიანი, ქართველ ხალხს უნდა მომავალი და ექნება აუცილებლად მომავალი, მიუხედავად ყველანაირი ხრიკებისა და ყველანაირი არევის მცდელობებისა.*

ამდენად, სხვადასხვა ორიენტაციის მქონე აუდიტორიაზე გამიზნული სტრატეგია მნიშვნელოვან ადგილს სარკოზის დისკურსში იკავებს, მისი არგუმენტაცია მიმართულია პოლიტიკური თუ რელიგიური ხედვების მიხედვით განსხვავებული შეხედულებების მქონე ჯგუფებისაკენ, სააკაშვილი კი ელექტორატს მის ცალკეულ განსხვავებულ ნაწილებთან ადაპტაციის მიზნით არ ანაწევრებს.

2012 წლის დისკურსშიც სარკოზისთვის ძალიან აქტუალურია სხვადასხვა ორიენტაციის მქონე აუდიტორიაზე გამიზნული სტრატეგია. ფრანგი პოლიტიკოსი ცალსახად ცდილობს განსხვავებული რელიგიური მრწამსის, განსხვავებული პოლიტიკური ხედვების ამომრჩეველთან ადაპტაციას, ცდილობს მათ დაუმტკიცოს, რომ მიუხედავად ამა თუ იმ განსხვავებებისა, ყველას საერთო ფასეულობები აერთიანებთ.

*Je parle à tous les Français, quels que furent leurs choix, qui que vous soyez, où vous habitez, le choix que vous avez à faire le 6 mai est historique.*

*J'ai parlé des racines chrétiennes de la France, mais je veux dire aussi que dans les 5 années qui viendront, la France sera au côté des chrétiens d'Orient qui sont en Orient depuis des siècles et qui doivent être respectés aussi.*

*Et nous ne voulons pas d'une table où il y aurait les petits musulmans, d'une autre où il y aurait les petits juifs, d'une autre où il y aurait les petits chrétiens, ce sont les enfants de la République qui déjeunent à la même table avec le même menu. Voilà ce que nous souhaitons.*

*Moi, quand j'ai eu l'honneur de parler, Place de la Concorde, devant 120.000 personnes, c'est peut-être le seul pays, la France, où on peut parler devant 100.000 personnes et citer PEGUY, et citer Victor HUGO, et citer les grands auteurs ! Et tout d'un coup, on se sent en communion avec ceux qui vous écoutent, parce qu'on se sent les héritiers d'un même patrimoine : le patrimoine national français !*

*Et enfin, je terminerai par là, mes chers amis, il y a bien sûr vous qui êtes là, et puis il y a vos familles, vos amis. Je veux m'adresser, pour terminer, à ceux pour qui j'ai commencé, à ceux qui n'ont pas voté pour moi – et c'était leur droit – au premier tour.*

Je suis venu sans discours, parce que je suis venu vous parler, je suis venu pour partager avec vous les valeurs qui sont les nôtres.

სააკაშვილს 2012 წლის დისკურსშიც სარკოზისგან განსხვავებული სტრატეგია აქვს მსმენელის ადაპტაციასთან დაკავშირებით შერჩეული. იგი პოლიტიკური ხედვების, რელიგიის, პროფესიის თუ სხვა განმასხვავებელი ნიშნის მიხედვით ელექტორატს არც ამჯერად აკონკრეტებს. იგი ამჯერადაც მოსახლეობას, როგორც ერთ ერთეულს, ისე აღიქვამს და მასთან ადაპტაციას ამგვარად ცდილობს.

მაგალითები სააკაშვილის დისკურსიდან:

*ეს არის შენობა, რომელიც მთლიანად ეკუთვნის და გათვლილია არა მთავრობის მომსახურებასა და კომფორტზე, არამედ თავიდან ბოლომდე ეკუთვნის საქართველოს რიგით მოქალაქეებს, ჩვენი საზოგადოების თითოეულ წევრს.*

*ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრისთვის ცხოვრება იქნება ისეთივე კომფორტული, როგორცაა ეს იუსტიციის სახლი, რომელიც ყველამ ერთად გავხსენით. ყველაფერი არის ხალხი!*

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ორიენტაციის მქონე აუდიტორიაზე გათვლილი სტრატეგია სარკოზის დისკურსში მნიშვნელოვან არგუმენტაციულ სტრატეგიას წარმოადგენს, ხოლო სააკაშვილი მას შედარებით არაპრიორიტეტულად მიიჩნევს.

რაც შეეხება ოლანდის 2012 წლის დისკურსს, იგი იზიარებს მისი თანამემამულის - სარკოზის - სტრატეგიას და მრავალფეროვანი აუდიტორიის დასარწმუნებლად სხვადასხვა ორიენტაციის ელექტორატთან ცალ-ცალკე ადაპტაციას დიდ ყურადღებას უთმობს. მის დისკურსში სხვადასხვა ორიენტაციის ამომრჩეველზე გათვლილი სტრატეგია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტაციული სტრატეგიაა. ფრანგი



კანდიდატი პოლიტიკური თუ რელიგიური ორიენტაციის, ეროვნული წარმომავლობის მიხედვით მოსახლეობის განსხვავებულ ნაწილებს გამოყოფს და თავის არგუმენტაციულ სტრატეგიას თითოეული მათგანის დასარწმუნებლად აქტიურად მიმართავს.

*Et quand je vois les citoyens rassemblés comme ici, je ne juge pas leur apparence, je ne devine pas leur religion, je ne vois que des citoyens d'appartenance à la République !*

*Je n'accepte pas que les religions soient instrumentalisées dans le débat public. Je ne juge pas les religions. Je n'établis pas de hiérarchie entre elles. Je demande simplement le respect scrupuleux des principes de laïcité pour toutes les religions dans la République.*

*Je parle à tous les électeurs – oui à tous les électeurs ! Je comprends la souffrance de beaucoup et je peux répondre à leurs cris d'alerte. Oui, je veux reconquérir les hommes et les femmes en colère, et qui parfois s'abandonnent.*

*Les mêmes devoirs, les libertés de culte, mais le respect de l'espace public et de la dignité humaine, de l'égalité entre les femmes et les hommes, voilà les principes qui nous unissent ! Je ne montre aucune religion du doigt. Je considère simplement que chaque religion peut avoir sa place, peut avoir sa propre organisation, mais dans le cadre des lois de la République.*

*Quand la Gauche est capable de se hisser à la hauteur de la France, alors elle est appelée par nos concitoyens à agir en son nom. Nous sommes la Gauche, mais aujourd'hui je suis la Gauche qui doit rencontrer la France tout entière.*

*Et la victoire que j'attends, que j'espère, qui est là, qui dans une semaine sera prononcée, je veux qu'elle soit un bonheur pour chacun.*

ივანიშვილი 2012 წლის დისკურსში სხვადასხვა ორიენტაციაზე გამიზნულ სტრატეგიას ინტენსიურად მიმართავს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რელიგიური თვალსაზრისით სხვადასხვა ორიენტაციის მქონე ელექტორატის გამოყოფა ჩვენ მიერ განხილული ივანიშვილის დისკურსშიც არ ფიქსირდება. პოლიტიკოსი აქცენტს საქართველოში მცხოვრებ ეროვნული ნიშნის მიხედვით განსხვავებულ მოსახლეობასა და ასევე, სხვადასხვა პროფესიისა თუ სოციალური ჯგუფის მქონე ადამიანებზე აკეთებს.

ჩვენ იმედს არ გავუცრუებთ არც ქართველს, არც აფხაზს, არც ოსს, არც ერთი ეროვნების ხალხს, რომელიც საქართველოში ცხოვრობს. ჩვენ უკომპრომისოდ ვიბრძობებით მათ წინააღმდეგ, ვინც სიძულვილს, შურსა და ღვარძლს აღვივებდა და აღვივებს ხალხებს შორის.

ქართველები, ოსები, აფხაზები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, სომხები, ქისტები, რუსები, ბერძნები და სხვები, ყველანი ერთად ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, რომელიც სამშობლო იქნება ყველასთვის!

დევნილ მოქალაქეებზე, ომების ვეტერანებსა და დაღუპულთა ოჯახებზე ზრუნვა, მათთვის განსაკუთრებული შეღავათების დაწესება სახელმწიფოს კეთილ ნებაზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ ეს მისი ელემენტარული ვალდებულება უნდა იყოს.

ხელისუფლება თავად უნდა ემსახუროს თავის თავდადებულ ჯარისკაცებსა და მათ ოჯახებს. და ეს ასეც იქნება, როცა ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში.

როგორც ვხედავთ, ოლანდი, სარკოზის მსგავსად, განსხვავებული პოლიტიკური, რელიგიური წარმომავლობის მქონე ამომრჩეველთა მისამხრობად საფუძვლიანად მუშაობს, მაშინ როცა, ივანიშვილი დისკურსში სარწმუნოების მრავალფეროვნების საკითხს არ ეხება.

მაშასადამე, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სხვადასხვა ორიენტაციის მქონე აუდიტორიაზე გამიზნული არგუმენტაციული სტრატეგია ერთ-ერთი საბაზისოა ფრანგულენოვან დისკურსში. ფრანგი პოლიტიკოსებისთვის მსმენელთა დარწმუნების მიზნით თავიანთ დისკურსებში მნიშვნელოვანია რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური ხედვის ნიშნით განსხვავებული ელექტორატის გათვალისწინება. რაც შეეხება, ქართველ პოლიტიკოსებს, ისინი, ძირითადად, ამომრჩეველს, როგორც ერთ მთლიანს, ისე მიიჩნევენ. მხოლოდ ივანიშვილი გამოყოფს თავის დისკურსში სხვადასხვა ორიენტაციის მქონე ელექტორატის ცალკეულ ჯგუფებს, ხოლო რელიგიური თვალსაზრისით მოსახლეობის განსხვავებულობას თავის დისკურსში არც ერთი ქართველი პოლიტიკოსი არ ეხება. აღნიშნული სტრატეგიის განსხვავებული მნიშვნელობა და დანიშნულება ფარნგულ და ქართულ დისკურსებში, ჩვენი აზრით,

განპირობებულია იმითაც, რომ საფრანგეთი საქართველოს მოსახლეობას რაოდენობის მხრივ, დაახლოებით, 13-ჯერ ჭარბობს. ამასთანავე, საფრანგეთი იმიგრაციის სერიოზული პრობლემის წინაშე დგას. ამდენად, ამომრჩევლის მრავალფეროვნების საკითხი განვითარებულ ქვეყანაში ბევრად უფრო აქტუალურია, ვიდრე საქართველოში. ამასთანავე, რელიგიის თემას ძალიან ფრთხილად ეპყრობიან ქართველი პოლიტიკოსები, იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ორთოდოქსი ქრისტიანები შეადგენს. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანებთან ერთად ჰარმონიულად ცხოვრობს სხვა რელიგიური უმცირესობებიც, რისი ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ თბილისში მართლმადიდებლური, ერთ-ერთი უძველესი ტაძრის, სიონისგან რამდენიმე მეტრის მოშორებით სინაგოგა ფუნქციონირებს.

### **3.8. დასკვნა**

ამდენად, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე ვასკვნით:

- ფასეულობები, რომლებიც აქტუალობით ფრანგულ დისკურსში გამოირჩევა, ქართული დისკურსისგან განსხვავებით, არის დასაქმება, საკუთრება, ადამიანის უფლებები. ამასთანავე, საფრანგეთის ლოზუნგის ფასეულობები: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა. ქართულ დისკურსში ფრანგულისგან განსხვავებით, ხშირად შეგვხვდა ფასეულობები: გამჭირვალე არჩევნები, უსაფრთხოება, წესრიგი, დემოკრატია. გამოვლენილი არგუმენტაციული ტექნიკის თავისებურების მიზეზი არის სწორედ ის, რომ ფრანგი პოლიტიკოსები ფასეულობებით დღეს აქცენტს საფრანგეთის მთავარ გამოწვევებზე აკეთებენ, ხოლო ქართველი პოლიტიკოსები საქართველოსთვის პრიორიტეტულ ფასეულობებს წამოწევენ წინა პლანზე, რაც ორ ქვეყანას შორის არსებულ განსხვავებულ სოციო-კულტურულ გარემოზე მიუთითებს.

- ფრანგი და ქართველი პოლიტიკოსების დისკურსებს შორის პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენების მხრივ გამოვლინდა შემდეგი განსხვავებები: ფრანგულ დისკურსში, ქართული დისკურსისგან განსხვავებით, აღნიშნული არგუმენტაციული ტექნიკით მსმენელის ყურადღების მიმართვა აბსტრაქტული ფასეულობებისადმი ხდება, ამასთანავე, იგი ფრანგულ დისკურსში ძალიან დიდი ინტენსივობით გამოიყენება. ქართულ დისკურსში პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების აღნიშნული დანიშნულებით და რაოდენობით გამოყენება იმ მიზეზით არ ფიქსირდება, რომ დღეს ქართველი ამომრჩეველი, რომელსაც აწუხებს ძალიან ბევრი სოციო-ეკონომიკური პრობლემა, პოლიტიკური ძალისგან ელოდება კონკრეტულ შემოთავაზებებს კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად, რის გადმოსაცემადაც მთლიანი დისკურსის პარალელური სინტაქსური კონსტრუქციებით აგება და აბსტრაქტულ ფასეულობებზე აქცენტირება არაეფექტური იქნება.
- ავტორიტეტის არგუმენტთან დაკავშირებით, ფრანგულ დისკურსში ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორიტეტები ცნობილი ფრანგი პიროვნებებია, ქართულ დისკურსში კი ცნობილ ქართველებთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა განვითარებული, დემოკრატიული სტრუქტურების ავტორიტეტებად მოშველიებას ენიჭება. ამასთანავე, თუ ქართულ დისკურსში დემოკრატიული ევროპა საოცნებო მიზანს წარმოადგენს, ფრანგულ დისკურსში საფრანგეთი ევროზონის ერთ-ერთ ლიდერ და გადაწყვეტილებების მიმღებ ქვეყნად წარმოჩინდება. სწორედ, დემოკრატიული განვითარების განსხვავებული დონის გავლენით ფრანგ პოლიტიკოსს, როგორც განვითარებული ქვეყნის წარმომადგენელს, შეუძლია ავტორიტეტის არგუმენტში ძირითადად ან მხოლოდ ფრანგი პიროვნებებით შემოიფარგლოს, ქართველ პოლიტიკოსს კი, როგორც განვითარებადი ქვეყნის წარმომადგენელს, აუცილებლად ჭირდება დემოკრატიული სამყაროს მიმართ თავისი დამოკიდებულების დამოწმება.
- პიროვნების წარმოჩენის მთავარ სტრატეგიად ფრანგულ დისკურსში მხოლოდითი რიცხვის დეიქტიკი *მე*, ხოლო ქართულ დისკურსში მრავლობითი რიცხვის

დეიქტიკი ჩვენ გამოვლინდა. ფრანგული დისკურსისთვის დამახასიათებელი ტექნიკა, რითაც მსმენელთა წინაშე საკუთარი პიროვნების წინა პლანზე წამოწევა ხდება, ასეთი დიდი დოზით არაეფექტური იქნება ქართველი აუდიტორიის წინაშე იმის გამო, რომ ქართველების ეთნო-კულტურის მახასიათებელი ერთ-ერთი გამოკვეთილი თვისება სწორედ ინდივიდუალური სიამაყის გამდაფრებული შეგრძნებაა, ფრანგებს კი უფრო ეროვნული სიამაყე ახასიათებთ, სიამაყის შეგრძნება იმით, რომ ფრანგები არიან.

ამასთანავე, ჩვენ-ის რეფერენტს, უმთავრესად, ფრანგულ დისკურსში მთელი ქვეყნის მოსახლეობა, ხოლო ქართულ დისკურსში პოლიტიკოსის გუნდი წარმოადგენს. ფრანგულ დისკურსში გამოვლენილი სტრატეგია მთლიანი ერის საერთო ფასეულობათა ირგვლივ გაერთიანებას, ერის ერთ მთლიანობად აღქმას ემსახურება. საქართველოში კი მოსახლეობა პოლიტიკური პარტიებისადმი უნდობლობით არის განწყობილი, ამიტომ, ქართველი პოლიტიკოსები საკუთარი პოლიტიკური ძალის მიმართ ნდობის მოპოვების მიზნით ამომრჩეველთან თავიანთი გუნდის სახელით საუბარს ამჯობინებენ.

- ფრანგული დისკურსისგან განსხვავებით, ქართულ დისკურსში გამოყენებული მეტაფორების დახმარებით ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია მაქსიმალურად მძიმედ, დრამატულად, სახიფათოდ წარმოჩინდება. ამის მიზეზი ის არის, რომ საქართველო მასშტაბით პატარა, მაგრამ გეო-პოლიტიკურად მნიშვნელოვანი კავკასიური ქვეყანაა, რომელმაც დაახლოებით 20 წლის წინ აღიდგინა დამოუკიდებლობა, დაახლოებით 5 წლის წინ კი შეიარაღებულ ომში რუსეთის პირისპირ აღმოჩნდა. ამდენად, დღესაც არ არის დაცული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პოლიტიკური სიტუაცია ქართულ დისკურსში ნეგატიური, მძაფრი, საფრთხეზე აქცენტირებული მეტაფორების სიჭარბეს განაპირობებს. ფრანგ პოლიტიკოსებს, როგორც ძლიერი ქვეყნის წარმომადგენლებს, არ ჭირდებათ მსგავსი დანიშნულებისთვის მეტაფორების გამოყენება და ამიტომ, მათთან უფრო დადებითი კონოტაციის მატარებელ მეტაფორებს ვხვდებით.

- მოწინააღმდეგის დისკვალიფიკაციის სტრატეგია ორივეენოვან დისკურსში ძალიან აქტუალურია. თუმცა, ფრანგი პოლიტიკოსების დამოკიდებულება ოპოზიციისადმი ბევრად უფრო გაწონასწორებულია, მათი კრიტიკა შემოიფარგლება, ძირითადად, მოვალეობებზე თავის არიდებით, არაკომპეტენტურობით, დაპირებების შეუსრულებლობით, ერთმანეთის მიმართ უსაფუძვლო ბრალდებების წყენებით, სიმართლისადმი უპატივცემულობით მაშინ, როცა ქართულ დისკურსში ოპოზიციის მიმართ უმწვავესი კრიტიკა ისმის. ქართველი პოლიტიკოსები ერთმანეთს ისეთი ტიპის ბრალდებებს უყენებენ, როგორებიცაა, სისხლის სამართლის დანაშაულებები, ძალადობა, ჩაგვრა, სამშობლოს მტრისადმი დამონებაში ხელისშეწყობა და ა. შ. ფრანგული საზოგადოების წინაშე ასეთი ბრალდებების შემდეგ ნაკლებად სავარაუდოა, რომ პოლიტიკოსი პრეზიდენტობის კანდიდატად დარჩეს.
- ფრანგი პოლიტიკოსები სხვადასხვა ორიენტაციის მქონე მოსახლეობაზე გამიზნულ სტრატეგიას რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური ხედვის ნიშნით განსხვავებულ ელექტორატზე აქტუალურად მიმართავენ, რაც საფრანგეთის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი (საფრანგეთში ძალიან აქტუალურია იმიგრაციის საკითხი) მოსახლეობით აიხსნება. ქართველი პოლიტიკოსები ძირითადად, ელექტორატს, როგორც ერთ მთლიანს, ისე მიიჩნევენ. რელიგიური თვალსაზრისით მოსახლეობის განსხვავებულობას თავის დისკურსში არც ერთი ქართველი კანდიდატი არ ეხება, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ორთოდოქსი ქრისტიანები შეადგენს.

## ბიბლიოგრაფია

1. არისტოტელე. *რიტორიკა. ძველბერძნულდან თარგმნა, შესავალი წერილი და საძიებელი დაურთო თ. კუკავამ*. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 1981.
2. კანდელაკი, ნ. *ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება*. თბილისი: ხელოვნება, 1961.
3. კაჭახიძე, ვ. *პოლიტიკური მჭევრმეტყველება*. თბილისი: საბჭ. საქართველო, 1985.
4. გელოვანი, ა. *ორატორული ხელოვნება*. თბილისი: ცოდნა, 1985.
5. ლეზანძე, გ. *კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისი: ენა და კულტურა, 2004.
6. Ablali, D. "Patrick Charaudeau, Le discours politiques. Les masques du pouvoir." *Cahiers de praxématique* 45 (2006) : 203-214.
7. Achard, G. *La communication à Rome*. Paris : Payot, 1994.
8. Adam, J. M. *Linguistique textuelle. Des genres de discours aux textes*. Paris : Nathan, 1999.
9. \_ *Les textes : types et prototypes*. Paris: Nathan, 1997.
10. Aldrin Ph. *Sociologie politique des rumeurs*. Paris : PUF, 2005.
11. Althusser, L., Balibar, É., Establet R., Macherey P., Rancière J. *Lire le Capital*. Paris: Maspero, 1965.
12. Amossy R. *L'argumentation dans le discours*. Paris: Nathan Université, 2000.
13. \_ The argumentative dimension of discourse. F. van Eemeren et P. Houtlosser éd., *Practices of Argumentation*, Amsterdam : Philadelphia, John Benjamins, 2005.
14. \_ «L'ethos au carrefour des disciplines. Rhétorique, pragmatique, sociologie des champs, Images de soi dans le discours. » *La construction de l'ethos*. Lausanne, Delachaux & Niestlé, (1999) 125-154.

15. Amossy, R., Roselyne K. "Argumentation et discours politique." *Mots Les langages du politique* 94 (novembre 2010) : 5-13.
16. Angenot, M. *Dialogues de sourds. Traité de rhétorique antilogique*. Paris: Mille et une nuits, 2008.
17. *La parole pamphlétaire. Typologie des discours modernes*. Paris: Payot, 1982.
18. Anscombre, J. C., Ducrot, O. *L'argumentation dans la langue*. Liège : Mardaga, 1983,1988.
19. *Lois logiques et Lois argumentatives*. Paris : Le français moderne, 1797.
20. Austin, J. L. *Quand dire, c'est faire*. Paris : Le Seuil, 1970.
21. Bakhtine, M. *Le Marxisme et la philosophie du langage*. Paris : Minuit,1977.
22. Barbet, D. Grenelle. *Histoire politique d'un mot*. Rennes : Presses universitaires de Rennes, 2009.
23. Barker, S. *The Elements of Logic*. New York: McGraw-Hill, 1985.
24. Barth, E. M., Martens, J. L. *Argumentation. Approaches to Theory Formation*. Amsterdam : John Benjamin, 1982.
25. Baylon, C. *Sociolinguistique*. Paris : Nathan, 1996.
26. Beauvois, J. L., Ghiglione, R. *L'homme et son langage. Attitudes et enjeux sociaux*. Paris : PUF, 1981.
27. Bellenger, L. *L'argumentation, principes et méthodes*. Paris : ESF, 1992.
28. Benveniste, E. *Problème de linguistique générale. 1*. Paris: Editions Gallimard, 1966.
29. *Problème de linguistique générale. 2*. Paris: Editions Gallimard, 1980.
30. Besnard, P., Hunter, A. *Element of Argumentation*. Cambridge: MIT Press, 2008.
31. Blair, J. « Crucial Concepts in Argumentation Theory ». *Argumentation & Advocay* 39. 1 (2002) : 77-81.
32. Bonnafous, S. « L'arme de la dérision chez Jean-Marie Le Pen », *Hermès* 29 (2001) : 53-63.
33. Bonnafous S., Ciron P., Ducard D., Levy C. *Argumentation et discours politique*. Rennes : Presses universitaires de Rennes, 2003.



34. Bourdieu, P. "Le champ scientifique." *Actes de la recherche en sciences sociales* 2-3 (1976) : 88-104.
35. Bourdieu, P. *Langage et pouvoir symbolique*. Paris : Le Seuil, 2001.
36. Braud, Ph. *L'émotion en politique*. Paris : Presses de Sciences Po, 1996.
37. \_*Le suffrage universel contre la démocratie*. Paris : PUF, 1980.
38. Breton, P. *L'argumentation dans la communication*. Paris : La Découverte, 1996.
39. \_*Histoire des Théories de l'argumentation*. Paris : La Découverte, 2011.
40. \_*La parole manipulée*. Paris : La Découverte, 1997.
41. Brown, G., Yule G. *Discourse analysis*. Cambridge : Cambridge University Press, 1983.
42. Buffon, B. *La parole persuasive*. Paris : Presses Universitaires de France, 2002.
43. Burger, M., "La complexité argumentative d'une séquence de débat politique médiatique." *Argumentation et communication dans les médias*, M. Burger, G. Martel éd., Montréal, Nota Bene (2005) : 51-79.
44. Cabasino, F. "La construction de l'ethos présidentiel dans le débat télévisé français." *Mots. Les langages du politique* 89 (mars 2007) : 11-23.
45. Campbell, K., Jamieson, K., *Presidents Creating the Presidency. Deeds Done in Words*. Chicago : Chicago of University Press. 2008.
46. Champagne, P. "Qui a gagné ? Analyse interne et analyse externe des débats télévisés ." *Mots. Les langages du politique* 20 (septembre 1989) : 5-22.
47. Charaudeau, P. *Langage et discours. Éléments de sémiolinguistique*. Paris : Hachette, 1983.
48. \_*Grammaire du sens et de l'expression*. Paris : Hachette, 1992.
49. \_"Une analyse sémiolinguistique du discours." *Langages* 117 (1995) : 96-111.
50. Charaudeau, P., Minguain D. *Dictionnaire d'analyse du discours*. Paris : Seuil, 2002.
51. Charaudeau, P. "Comment le langage se noue à l'action dans un modèle socio-communicationnel du discours. De l'action au pouvoir." *Cahiers de linguistique française* 26 (2004) : 151-175.
52. Charaudeau, P. *Le discours politique. Les masques du pouvoir*. Paris : Vuibert, 2005.

53. *Entre populisme et peopolisme. Comment Sarkozy a gagné!* Paris : Vuibert, 2008.
54. Charpentier, I. *Une Intellectuelle déplacée. Enjeux et usages sociaux et politiques de l'œuvre d'Annie Ernaux, thèse de science politique.* Amiens : Université d'Amiens, 1999.
55. Cossutta, F. *Le dialogue : introduction à un genre philosophique.* Lille : Septentrion, 2005.
56. Goffman, E. *La mise en scène de la vie quotidienne, I, La présentation de soi.* Paris : Minuit, 1973.
57. Coulomb-Gully, M. *La démocratie mise en scènes. Télévision et élections.* Paris : CNRS, 2001.
58. Courtine, J. J. "Quelques problèmes théoriques et méthodologiques en analyse du discours. À propos du discours communiste adressé aux chrétiens." *Langages* 62 (1981) : 9-127.
59. Dallmayr, F. *Language and Politics.* New York : New York University Press, 1982.
60. D'Almeida, F. *La manipulation.* Paris : PUF, 2005.
61. Danblon, E. *Rhétorique et rationalité. collection Philosophie et société.* Bruxelles : Éditions de l'Université de Bruxelles, 2002.
62. *La fonction persuasive. Anthropologie de la rhétorique. Origines, actualités.* Paris : Armand Colin, 2005.
63. *Rhétorique et rationalité. Essai sur l'émergence de la critique et de la persuasion.* Bruxelles : Éditions de l'Université, 2002.
64. Darbellay, F. *Interdisciplinarité et transdisciplinarité en analyse des discours. Complexité des textes, intertextualité et transtextualité.* Genève : Slatkine, 2005.
65. Delporte, C. *La France dans les yeux. Une histoire de la communication politique de 1930 à nos jours.* Paris : Flammarion, 2007.
66. Dominicy, M., Frederic, M. *La mise en scène des valeurs. La rhétorique de l'éloge et du blâme.* Lausanne : Delachaux et Niestlé, 2001.
67. Dorsey, L. *The Presidency and Rhetorical Leadership.* Texas University Press : 2002.
68. Doury, M. « L'évaluation des arguments dans les discours ordinaires. Le cas de l'accusation d'amalgame », *Langage et Société* 105 (2003) : 9-37.

69. \_ “La position du chercheur en argumentation.” *Semen* 17 (2004) : 143-163.
70. Ducard, D. « Une discussion biaisée. La question rhétorique dans le débat parlementaire », *Argumentation et discours politique*. S. Bonnafous et al. éd., Rennes, Presses universitaires de Rennes. (2003) 191-200.
71. Ducrot, O. *Dire et ne pas dire*. Paris : Hermann, 1972.
72. \_ *Les mots du discours*. Paris : Minuit, 1980.
73. Ducrot, O., Schaeffer, J. M. *Nouveau dictionnaire encyclopédique des sciences du langage*. Paris : Seuil, 1995.
74. Dumarsais. *Traité des tropes*. Paris : Le Nouveau Commerce, 1977.
75. Eemeren, F. H., Van & R. Grootendorst. *La nouvelle dialectique*. Paris : Kimé, 1996.
76. Eemeren, F. H. Van. *Advances in Pragma-Dialectics*. Amsterdam : SicSat; Newport News (Virginia), Vale Press, 2002.
77. \_ *Proceedings (Conferences on Argumentation of the International Society for the Study of Argumentation)*, Amsterdam. ISSA, 2007.
78. Fontanier, P. *Les figures du discours*. Paris : Flammarion, 1977.
79. Foucault, M. *l'Archéologie du savoir*. Paris : Gallimard, 1969.
80. Friedenber, R. *Notable Speeches in Contemporary Presidential Campaigns*. New York : Praeger, 2002.
81. Gadamer, H. *Vérité et méthode*. Paris : Le Seuil, 1996.
82. Gamson, W. *Talking Politics*. Cambridge : Cambridge University Press, 1992.
83. Gardes, Tamine, J. *La rhétorique*. Paris : Armand Colin, 2011.
84. Gauthier, G. “L’argumentation périphérique dans la communication politique. Le cas de l’argument “ad hominem.” *Argumentation et rhétorique. Hermès* 16 (1995) : 167-186.
85. Genette, G. *Figures. III*. Paris : Le Seuil, 1972.
86. Gerstlé, J. *La communication politique*. Paris : Armand Colin, 2004, 2008.
87. Ghiglione, R. *L’homme communiquant*. Paris : Armand Colin, 1986.
88. Girard, P. Giambattista Vico. *Rationalité et politique*. Paris : Presses de l’Université Paris Sorbonne, 2008.

89. Goffman, E. *Façons de parler*. Paris : Minuit, 1987.
90. Gosselin, A. "Les attributions causales dans la rhétorique politique." *Argumentation et rhétorique. Hermès* 16 (1995) : 153-166.
91. Grize, J. B. *De la logique à l'argumentation*. Genève : Droz, 1982.
92. *\_Logique et langage*. Paris : Ophrys, 1990.
93. Gumperz, J. *Engager la conversation*. Paris : Minuit, 1989.
94. Habermas, J. *Théories de l'agir communicationnel*. Paris : Gallimard, 1995.
95. Haroche, C., Henry, P., Pêcheux, M. "La sémantique et la coupure saussurienne : langue, langage, discours." *Langages* 24 (1971) : 93-106.
96. Hirschman, A. *Deux siècles de rhétorique réactionnaire*. Paris : Fayard, 1991.
97. Kennedy, G. *Comparative Rhetoric. An Historical and Cross-Cultural Introduction*. New York/Oxford : Oxford University Press, 1998.
98. Kerbrat-Orecchioni, C., Mouillaud, M. *Le discours politique*. Lyon : Presses universitaires de Lyon, 1984.
99. Kerbrat-Orecchioni, C. *Les interactions verbales. II*. Paris : Armand Colin, 1992.
100. *\_Les interactions verbales. III*. Paris : Armand Colin, 1994.
101. *\_“La notion d’interaction en linguistique : origine, apports, bilan.” Langue française* 117 (1998) : 51-67.
102. Kerbrat-Orecchioni, C., Plantin, C. *Le trilogie*. Lyon : Presses universitaires lyonnaises, 1995.
103. Koren, R., Amossy, R. *Après Perelman : quelles politiques pour les nouvelles rhétoriques ?* Paris : L'Harmattan, 2002.
104. Krieg-Planque, A. *Purification ethnique, Une formule et son histoire*. Paris : CNRS, 2003.
105. Krieg-Planque, A. "“Formules” et “lieux discursifs”. Propositions pour l’analyse du discours politique.” entretien par P. Schepens, Semen.” *Revue de sémio- linguistique des textes et discours* 21 (2006) : 19-47.
106. Labov, W. *Sociolinguistique*. Paris : Minuit, 1976.

107. Le Bart, C. *Le discours politique*. Paris, : PUF, 1998, 2001.
108. \_ “La proximité selon Raffarin.” *Mots. Les langages du politique* 77 (mars 2005) : 13-28.
109. \_ “L’analyse des livres politiques.” *Questions de communication* 15 (2009) : 323-344.
110. Le Bart, C., Lefebvre, R. *La proximité en politique*. Rennes : Presses universitaires de Rennes, 2005.
111. Le Bohec, J. *Les rapports presse-politique*. Paris : L’Harmattan , 1997.
112. LeHimes, D. *Foundations in Sociolinguistics: an Ethnographic approach*. Philadelphia : University of Pennsylvania Press, 1977.
113. Levinson S. C. *Pragmatics*. Cambridge : Cambridge University Press, 1983.
114. Lévy, C. *Argumentation et discours politique*. Rennes : Presses universitaires de Rennes, 2003.
115. Martin, V. « Des émotions au service d’une stratégie de séduction. Le marketing politique et l’étude de discours », *Revue française du marketing*. vol. 225, 5 (2009) : 51-65.
116. Maingueneau, D. *L’analyse du discours*. Paris : Hachette, 1991.
117. \_ *Analyser les textes de communication*. Paris : Dunod, 1998.
118. \_ *Genèses du discours*. Liège, Mardaga, 1984.
119. \_ *Initiation aux méthodes de l’analyse du discours*. Paris : Hachette, 1976.
120. \_ *Nouvelles tendances en analyse du discours*. Paris : Hachette, 1987.
121. \_ “Présentation.” *Langages* 117 (1995) : 5-11.
122. \_ *Sémantique de la polémique*. Lausanne : l’Âge d’homme, 1983.
123. \_ “Quelles unités pour l’analyse du discours?” *Romanistisches Jahrbuch* 53 (2003) : 109-118.
124. \_ “Analyse du discours et ses frontières.” *Marges Linguistiques* 9 (Mai 2005) : 64-75.
125. Maldidier, D. *L’inquiétude du discours. Un trajet dans l’histoire de l’analyse du discours. : le travail de Michel Pécheux, textes choisis et présentés par D. Maldidier*. Paris : Cendres, 1990.
126. Marcellesi, J. B., Gardin, B. *Introduction à la sociolinguistique*. Paris : Larousse, 1974.
127. Marin, L. *La critique du discours*. Paris : Minuit, 1975.

128. Martel, G. *Autour de l'argumentation. Rationaliser l'expérience*. Québec : éd. Nota Bene, 2000.
129. Meyer, M. *Histoire de rhétorique des grecs à nos jours*. Paris : Librairie Générale Française, 1999.
130. \_*Maitriser l'argumentation*. Paris : A. Colin, 1996.
131. Moeschler, J. *Argumentation et conversation*. Paris : Hatier, 1985.
132. Molinié, G. *Dictionnaire de rhétorique*. Paris : Librairie générale française, 1992.
133. Mounin, G. *Introduction à la sémiologie*. Paris : Minuit, 1970.
134. Neveu, É. *Une société de communication ?* Paris : La Découverte, 2002.
135. Oléron, P. *L'argumentation*. Paris : PUF, 1987.
136. Ollivier-Yaniv, C. *L'État communicant*. Paris : PUF, 2000.
137. \_ "Discours politiques, propagande, communication, manipulation." *Mots. Les langages du politique*. 94 (Novembre 2010) : 5-11.
138. Paveau, M. A., Sarfati, G. E. *Les grandes théories de la linguistique*. Paris : Colin, 2003.
139. Parret, H. "La rationalité stratégique." *L'interaction communicative*, H. Parret, A. Berrendonner éd., Berne, Peter Lang (1990) : 47-69.
140. Pêcheux, M. *Les Vérités de La Palice*. Paris : Maspéro, 1975.
141. Perelman, C. *L'empire rhétorique*. Paris : Vrin. 1977.
142. Perelman, C., Titeca, O. *Traité de l'argumentation. La nouvelle rhétorique*. Bruxelles : Edition de l'universite de Bruxelles, 2008.
143. Plantin, C. «Analyse et critique du discours argumentatif », In Koren, R.&R. Amossy (éds) *Après Perelman* , Paris : L'Harmattan (2002) : 229-263.
144. \_ "L'argument du paralogisme." *Hermès* 15 (1995) : 245- 262.
145. \_*L'argumentation*. Paris : Le Seuil, 1996.
146. \_ *Essais sur l'argumentation*. Paris : Edition KIME, 1990, 1996.
147. \_ "Le trilogue argumentatif." *Langue française* 112 (1996) : 9-30.
148. Pougeoise, M. *Dictionnaire de rhétorique*. Paris : Armand Colin, 2002.

149. Rabatel, A., «L'effacement de la figure de l'auteur dans la construction événementielle d'un "journal" de campagne électorale », *Semen* 22 (2006) : 77-92.
150. Rastier, F. *Arts et sciences du texte*. Paris : PUF. 2001.
151. Reboul, O. *Le slogan*. Paris : PUF, 1975.
152. Reboul, A., Moeschler, J. *Pragmatique du discours*. Paris : Colin, 1998.
153. Riutort, P. *Sociologie de la communication politique*. Paris : La Découverte, 2007.
154. Robrieux, J. J. *Éléments de rhétorique et d'argumentation*. Paris : Dunod. 1993.
155. Salmon, C. Storytelling. *La machine à fabriquer des histoires et à formater les esprits*. Paris : La Découverte, 2007.
156. Schiffrin, D. *Approaches to discourse*. Oxford, UK and Cambridge, USA : Blackwell, 1994.
157. Schopenhauer, A. *L'art d'avoir toujours raison ou Dialectique éristique*. Paris : Circé, 1990.
158. Searle, J. *Sens et expression*. Paris : Minuit, 1982.
159. Soulez, G. "Rhétorique, public et "manipulation"." *Hermès* 38 (2004) : 89-95.
160. Taguieff P. A. « L'argumentation politique. Analyse du discours et nouvelle rhétorique ». *Hermès* 8-9 (1990) 261-283.
161. \_« La rhétorique du national-populisme », *Mots. Les langages du politique* 9 (octobre 1984) : 113-139
162. Toulmin, S. E. *Les usages de l'argumentation*. Paris : PUF, 1958, 1993.
163. \_*The Uses of Argument*. Cambridge : CUP, 1958.
164. Vincent, D. "L'argumentation et la construction de l'identité et de l'image des locuteurs." Une étude de cas : comment peut-on dire que l'on est heureux ? *In G. Martel (éd.) Autour de l'argumentation*, Québec, Éd. Nota bene (2000) : 127-153.
165. Walton, D. *Argumentation Schemes*. Cambridge : CUP, 2008.
166. Windisch, U. « L'argumentation politique. Un phénomène social total », *Année sociologique*. vol. 45, 2(1995). 59-82.

167. Wodak, R. *The Discourse of Politics in Action. Politics as Usual*. New York : Palgrave Macmillan, 2009.
168. Wolton, D. « Avant-propos. Argumentation : le déficit d'analyse ». *Hermès* 15 (1995) 11-17.
169. \_“La communication politique. Construction d'un modèle.” Le nouvel espace public. *Hermès* 4 (1989) : 27-42.
170. Woods, J., Walton, D. *Critique de l'argumentation. Logique des sophismes ordinaires*. Paris : Kimé, 1992.